


სული უნა




II


საქართველოს საეკლესიო ცენტრი

თბილისი—1980



საქართველო
საქართველო





დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის
ილია II ლოცვა-კურთხევით

საუბამო ეპისტოლე

უფმიდუნისა და უნეტარუნის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II

ღვთიკურთხეულ უვილთა მიმართ საქართველოს
ფიდა ვართლვადიდებელი და სამოციქულო ეკლესიისათა,
აკვიდრთა საქართველოსა და მცხოვრებთა ჩვენი საფოზლო
საზღვრებს გარეთ

„სოფელსა შინა იყო, და სოფელი
მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან
იგი ვერ იცნა“

(იოანე, 1,10)

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივრჩეულნი მღვდელ-
მთავარნი, სამღვდლო დასო, ბერნი და მონოზონნი, ჩვენი ეკლესიის
ღირსეულნი შვილნი, უცხოობაში მყოფნი მამულიშვილნი!

ისევ გადაიშალა ჟამთა ბრუნვის ერთი ფურცელი, ისევ ინათა
ვარსკვლავმა ბეთლემის თავზე და მოვიდა დიდებული დღე ქრისტეს
შობისა. ანგელოზთა გუნდნი ისევ მოაფენენ ჩვენს ნაცნობ ჰანგებს
ცასა და ქვეყანას „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზე-
და მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“ (ლუკა 2,14). მინდა მოგა-
გონოთ ამ ნათლით მოსილ დღეს, რომ ოქროს სასახლეებსა და ბრო-
ლით ნაგებ კოშკებს მაღლი და სითბო არასოდეს მოუფენიათ ჩვენი
მიწისთვის, ბეთლემის მაღლი და საოცრება კი იხილეს ჩვენმა წინა-
პრებმა თავისი თვალთ, და იმავ მაღლს ვხედავთ დღესაც ჩვენი გო-
ნებით... იშვა ბეთლემში ის, ვისთანაც „ცხოვრებად იყო და ცხოვ-
რებად იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და
ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (ინ. 1.4—5). დიახ, სწორედ ბეთლემში,
მწყემსთა გამოქვაბულში ნაშობმა „სიტყვამ“ ე. ი. ჭეშმარიტმა
ღმერთმა ჩვენმა მოუტანა კაცობრიობას ის სასოება და სიხარული
გულისა, და ნათელი გონებისა, რომელიც ყოვლად მოწყალე მაღა-
ლი ღვთისაგან მზადდებოდა ადამიანისათვის მთელი წინამდებარე
ათასწლეულების მანძილზე. ის უნდა მოსულიყო... ის მოდიოდა...

ღვთის განგება ამზადებდა მის ჩვენთან მოსვლას... და იშვა იგი ქალწულისაგან, როგორც იყო განგება ღვთისა...

... რომ შევიცნოთ და შევეისისხლხორცოთ ეს უდიდესი საიდუმლონი, ამისათვის სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცოდნა უნდა შევსძინოთ ჩვენს გულს, ჩვენს გონებას, ავმაღლდეთ უნდა იმდაგვარად, რომ მაღალ დონეზე სუფევდეს ჩვენში სარწმუნოება და ცოდნა...

სარწმუნოება უნდა ანათებდეს ჩვენს შინაგან სამყაროს და შინაგანი სამყაროც მზად უნდა იყოს, რომ შევიცნოს, თუ საიდან მოდის ეს ნათელი, და მიიღოს იგი... მასაშადამე, სარწმუნოების ნათელს გულმა და გონებამ თავისი ნათელი უნდა დაახვედროს და ამ ორი ნათელის შერწყმით ამაღლდება სულიერად ადამიანი, და ამ გზით იგი ღვთისაგან ბოძებული მაღალი გონებით იხილავს ღმერთს: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მთ. 5, 8).

ამ უნათლეს დღეს, ჩვენ ვულოცავთ ჩვენს სამწყსოს შობას უფლისას და ვუსურვებთ, რომ ისე ამაღლებულიყოს ქრისტეს მოყვარულ ჩვენს მშრომელ ხალხში ცოდნა და მასთან სარწმუნოება, რომ ერის სულიერ თვალს ჭეშმარიტად დაენახოს და გაეგოს, თუ რა დიდია ბეთლემი, გოლგოთა და ამაღლების გზა...

ადამიანის, ოჯახის, საზოგადოებისა და დღევანდელი კაცობრიობის ცხოვრებას მრავალგვარი თავისებურება ახასიათებს; ერთ-ერთი იმათგან არის ის, რომ მეცნიერება და ხელოვნება კაცობრიობის არსებობის მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო. მაგრამ დღევანდელმა ცივილიზებულმა უტილიტარულმა გონებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ბეთლემის გამოქვაბულში შობილმა ჭეშმარიტებამ, ხორცშესხმულმა ღმერთმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, პირველმა მოჰფინა ნათელი მეცნიერების წინსვლას, ხოლო ხელოვნების ისტორია ქვეყნის შექმნის დღიდან იწყება და პირველი მიუწვდომელი ხელოვანი ღმერთია თავად... თავი და თავი ის არის, რომ მეცნიერება და ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს იმ ღვთიურ მაღლსა და სიკეთეს, რომელიც ნერგავს ხალხთა შორის პროგრესს, სიხარულს, რწმენას, სიყვარულსა და ურღვევ მეგობრობას.

ყოველმა მეცნიერმა უნდა იცოდეს, რა შედეგი მოჰყვება მის მეცნიერულ კვლევა-ძიებებს, რას მოუტანს მისი ნაღვაწი ხალხებს: სიკეთეს თუ დაღუპვას. ა. ეინშტეინი ამის შესახებ წერდა: „როდესაც მე თავი მეცნიერებას მიუძღვენი, ვხელმძღვანელობდი არა ისეთი გარეგნული მოტივებით, როგორცაა ფულის მოპოვება, ან საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება და არც იმით (უკიდურეს შემთხვევაში, არა მხოლოდ იმით), რასაც ხშირად სპორტად სთვლიან ან ტვინის გიმნასტიკად, რაც დიდ სიამოვნებას მაცენებს. როგორც მეცნიერებისაკენ მიდრეკილისათვის, ის ერთი საკითხი უნდა წარმოადგენდეს ძირითადს ჩემთვის: რა სურს ან რა მიზანს ისახავს ის მეცნიერება, რომელსაც მე თავი მიუძღვენი? რამდენადაა მისი ძირითადი შედეგები დაკავშირებული ჭეშმარიტებასთან“ (ტ. IV, 27–28). ხელოვნება კი, ღვთისაგან მონიჭებული ის სიკეთეა, რომელიც მთლიანად ეხება ადამიანთა არა ხორციელ ბუნებას, არამედ მის სულიერ სამყაროს. რამდენადაც მეტად მაღლდება ჩვენი სულიერი სამყარო, იმდენად მეტად ვუახლოვდებით ოცი საუკუნის წინანდელ ბეთლემს და ვმაღლდებით იმისაკენ, ვინც წარმოუდგენლად მაღლა დგას მეცნიერებასა და ხელოვნებაზე.

ჩვენ ვულოცავთ ჩვენს სიცოცხლის უნარიან ერს შობას უფლისას და ვუსურვებთ ბრწყინვალე გზით მიმავალ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებსა და ხელოვნების სიყვარულით აღტაცებულ შემოქმედებს, რომ ქრისტეს ნათელი და ჭეშმარიტება გაძლიერდეს მათ თავიანთი დიდი მოღვაწეობის სახელოვან ვხაზე, ჩვენი სამშობლოსა და მისი შვილების საკეთილდღეოდ.

არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ჩვენმა კაცთმოყვარე ერმა მძიმე ტანჯვა გამოიარა... როგორც კუნძულს, მღვრიე ტალღები დიდ მდინარისა, ისე მუდმივად გვადგა ირგვლივ ურიცხვი მტერი... ჩვენი წაღებვა უნდოდა სიბნელისა და ურწმუნოების მძვინვარე ტალღებს... ჩვენი ერი ზღაპრული ძალითა და ენერგიით ებრძოდა მუდამ მტერთა ურდოებს... პირველყოფლისა ჩვენს ხალხს სწყუროდა არა მხოლოდ თავის გადარჩენა, არამედ გადარჩენა იმ დიდი მადლისა, რომელიც ქრისტეს წმიდა კვართს, მოციქულთა აქ მობრძანებას და ღვთისმშობლის მიერ ქალწულ ნინოზე ბოძებულ ვაზის ჯვარს შემოჰყვა ჩვენში. ჩვენმა ეროვნულმა სულმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისე შეიყვარა მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომ დაუნანებლად ვსწირავდით თავს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გადასარჩენად... და ჩვენ შევინარჩუნეთ ქრისტიანობა საქართველოში, და მისი მადლით შევინარჩუნეთ თვითმყოფობა და ეროვნული ჩვენი სიცოცხლე.

ცნობილია, რომ ყველა ხალხები, რომლებმაც კი ქრისტიანობა მიიღეს და შეიყვარეს, ისინი დაადგინეს სულიერი კულტურის აყვავების გზას. ქართველ ხალხს კი ქრისტიანულმა მადლმა გაცილებით მეტი მოუტანა, ვიდრე სულიერი კულტურის აყვავებაა, ქრისტიანობის გარეშე ჩვენ როგორც თვითმყოფი ერი ვერ ვიქნებოდით, მოკვდებოდით... უფრო სწორად, დაახრჩობდა მღვრიე ტალღები ჩვენს ლამაზ კუნძულს... მოგვსპობდა ის გარემოცვა, ის ურჩხული სისხლით დამთვრალი, ვერ აიტანდა ჩვენს სულსა და ქრისტიანობას... მაშასადამე, ქრისტიანობამ მოგვანიჭა გადარჩენა, შეგვიინარჩუნა ეროვნული სიცოცხლე და თავისუფლება.

ქრისტიანობამ შესძლო მიეცა მისი მიმდევარი ყველა ხალხებისათვის წინსვლისა და აყვავების დიდი უნარი, არა უბრალო შემთხვევითობის წყალობით, რომ ქრისტიანიზმი წარმოადგენდა ჩვეულებრივად კარგად ჩამოყალიბებულ იდეებსა და იდეალებს, არამედ იმ ღვთიური მადლისა და განგებულების შედეგად, რომელიც ღვთის ნებით უნდა მოჰყოლოდა ქრისტიანობას... და მას მოჰყვა იგი, მას მოჰყვა ნათელი დიდი „ნათლისაგან ჭეშმარიტისა“.

ქრისტიანული ნათელი ბეთლემში იშვა და ამ ნათელმა ქართველ ერს მისცა ნათლის ისეთი კერები, როგორიც იყვნენ: სინას მთა და წმიდა ათონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და ბულგარეთის ბეტრიწონი, გელათისა და იყალთოს აკადემია და სხვა.

თუ არა ქრისტიანული მადლით ძალმოსილება, როგორ შეძლებდა ურიცხვ მტერთან მოღლილი ხალხი, რომ აღეშენებინა ჩვენს მცხეთაში ცას მიბჯენილი სვეტიცხოველი, თბილისის სიონი და ბოლნისის სიონი...

ხმაღს არ აგებდა ქარქაშში ქართველი კაცი, ხმაღი მზად ჰქონდა მუდამ მებრძოლის, და მკლავიც მზად ჰქონდა ბრძოლისა და

შრომა-გარჯისათვის... თუ არა ქრისტიანული მადლი, ვინ დაბადებდა ისეთ გმირს და ისეთ გმირობას, როგორც იყვნენ: თორნიკე ერისთავი, დავით და კონსტანტინე, შალვა, ბიძინა და ელიზბარი, მღვდელი თედორე. მაშასადამე, ქრისტიანობამ მოუტანა საქართველოს ბევრი რამ კარგი და სასახელო. ჩვენ ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ერს ამ ბრწყინვალე დღეს ქრისტეს შობისას და ვუსურვებთ, რომ კვლავაც ქრისტიანული გზითა და აზრით ეტარებინოს თავისი მარად აღმავალი სული და მისწრაფება... ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში, ერისა და ეკლესიის ერთიანობაშია სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის წყარო, და მხოლოდ ასეთ ერთიანობას შეუძლია უზრუნველჰყოს ჩვენი დიდი მომავალი.

ქრისტიანობის მადლით ძალმოსილი შვილები ჩვენი ერისა ილწვოდნენ ჩვენი ენის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ფილოსოფიური აზროვნებისა და მეცნიერების წინსვლისა და აყვავებისათვის. ჩვენი ერის დიდი შვილები უპირველესად ილწვოდნენ თავიანთი სულიერი ამაღლებისა და განწმენდისათვის, რათა ამის შემდეგ ქრისტეს მადლით ძალმოსილნი შესდგომოდნენ უდიდეს მეცნიერულ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ჩვენი მხნე, სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილით აღესილი ხალხი, საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს დიდებულ უნიკალურ ენას. ამ ენაზე შეიქმნა უძველესი ჩვენი მწერლობა, ამ ენაზე დაიწერა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა“, მთელს მსოფლიოში უსაჩინოესი „ვეფხისტყაოსანი“ და ბევრი სხვა. ამ ენაზე მეტყველებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ეს ენა ჟღერდა სინას მთაზე, წმიდა ათონზე და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ამ ენაზე ქმნიან თავიანთ შრომებს ჩვენი ბრძენი მეცნიერები ჩვენს სახელოვან მეცნიერებათა აკადემიაში, და ჩვენს კურთხეულ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში. ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ლამპარსა წმიდას“ (ილია ჭავჭავაძე). ამიტომ უყვართ თავისი ენა საქართველოს გულკეთილ შვილებს.

ჩვენ ვულოცავთ შობას უფლისას ჩვენს ღვთივგაბრძნობილ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების სიყვარულით აღტაცებულ შემოქმედებს და ვუსურვებთ, რომ მომავალშიც არ დაეზოგოთ გონიერება და ენერგია ჩვენი ერის სრულყოფისათვის, ჩვენი უძველესი მწერლობისა და ზეგარდმო მადლით ამაღლებული პოეზიის კიდევ მეტად ამაღლებისათვის, მეცნიერების წინსვლისა და ტექნიკური პროგრესისათვის.

ამ დიდებულ დღეს მე არ შემიძლია გვერდი ავუარო და არ შევეხო სამშობლოს სიყვარულის საკითხს: სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, უსამშობლო ადამიანი სულით ღატაკია და საცოდავი, სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი და ფილოსოფიური შეხედულებანი, მისი გულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი... ვისაც არ უყვარს თავისი თავი ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს რაიმე სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო – დედის ძუძუა არ

გაიცვლების სხვაზეა“, და „როგორც უფალი, სამშობლოც, – ერთია ქვეყანაზეა“.

სამშობლოს გულმხურვალე სიყვარული იმაზე მიუთითებს ადამიანს, რომ უყვარს რა თავისი სამშობლო, ის უნდა იდგეს საერთო საკაცობრიო სიყვარულის სიმაღლეზე, ამაში მდგომარეობს ქრისტიანული სიკეთის ნათელი... ეგოიზმის ყოველგვარი გამოვლინება რა საკითხში და რა საქმეშიც არ უნდა იყოს ის, უცხოა და მიუღებელი ქრისტიანობისათვის. ამიტომ, სამშობლოს სიყვარული შოვანისტიურ გრძნობათა ნაყოფი კი არ უნდა იყოს, არამედ ნაყოფი იმ მარად უჭკნობი ხისა, რომელსაც ქრისტიანობა ეწოდება.

ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ეკონომიური განვითარების პრობლემებზე. ალბათ უკვე დადგა დრო, როდესაც უნდა შეიცვალოს ჩვენი თვალსაზრისის კუთხე, დადგა დრო, როდესაც ეკონომიურ კონცეფციებთან ერთად უნდა ვიფიქროთ ადამიანის სულიერსა და კულტურული განვითარების დონეზე. ეკონომიურ სინაყრეს არ მოაქვს ბედნიერება. ნივთები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ავსებენ ჩვენს ყოფას, ჰკარგავენ თავიანთ ღირებულებას. უპრეცედენტო მატერიალური განვითარება წარმოშობს უპრეცედენტო სიმახინჯეებს, ეგოიზმს, უნიათობას და სულიერ სიცარიელეს. დღეს, როდესაც ასეთი თავგამოდებით ვზრუნავთ სხეულზე და ვივიწყებთ სულს, შექმნისა და მოხვეჭის ორომტრიალში გართულთ გვაევიწყდება ის, რომ ამ დროს ერთდროულად ვკარგავთ სულსაც და ხორცსაც.

თესალონიკის მთავარეპისკოპოსი, წმიდა გრიგოლ პალამა ამბობს; ადამიანი რეალურად კვდება იმ მომენტში, როცა კარგავს ღვთის მადლს და ეზიარება ცოდვას. სულის სიცოცხლე, – ამბობს იგივე მამა, – შესაძლებელია ღმერთთან კავშირში, ისევე როგორც ჩვენი ხორცის სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ სულთან კავშირში.

ქრისტესმიერ ჩემო შვილებო!

საყვარელო ქართველო ხალხი!

წუთი წუთს მისდევს, საათს საათი, დღეებს დღეები ენაცვლებიან, ერთი წლის ნაცვლად მეორე დგება და იფურცლებიან ამდაგვარად უთვალავი საუკუნენი... მარადიულობისათვის, რომლის შვილებიც ჩვენ გახლავართ, ეს ყოველივე არარას ნიშნავს... ჩვენს რთულ ეპოქას დამძიმებულს ტყვიით და წამლით მშვიდობა უნდა და სიყვარული... ჩვენს სამშობლოსაც, საქართველოს, შრომისა და სიყვარულის მარად ერთგულ ხალხს, მშვიდობა უნდა.

ჩვენ შევსთხოვთ ქრისტეს შობის ცხოველმყოფელ მადლს, რომ მშვიდობა ყოფილიყოს მთელს ქვეყანაზე. შრომის სუფევა გვირგვინია და უშრეტო წყარო ადამიანთა ამ ქვეყნიური ბედნიერების. ჩვენ შევსთხოვთ უფალს ამ დღეს შობილს, რომ მისი მადლით და მოწყალებით, შრომის მოყვარე ქართველ ხალხს კვლავაც ჰქონდეს მშვიდობიანი შრომა ახალ ნერგთა და ბაღნართა ასაყვავებლად.

ჩვენ შევსთხოვთ ღვთისმშობელ დედას, რომ მისი წმიდა საფარველის ქვეშ ყოფილიყოს მარად საქართველო, ქართველი ხალხი და მთელი ქვეყანა.

ეს ნათლით სავსე ქრისტეს შობის დღე გვაძლევს რწმენას და სასოებას, ჩემო ტკბილო ქართველო ხალხო, რომ ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, რომ ჩვენ ვიქნებით ერთი სამწყსო და გვეყოლება ერთი მწყემსი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე. თუმცა ჩვენ მუდამ, ყოველ წუთში თქვენთანა ვართ და თქვენთან ვიქნებით ამიერიდან და უკუნითი უკუნისამდე.

„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28.11).


ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო
საბჭოს პრეზიდენტი

ქრისტესშობა
1980/1981 წწ.
ქ. თბილისი







ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

— ჩვენ არა თუ არ მოვითხოვთ რაიმე საფასურს ივერიელებისაგან (ქართველებისაგან), არამედ ვუბრუნებთ მათ როგორც წმიდა ჯვრის მონასტერს, აგრეთვე სხვებსაც: წმ. ნიკოლოზის, წმ. თეოდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანასა და ებრაულ წმ. გიორგის (იგულისხმება წმ. გიორგის ქართველთა მონასტერი, რომელიც დგას იერუსალიმის ებრაულ ნაწილში, — „მონასტერი წმიდასა გიორგისი ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული“ — ვ. გ.), ვალებგადახდილს და ყოველგვარ მიმართებათ თავისუფალს, და არც ჩვენ თვითონ და არც ჩვენს შემდეგ წმიდა ქალაქ იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქები, არც ყოვლადწმიდა საფლავის მამები და მოსყდრეები არ მოითხოვენ ივერიელებისაგან არავითარ ფულს, არც დიდს და არც მცირეს... და იყოს თავისუფალი მათი მონასტრები ყოველგვარი მამიებლობით, ყოველგვარი ვალებისა და თავმომაბურებელი, აბეზარი საქმეებისაგან და, იყონ მათი ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები ღვთისმოყვარე ივერიელები. ხოლო როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა იღუმენი, მაშინ მან ძველებურად აიღოს თავის ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე“, — ვკითხულობთ ქალაქ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლეში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, დიდი ხარჯითა, საჩუქრითა და „სიკლითა მტკიცითა“, „ღვთის მოყვარე ივერიელებმა“ მთლიანად გადაიხადეს ვალი და კვლავ დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი, ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი“ და სხუანი მონასტერნი ქართველთა“. მაგრამ ეს იყო იურიდიული აქტი, რომელსაც პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია.

* * *

დიდი და სასახელო ისტორია აქვს ქართველთა კოლონიას პალესტინაში.

ივერიელთა მონასტრების არსებობა იერუსალიმში შემთხვევითი როდია. იგი გაპირობებული იყო სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებებით. როგორც წერილობითი წყაროები, საისტორიო საბუთები, დღევანდლამდე შემორჩენილი მატერიალური ძეგლები და არქეოლოგიური გათხრების მასალები მეცნიერულად ადასტურებენ, ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის მიწურულიდან დაწყებულია. მე-5 საუკუნის დასაწყისში ქართველებს უკვე თავიანთი ეკლესიები ჰქონიათ. საბა გან-

წმედილი (იგი გარდაიცვალა 532 წელს) თავის „ანდერძში“ მიუთითებს, რომ იბერიელებს (ე. ი. ქართველებს) და ასურელებს, „თავიანთ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წარმოსთქვან ჟამნი და სამხრისანი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

მართო ის ისტორიული ფაქტი რად ღირს, რომ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა ქართლის მეფის დიდი ბაკურის შვილი — პეტრე (ეროზაში მურვანი) იბერი (411—491). იგი ბერად 429 წელს აღაკვეცა. მეცნიერულად ისიც ცნობილია, რომ მან მოიარა „ყოველი უდაბნონი“ ეგვიპტისა, „კვალად მოიქცა“ პალესტინაში და იორდანიაში აღაშენა „ადგილსა უდაბნოსა მონასტერი“, ააგო იერუსალიმში „ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო“ და აქვე იწყო „შენებად ეკლესიისა“. ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრების დროს მისმა ხელმძღვანელმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა პეტრეს მიერ აგებულ ეკლესიაში ქართული წარწერება მოზაიკით და სხვ. შესანიშნავი სათავსოები...

დაიხ, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, მე-V საუკუნიდან აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, სხვა ქართველთა შორის ჩამოუვლია ეპისკოპოსი პეტრე ქართველი — ამჟამად მსოფლიოში აღიარებული მოაზროვნე, — ავტორი არეოპაგტიკული წიგნებისა, საუკუნეების მანძილზე ფსევდო დიონისედ ცნობილი (იხ. შ. ნუცუბიძის და ე. ჰინგამანის შრომები).

შემდგომ პერიოდში ქართველი ხალხის მასიური ლტოლვა იმანაც განაპირობა, რომ ბაგრატიონთა გვარის მეფეები თავიანთ თავს ღვთაებრივ ჩამომაველებად, დავით წინასწარმეტყველის განშტოებად სთვლიდნენ, დავითისა, რომლისაგან წარმოიშვა ღვთისმშობელი და ძე მისი იესო ქრისტე. შემთხვევითი როდია, რომ ისინი თავიანთ სიველ-გუჯრებს ასე იწყებდნენ: „შეწევნითა და ბრძანებითა ღმერთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატონიანი“-ო (იგულისხმებოდა ბიბლიური დავით მეფე, მისი მამა იესე და დავითის შვილი სოლომონი). ამიტომ საქართველოს პატრონი თავიანთ მოწოდებად, სახელმწიფოებრივ მოვალეობად სთვლიდნენ, თავიანთი თავი წარმოედგინათ ქრისტეანულ სამყაროს მფარველად და მბრძანებლად. ამან განაპირობა ისიც, რომ ისტორიის მთელ მანძილზე ქართველთა ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში მუსლიმან დამპყრობთა წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით, იყო ბრძოლა ორ სარწმუნოებას შორის.

ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912—959) მიუთითებდა რა ქართველი ბაგრატიონების ყოვლადწმიდა ღვთისმშობლიდან წარმოშობაზე წერდა: „რადგან ისინი... იერუსალიმიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმიდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“. ეს ცნობა იმას მიუთითებს, რომ იერუსალიმში კონსტანტინემდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ იბერიელთა მონასტრები („გეორგია“, IV, ნაწ. II, თბ., 1952, გვ. 258), და ეს ისტორიული სინამდვილეა. ქართულ წერილობით წყაროებს რომ დავეხსნათ, ჯერ კიდევ კონსტანტინეზე სამი საუკუნით ადრე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი (VI საუკუნე) თხზულებაში „შენდობათათვის“ წერდა, რომ: იერუსალიმში იუსტინიანე დიდმა (527—565) განაწესა მონასტრები „წმიდა თაღლეუსი, წმიდა გრიგოლისა... იბერთა მონასტერი იერუსალიმში, ლაზთა (ასევე ქართულია — ვ. გ.) მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“ და სხვ. („გეორგია“, II, გვ. 192).

ქრისტიანული კულტურის კერებისადმი ქართველთა განსაკუთრებული ყურადღება იგრძნობა საქართველოს აფხაზეთის ხანაში — IX—XI საუკუნეებში. ეს უპირველესად ითქმის დავით აღმაშენებელზე, რომელმაც „განამდიდრა“ მონასტერი არა მარტო თავის ქვეყანაში, „არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბულღარეთისანი, აღაგნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 352—353).

თამარ მეფე თავისი ღირსეული წინაპრების მსგავსად, დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია-მონასტრებს, განსაკუთრებით კი იერუსალიმის სახანეებს. — „ხოლო იერუსალიმისათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდეს ამით ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმფეშხუშებსა და სიწმიდითა საბურველს და მონოზონთა და გლახაკთა ოქროთა აურაცხელთა“, — გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“. თამარმან ქველი საქმითა და უხვი მოწყალებით, აგრეთვე აავსო ქართველთა ეკლესია-მონასტრები ელადის, მთაწმიდის, მაკედონის, თრაკიის, კონსტანტინეპოლის, შავი მთის, კეიპროსის და სხვათა. იგი იწვევდა წმიდა ადგილებიდან ბერებს, შეიწყნარებდა და პატივს ცემდა ჩვეულებისამებრ და გასცემდა ყველას დიად და აღავსებდა ყოვლითა სახმრითა. აღსანიშნავია, ისიც, რომ თამარმა, ბასიანის ომის შემდეგ, ზავი დაამყარა დამასკოს სულთნებთან (რომლებიც ყოველთვის ავიწროებდნენ და სტანჯავდნენ წმიდა ადგილებში სალოცავად მიმავალ ქრისტიანებს), რის საფუძველზეც აკრძალათ მათ ქრისტიანთა დევნა-წყალება. ამავე ხელშეკრულებით ქართველებს სრული უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი ღროშით (ყოველგვარი გადასახადის გარეშე) შესულიყვნენ იერუსალიმში (მაშინ, როცა ყველა შეხვედრის რომელი იხდიდა 14 გროშს (პიასტრს), ბერძენი — 6, ხოლო თვით არაბ ეკვიპტელნი — 3 გროშს). თამარისავე თხოვნით სულთანმა საღადინმა, ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვა-

რი, რომელზედაც მიმსჯელობდა იყო ქრისტე (ამ ჯვარის დასახსნელად თამარმა გადაუხადა 200.000 დინარი). ქართულმა ეკლესიამ თამარი წმიდანად შერაცხა და მას მოიხსენიებდნენ ყველგან. მისი პატივისცემის ნიშნად, ჯვრის მონასტერსაც თამარის ხსენება დაუწესებია, მაგრამ მოსახსენებელი საერთო სვინაქსარში კი არ შეუტანიათ, არამედ მისთვის საკუთარი სვინაქსარი განუჩენიათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, მაშინაც კი, როცა აწიოკებული და დაპყრობილი იყო მტერთაგან, არასოდეს მიუტოვებია უყურადღებოდ იერუსალიმის წმიდა ადგილები, — მთელი ერი — მეფენი და მისი ახლობელნი, კათალიკოსები და მათი მრევლი, თავადნი და აზნაურნი, დაბაისელნი და გლეხნი“ დიდთა და ცოტათა“ თავიანთი შეწირულებით ყოველთვის ათავისუფლებდნენ ტყვეობისაგან თავიანთ კულტურის კერებს. ამ მიმართებით მრავალზე-მრავალი დოკუმენტია შემონახული, რომელთაგან თავიანთი მნიშვნელობით მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევიან (სწორედ ყველაზე აუბედობის პერიოდში) ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში მოხსენებული პალესტინის ბერძენთა პატრიარქის დოსითეოსის ეპისტოლენი ქართველი მეფეებისადმი (ერეკლე I, ვახტანგ VI და რუსეთში არჩილისადმი). აი, რას სწერს 1682 წლის 23 სექტემბერს დოსითეოსი არჩილს: „შენმა მშობლებმა ცალკ-ცალკე უხვი, მრავალფეროვანი და ძვირფასი დახმარება გაუწიეს უწმიდეს და უპატიოსნეს მაცხოვრის საფლავს... შენს ძმებს და დებს, სიძეებსა და ბიძაშვილებს სურვილი აქვთ წმიდა და პატიოსანი ჯვრის მონასტრისა და სხვების, რომლებიც იერუსალიმშია, დახსნა... დღე და ღამ ცტირი ივერიის ხალხისათვის, რადგან დამზობილია ივერიის დედაქალაქი და მასში მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანები დაქვრივებულებით არიან და დამორჩილებულნი მოთქმით ვოდებენ, ნუგეში კი არსათა“ („პოსლანია იერუსალიმსკაგო პატრიარხსა დოსიფეია ვ გრუზი“, ტრუდი კიევისკოი დუხოვნოი აკადემიი „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, 1971 წ., გვ. 253).

ასევე საყურადღებოა გიორგი XI მიერ პატრიარქისადმი გაგზავნილი სიგელი („აკტი, სობრანნიე კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისიეი“, ტ. I, გვ. 26), სადაც ნათქვამია: „ჩვენც თქუნი ბრძანება გავითავით ვარა ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულყველას გარდასაწყვეტლად მოგართვით“.

როგორც ვხედავთ, საუკუნეების მანძილზე, ქართველმა ხალხმა, გარდა ეროვნული და სარწმუნოებრივი დაცვის დროს ომებში გაღებული მსხვერპლისა, უდიდესი, შეიძლება ითქვას, აღუწერელი საგანძური და საფაზური გაიღო წმიდა სამონასტრო კერების აღსაშენებლად, დასაცავად და ხშირად ტყვეობისაგან გამოსახსნელად. ეს ფაქტი კიდევ უფრო ნათელი გახდება მსოფლიო ხალხებისათვის მაშინ, როდესაც გამოქვეყნდება სხვადასხვა ქვეყნის, უპირველეს რიგში მეზობელი სახელმწიფოების არქივებში (განსაკუთრებით იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებში) დაცული წერილობითი წყაროები.

* * *

იერუსალიმში ოცამდე სავანე-მონასტერი არსებობდა „აღშენებული მეთხე საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასრულებამდე ქართველ მეფეთა, მღვდელმთავართა, თავად-აზნაურთა და სრულიად კეთილმორწმუნე ქართველის ერისაგან, ვითარცა ძეგლი (სახსოვარი ჩვენის ცხოველის სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობისა, ეროვნული ძლიერებისა და დიდებისა“ (პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ“, თბ., 1901 წ., გვ. V-VI).

ხელნაწერებით, მოგზაურთა ჩანაწერებით, მოსახსენებელი ალაპებითა და სხვა სახის საისტორიო წყაროებით მეცნიერულად დამატებულია, რომ პალესტინაში ქართველებს შემდეგი მონასტრები ჰქონიათ:

1. ჯვარი, — ქართველთა უდიდესი სავანე, კოლონიის ცენტრი, შესაკრებლად ქართველთათვის“ აღშენებული მეფე ბაგრატ კურაპალატისაგან. „რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უშოვნია... ხოლო ამასა შემდგომად სულიერი ვინმე მონოზონი შავეთელი, სახელად პროხოზე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხოზესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვრის მონასტერი შესაკრებლად ქართველთათვის (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 77-78).

2. წმ. მოციქულთა, — აშენებული საქართველოს მეფის გიორგი I მიერ.

3. მამამთავრის აბრაამისა, — განახლებული გიორგი აბაშიძის მიერ.

4. წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული საქართველოს დედოფლის ელენეს მიერ.

5. წმ. იოანესი, — აშენებული სამცხის ათაბაგის მიერ.

6. წმ. ვასილისა, — აშენებული ამირანდო ამილახურისა და თაქოს მიერ.

7. მეორე სავანე წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ.

8. წმ. თედორესი, — აშენებული ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ.

9. წმ. თეკლასი, — აშენებული ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ.

10. წმ. გიორგისა (ურიათ უბანში), აშენებული თავად დადიანის მიერ.

11. დედათა მონასტერი პატივად მირქმისა უფლისა, — აშენებული რაჭის ერისთავის მიერ.

12. წმ. დიმიტრისა, — აშენებული შალვა ქსნის ერისთავის მიერ.

13. წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინას სახელობის ქართველ დედათა მონასტერი, — აშენებული ციციშვილებისა და მანაბლების მიერ.

14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა ვოლგოთაზე.

15. ტაძარი წინასწარმეტყველისა სამუელისა.

16. წმ. მოციქულისა და იაკობ ზებედეის (ჯვრის შემდეგ, „სიმდიდრითა და მშვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მას“).

17. ტაძარი მამისა საბა განწმედილისა (საბაწმიდა). „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობისა, სადაც VIII-IX საუკუნეებში დიდ ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება“ (კ. კეკელიძე).

18. სვიმეონ ღმრთის მიმრქმელისა.

19. წმ. იოანე ნათლისმცემლისა იორდანის ნაპირზე. შემორჩენილი ცნობებით (ჯვრის მონასტრის ალაპებით, სინას მთის მატეიანითა და იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით) ჯვრის მონასტერში — ქართული კულტურის ამ დიდებულ სავანეში, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ და ჯვარის მამათ, წინამძღვრებად მოიხსენიებიან:

XI საუკუნეში — პროხოზე, გიორგი.

XII საუკუნეში —

XIII საუკუნეში — ლუკა, მარტიანე, გაბრიელ სანატრელი, მარტიანე, საბა.

XIV საუკუნეში — სოლომონი, იოანე, სვიმონი (ელმელიქისძე), სვიმონი (ცადაშვილი), გერმანოზი, ქერაბინი, იოსები.

XV საუკუნეში — პიმენი, იოანე, ქრისტეფორე ზედგენიძე, დანიელ ნიქოზელი.

XVI საუკუნეში — ბენა ჩოლოყაშვილი, იოკიმი, ბარნაბი, ეპიფანე, იოსებ არქიმანდრიტი.

XVII საუკუნეში — თეოდოსე რევიშვილი, ნეოფიტე, მაკარი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, მარკოზი, გაბრიელი, იოსები, მელეტი.

XVIII საუკუნეში — პარტენიოსი, 1739 წელს — გერასიმე (ელ. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, გვ. 36-40).

* * *

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ისტორიული ტრადიციით და წერილობითი წყაროებით, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის მიღების პერიოდთან (IV საუკუნე). ამჟამად, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში გავრცელებული ვერსიით, მის დაფუძნებას უკავშირებენ მირიან ქართლის მეფეს, რომელმაც შეიძინა ადგილი მონასტრისათვის და მანვე ააგო ეკლესია, რომელიც შემდეგ განაურცო და კეთილმოაწყო ვახტანგ გორგასალმა. მანვე ჩაასახლა იერუსალიმის ახლოს ქართველები მონასტრის დასაცავად (როგორც გადმოგვცემენ ამჟამადც ცხოვრობენ უკვე გარაბებული გურჯები“ — „აწ არაბნი იერუსალიმელი ქართველნი“). წერილობითი წყაროები გვუწყობენ, რომ:



— „ხელმწიფეთა ვახტანგ და ბაგრატ და დავით დავითიანთა, რომელთა აღაშენეს წმიდა ესე მონასტერი“; „კურთხეულმც არს სული მამისა პროხორესი, რომელმან აღაშენა მონასტერი ესე სამლოცველოდ მეფეთა ზაგრატიანთა“; — ესე წმიდა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი მეფეს დავითიანს ბაგრატს პალატს აღუშენებია, — იკითხება ჯვრის მონასტრის წმიდა ტრაპეზის მარცხნივ იატაკზე მარმარილოს ქვაზე. ზოგიერთი ცნობით ვახტანგის შემწეობით ტამარი აუგია პეტრე იბერს. ყველა ერთხმად მიუთითებს, რომ ეს მონასტერი აგებულია იმ ხის ადგილზე, რომლისაგანაც გაკეთდა ჯვარი და რომელზედაც აცვეს (მიმსჭვალეს) ქრისტე.

ერთი კი უტყუარი ჭეშმარიტებაა, — დღევანდელი ჯვრის ქართველთა მონასტრის შენობა თავისი სამლოცველოებით, სენაკებით და ზღუდე-სიმაგრეებით (რომელიც არსებითად წარმოადგენს ციხე-ქალაქს 323 ოთახით) აშენებულია ქართველი მონოზონის პროხორეს (ერისკაცობაში გიორგის) მიერ XI საუკუნეში. „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი — პროხორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომელთა შემძღებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად „წმიდასა ამას ცხოველსამყოფლისა ჯუარისა ადგილსა“, — ვკითხულობთ მონასტრის დამაარსებლის მინაწერს 1038 წლის ერთ

ხელნაწერზე. ჯვრის მონასტრის ამშენებლად პროხორე დასახელებულია „გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც“. რადგან გიორგი ამ მონასტრის აგებამდე ჯვარულად იწოდებოდა, — „ბრძანებითა შავსემოსილისა წმიდისა მამისა... გიორგი ჯვარელისაითა“ (ა. ცაგარელი, პამიატნიკი, გვ. 186), — იგულისხმება, რომ სანამ ის ააგებდა ამ ღიბებულ სავანეს, მანამდე ამ ადგილზე არსებობდა ჯვრის ეკლესია. ბუნებრივია, შემდგომ პერიოდშიც, ქართველთა დახმარებითა და შემოწირულებით, იზრდებოდა სავანეთა რიცხვი და შესაბამისად იცვლებოდა მონასტერიც, რომ არაფერი ვთქვათ, მიშენებაზე დაზიანების შედეგად, ან კიდევ მეჩეთად, საცხოვრებლად, სასულიერო სასწავლებლად, ზოგჯერ ციხე-სიმაგრედ გადაკეთება-გადმოკეთების შედეგად ცვლილებებზე.

ჯვრის მონასტერი იყო ქართული კულტურის მოღვაწეთა მიზიდვისა და სულიერი აღზრდის მთავარი კერა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტერში არა მარტო პილიგრიმება მოდიოდნენ, არამედ ქართველებს აქვე მოქონდათ ძვირფასი ნეშთი საქართველოს ღიბებული შვილებისა.

ამ ტაძართანაა დაკავშირებული დიდი ქართველი მოაზროვნე და მწერლის შოთა რუსთაველის (მეჭურჭლეთუხუცესის) სახელი. მან თავის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში და იქვე — ჯვრის მონასტ-

ტერში დაიღო სამუდამო სასუფეველი. ჯვრის კედელზე შოთას სურათი წარწერით და მისი ღვაწლის გამო აღაპის დაწესება დამაჯერებლად მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, ყოველი ქართველისათვის ჯვრის მონასტერი (აქვეა გადმოსვენებული პეტრე იბერის და სხვ. ნეშთიც).

ძველად, ყველა იმ ხალხთა შორის, — წერს რ. ჟანენი თავის წიგნში „ქართველები იერუსალიმში“, — ქართველებს განსაკუთრებული უპირატესობა და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში და მათ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათო“. ასეთი გამოთქმა უცხოელი პირისაგან სრულიად არ არის გადაჭარბებული. ამ უპირატესობაზე მიუთითებს არა ერთი ისტორიკოსი და მოგზაური. თვით მაშინაც კი, როცა ჯვარი დატყვევებული იყო, წმიდა ადგილებზე საქართველოდან ჩასულ მლოცველებს თავაზიანად ეპყრობოდნენ, — არაბი მოხელეები მათ იერუსალიმში მიაცილებდნენ ალგობიდან და უკან დააბრუნებდნენ ხოლმე, რომ გზაზე რაიმე ხიფათს არ გადაჭყობდნენ. საინტერესო ცნობას გადმოგვცემს უცხოელი ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრიც (დამოწმებული აქვს რ. ჟანენს), იერუსალიმში ქართველებს უფლებებზე. ეგვიპტელთა ბატონობის პერიოდშიც, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა სამუდამოდ დაჰკარგეს იერუსალიმი (1244), ასეთი ცნობებიც არსებობს: „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი — ომის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მეზობელი. მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებდნენ სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსახლდრეთაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულეობით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თავიანთსაცემად, წმიდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე. რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. ქართველები ძალზე აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან ორადინუსს — დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლების დანგრევა“.

როცა იერუსალიმი ბაჰიდების დინასტიის მამლუქი სულთნების ხელში გადავიდა და ქართველთა ჯვრის მონასტერი „დაატყვევეს“ და მიზგილად გადაკეთეს (1273 წ.), — როდესაც იერუსალიმის ქართველთა კოლონიას განსაკუთრებული მძიმე გასაჭირი, ტრადიკული დრო დაუდგა, მაშინ მთელი საქართველოს წინაშე დადგა საკითხი, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებიათ თავიანთი უფლებები ქართველთა უმთავრესი საეპისკოპოსოსის — ჯვრის მონასტერზე, დაეხსნათ იგი მტრის ხელიდან. მაშინ, როგორც იერუსალიმის ჯვარელი მოღვაწენი, ისე მათი თანამემამულეები საქართველოდან არაფერს ზოგავდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ჯვრის მონასტრის აღაპებში მრავლად მოხსენებულნი არიან ისინი, ვინც ხელი გაუწოდა ქართველთა ჯვრის მონასტრის (დომინიკი თაყვანისმცემი, გრიგოლ ფანასკერტელი, სარგის ჯაყელი და მრავალი სხვანი). ამ შემთხვევაში ქარ-

თველთა მეფეებმა დიპლომატიურ ხერხსაც მიმართეს. მათ ეგვიპტეში გააგზავნეს ელჩები მოსლაპარაკებლად. ქართველი დიპლომატები კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ. ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე II-მ (1282—1328) ქართველებს თავისი დესპანიც გააყოლა. ქართველებმა საწადელს მიადწიეს, — კაიროში მოლაპარაკებისას სულთანს დაითანხმეს და ქართველებს დაუბრუნდათ მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი. მთვე უფლება მიეცათ ტრადიციულად იერუსალიმში შესვლისას ცხენ-სახედარზე მსხდარიყვნენ ვ. ტიზენგაუზენ, ზამეტკა ელკალკაშანდი ო გრუზი, — ზაპისკი ვოსტოჩნოვ ოტდელენია რუსკოვო არხეოლოგიჩესკოვო ობ-შესტვა, 1886, 1, 3, გვ. 212—213).

როგორც არაბულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩამოვიდა კონსტანტინეპოლის იმპერატორის ელჩი, გურჯების მეფის ელჩის თანხლებით, რომელმაც ჩამოიტანა საჩუქარი და წერილი, რომელშიც უფლისწული მოითხოვდა იერუსალიმში მუსსალაბის (ჯვრის) მონასტრის გახსნას, რათა ქართველებს შესძლებოდათ, თუ მოისურვებდნენ, წასულიყვნენ იქ სალოცავად... გამოსცეს ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ, რაც შესრულებული იქნა“ (ვ. ტიზენგაუზენი, იქვე). როგორც აკად. ე. მეტრეველმა გაარკვია (იხ. მისი „მასალები“, გვ. 47—48) ჯვარის მონასტერი გამოიხსნა ქართველთა მეფე დავით VIII (1293—1311). ჯვრის გამოხსნაში, „მეორედ აშენებაში“ — დავითისათვის დახმარება გაუწვიათ: აფხაზთა მეფეს კონსტანტინეს (დავით ნარინის ვაჟს) და ბევრ სხვა დიდებულ და სასულიერო მოღვაწეს.

ისიც უნდა გვანსოვდეს, რომ დაპყრობის შემდეგ, ქართველებს უხდებოდათ არა მარტო საკუთარი მონასტრების ხელმეორედ დახსნა, — „მეორედ აშენება“, არამედ მონასტრების შემოგარენის, ბაღ-ვენახებად ქცეული ზვრებისა და სხვ. დამხმარე მეურნეობების შესყიდვაც.

როგორც ცნობილია, მე-14 საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთის ხალხებს დამპყრობთა ახალმა, დამანგრეველმა ტალღებმა გადაუარა, — გამოჩნდა თემურ ლენგი, რომელსაც მთელი მსოფლიო მხოლოდ ერთი მზრძანებლისათვის მიაჩნდა საკმარისად...

მისი, ამ დამპყრობლის სისხლიანი ხელი საქართველოსაც და მის წმიდა ადგილებსაც მისწვდა. „აქა მოვიდა მაწყვერელი ჰიმენ მას ჟამს, — გადმოგვცემს მატინე, — ოდეს თემურ დიმახში ააოხრა და ჯვარისა სახლი აშლით ააოხრეს“. თემურმა დიმახში (დამასკო) აიღო 1400 წელს. სწორედ ამ დროს მისულა დასახმარებლად მაწყვერელი მღვდელთმთავარი ჰიმენი ჯვრის მონასტერში, — „ზეთი და ცვილი შემოსწირათ“. ამ პერიოდშიც იერუსალიმელ ქართველებს მატერიალური დახმარების ხელი, ჩვეულებისამებრ, მრავალმა გაუწოდა საქართველოდან.

როგორც ისტორია გვაუწყებს, მიუხედავად დაპყრობისა, XV საუკუნის დამდეგს და შემდგომშიც, ქართველები სხვებთან შედარებით ერთგვარ პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თავიანთი მონასტრების „უფლება-მოსილების“ საქმეში და კარგადაც იხსენებოდნენ. აღ-კალკაშანდი თავის „დიპლომატიურ საცნობა-

როში, ქართველ მეფეს სხვა ტიტულებთან ერთად, იხსენებს როგორც ქრისტიანული რელიგიის დამცველს, სამართლიანს ქვეშევრდომების მიმართ, ბერძენ მეფეთა შორის საუკეთესოს ზღვათა და სრუტეთა სამეფოს განმამტკვლს, ქრისტიანთა სახელის განმამდიდებელს და გვირგვინს, ქრისტიანობის საყრდენს, „რომელმაც თავისი მოქმედებით განამდიდრა და აღამაღლა წმიდათა წმიდა სახლი იერუსალიმისა; მირონცხებულთა საყრდენი, შემწე რომის პაპისა“.

კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც თურქებმა ბიზანტია დაიპყრეს, როცა 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა. ამ პერიოდში ქართველებს თავიანთ ქვეყანაში საკუთარი სადარბეველი შეექმნათ, — ხმალამოლებულ ბრძოლაში ჩაებნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის....

ბოლოს და ბოლოს ძლიერი სახელმწიფო სამთავროებად დაიშალა, დაკნინდა ეკონომიურად, დაუძლურდა. ყოველივე ეს დაეტყობთ საქართველოს გარეთ მყოფ ქართულ მონასტრებს და პირველ რიგში ჯვარს. დახმარება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი შენედა, მაგრამ არ შეწყვეტილა. „ცხოვრების ასეთმა გაჭირვებამ, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულუხვ მლოცველთა შემცირებამ უცხოეთში არსებული ყველა ქართული მონასტერი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. მშობას თავისი თავის შენახვაც კი უჭირდა და რა გასაკვირია, თუ რომ გადასახადების გამოღება გაუძნელდებოდათ და საშინელ სიღარიბეში ჩაცვივდებოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV², გვ. 276).

რადგან ქართველებისათვის წმიდა ადგილების დაცვა წარმოადგენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირსებას, ამ გაჭირვების ჟამსაც, უყურადღებოდ არ სტოვებდნენ თავიანთ თანამემამულეებს იერუსალიმში. სწორედ ამ პერიოდში მიიღეს მათ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისაგან „დიადი საქონელი“, ხოლო სერაპიონ კომურდოელის მისვლით დაიწყო ჯვრის მონასტრის ტრაპეზის, და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმშენებლობა. ასე იყო XV საუკუნის მიწურულამდე, როცა თმოგველმა, უჯარამელმა ასულმან მარინემ აღაშენა „ჯვრის პატიოსნისა გალავნისა ბურჯი“, ამილახორის თაყოს ქალმან რიფსიმემ დაიხსნა მონასტრის მარანი, მეორედ იყიდა წისქვილი და ა. შ. (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 90, 124, 165 და სხვ.).

XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი, შემდეგ, — ბენა ჩოლოყაშვილი — „ჯვარის მამად მივლინებული“. იერუსალიმში ბ. ჩოლოყაშვილმა ფრანგთა გოლგოთა დაადგინა და სომხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზოსიმე კუმურდოელი იერუსალიმს და კვლავ დაიხსნა გოლგოთა, — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთა წაგვართვეს და მან დაიხსნა, ოთხასი ფლური გამოიღო“.

იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევია იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ

პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: ი. ჰასიშტეინსკი (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაგო (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველები კვლავ გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით, — საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ჩეხი მოგზაური ი. ჰასიშტეინსკი, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაელი კათოლიკეები, — ვ. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობიტელნი, მეხუთენი — სირიელნი, მეექვსენი — ინდოელნი, მეშვიდენი — სომხები და მერვენი — მარონიტები“. საყურადღებო ფაქტი ისიცაა, რომ ამ ხალხებიდან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში: რომაელებს ჰქონიათ 11 კანდელი, ბერძნებს — 9, ქართველებს — 13, იაკობიტელნებს — 5, სირიელებს — 5, ეთიოპელებს — 4, სომხებს — 4 და მარონიტებს — 5. ასე, რომ მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისშიც ქრისტეს საფლავის ეკლესიაში კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ და პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს (იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 6-7). ერთ-ერთი საზღვარგარეთელი მოგზაური ლ. სულჰეიმი კი (1331-1341 წლებში იყო იერუსალიმში) პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ქართველები ფლობენო („არხივე დე ლ'ორიანტ ლატინ“, II, პარიზი, 1884, გვ. 353-354; დამოწმებული აქვს რ. ჟანენს „ქართველები იერუსალიმში“). უცხოელ მეცნიერთა აღიარებით ქართველებს ეს უფლება XV საუკუნის ბოლომდე ჰქონიათ.

როგორც აღვნიშნეთ, 1512 წელს ბენა ჩოლოყაშვილმა ფრანგებს კვლავ „დაადგინა გოლგოთა“, ხოლო მანამდე — „გოლგოთა... ბაგრატ მეფეს (1466-1478) აღუქსანდრეს მძისწულს, უშოვია, გუბათი აღუშენებია დიდის საფასით. იგულისხმება, რომ ჯვრის მონასტრის მსგავსად, ქრისტეს საფლავის შენარჩუნება, მისი ხელმეორედ დაბრუნება „დიდ საფასად“ უჯდებოდათ ქართველებს.

მე-16 საუკუნეში მართალია ქართველებს არ შეუძლებიათ ბრძოლა იერუსალიმში ძველი უფლებების შენარჩუნებისათვის, მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად გაუარესებულია. ამ ფაქტზე თავიანთ ყურადღებას ამახვილებენ უცხოელნი — ვ. პოზნიაკოვი (1558-1561), ლ. რაუვოლფი (1573), ს. შვაიგერი (1577-1581), ნ. რაძივილი (1582-1584), ტ. კორობეინიკოვი (1593), ი. სოტიოვი (1598) და სხვ. (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები საზღვარგარეთ, თბილისი, 1980, გვ. 142).

ამ დროს ქართველები ორმხრივ გასაჭირში აღმოჩნდნენ: ჯერ ერთი, რომ ისინი თანდათანობით ჰკარგავდნენ თავიანთ მონასტრებზე უფლებებს და მათ ეპატავდნენ ბერძნები და სხვები, მეორე — ღურქ-ოს-



მალემა, პალესტინის დაპყრობის შემდეგ, დაუწესეს დიდი გადასახადი, როგორც ქრისტიანულ ტაძრებს, ისე იქ მომსვენულ მლოცველებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იერუსალიმში მყოფი ქართველები, შემოსავლის შემცირებითა და სამშობლოდან დახმარების შეწყვეტის შედეგად, თანდათანობით ვალებში ვარდებიან. გადასახადების გამო გაუჭირდათ თვით ბერძნებსაც. ამის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ მე-17 საუკუნის დასაწყისში საპატრიარქო იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში გადაეტანათ (ისტორია სვიატოვო გრაფა იერუსალიმა, ტომ II, საკტ პეტერბურგ, 1844 გ. სტრ. 298).

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში — „დად დაჭირვებაში“ აღმოჩნდა ქართველთა ჯვრის მონასტერი. ამ გაჭირვების უამს, ჯვრის მონასტრისადმი დიდი ზრუნვა და დახმარება გასწია მესხეთიდან ჩასულმა ფილიპე შაქარაშვილმა, რომელმაც ჩაიტანა „საიერუსალიმო თეთრი“, იქ დაპყრო წელიწადნახევარზე მეტი და იერუსალიმის მონასტრები — ჯვარი, გოლგოთა, კათამონი, წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. ზოგი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგს დაგირავებული საეკლესიო ნივთები დაუხსნა. მიუხედავად გაჭირვებისა მე-16 საუკუნეში ქართველები, კვლავ კარგი ავტორიტეტითა და სახელით მოიხსენებიან. მაგალითად, პოლონელი მოგზაური ნ. რაძივილი (1549—1616) პირდაპირ მიუთითებს, რომ „კათოლიკეთა და ყოველთა აღმოსავლეთის ეკლესიისა ქრისტიანეთა დიდი პატივისცემაა ჯვრის მონასტრისად-

მი“ (პუტეშესტვიე პო სვიატიმ მესტამ ი ვ ევიპეტ კნია-ზია ნ. რადზივილა, პეტერბურგი, 1787, გვ. 131).

კიდევ უფრო რთული პირობები შეექმნათ ქართულ მონასტრებს XVII საუკუნეში. „ისინი კნინლა დაინგრნენ... ჯვრის მამებიდან — გაბრიელი მოჰკლეს, იოსები — ღამით გაიქცა იერუსალიმიდან, მელეტი კი რამდენი წელიწადია სადილეგოშია (დოსითეოზის წერილიდან). მართალია, საქართველოდან თითქოს გაძლიერდა კიდევ შეწირულებანი და სხვა სახის დახმარება (ჯვრის მონასტრისათვის საქართველოში ბეგარაც კი აიკრიფა), რომლის მიზანი იყო სხვათა ხელში გადასული საკანების დაბრუნება, ძველ ნაგებობათა აღდგენა, მაგრამ ამით საქმეს არაფერი ეშველა.

XVII საუკუნეში, ვინც იერუსალიმის ქართული კოლონიის — დაკნინების უამს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იერუსალიმში ქართული კულტურის უდიდეს კერას — ჯვრის მონასტერს, იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (1585—1659), რომელიც ჯვრის მონასტერს მოეკვლინა არამართო დამხმარედ, არამედ წინამძღვრად და მეთაურად. იგი დიდი ქართველი, გამოჩენილი პიროვნებაა. რომში განათლების მიღების შემდეგ, მოღვაწეობდა კახეთში თეიმურაზ პირველთან, იმერეთში ალექსანდრე მეფესთან, სამეგრელოში ლევან დადიანთან; მოკლელი ჰქონდა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა; 1614—1626 წლებში ცხოვრობდა იერუსალიმში, განმეორებით 1643—1649 წლებში კვლავ იერუსალიმშია, როგორც ჯვრის მონასტრის მამა და ხელმძღვანელი.

„სამცხე თურქთა დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს. მას უამთა მომხვდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა... ესრეთ შევაძკვე (ჯვრის მონასტერი) რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი გაკვირდა“, — გადმოგვცემს ნ. ჩოლოყაშვილის შესახებ წარწერა (ა. ცაგარელი, „სვედენია“, 1, 3, გვ. 51—52). ნ. ჩოლოყაშვილის დამსახურება ჯვრის ტაძრის განახლებაში საგანგებოდაა წარმოჩენილი ბერძნულ წარწერაშიც 1643 წელს (იხ. პ. იოსელიანი, რაზმორ ნეოტორიხ ნაღბისეი გრუზინსკიხ“, პეტერბურგი, 1865, II, გვ. 142).

მიუხედავად ნ. ჩოლოყაშვილის დიდი მცდელობისა და აღმშენებლობითი საქმიანობისა, განსაკუთრებით ჯვრის მონასტერში ქართულ კოლონიას მაინც არაფერი ეშველა, — ეკონომიურად და უფლებრივად სულ უკან-უკან მიდიოდა მისი საქმე. ვერც დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძის იერუსალიმში რამდენიმე ჩასვლამ, ვერც ქართლის მეფის გიორგი XI დახმარებამ და ჯვრის მონასტრის ვალებისაგან გათავისუფლებამ, ვერც პილიგრიმების ღვაწლმა, ვერც საქართველოში არსებულ ჯვრის მონასტრის ყმა-მამულებიდან გაგზავნილმა საფასურმა, ვერც ჯვრის წინამძღვრების საკალმასოდ ჩასვლამ საქართველოში და ვერც იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქების ჩასვლამ საქართველოში (ამ საუკუნეში იერუსალიმის ოთხი პატრიარქიდან 3 — თეოფანე, პაისიოსი და დოსითეოსი — ეწვივნენ საქართველოს) და ვერც ქართველი მეფეებისა და მთავრების დიდი შეწირულებით — ქართული საკანების ვალებისაგან გათავისუფ-

ლებამ და ქართველებზე „დაბრუნებამ“, ვერ უშველა საქმეს, — ქართულ მონასტრებს უცხოელები დაუფლნენ.

ამავე პერიოდიდან, ბერძენმა მღვდელმთავრებმა მშობლიურ სავანეებს ჩამოაშორეს ქართველები და სხვადასხვა ეკლესიაში დაქსაქსეს. ჯვარში დარჩენილებს ჯერ სასტიკად შეუზღუდეს, ხოლო შემდეგ მთლიანად ჩამოართვეს გამგებლობა. 1749 წლისათვის უკვე მთლიანად ბერძენები დაუფლნენ მონასტერს და მის უდიდეს სიმდიდრეს (იხ. რუსი მოღვაწის სერაპიონის ცნობები ქართული მონასტრების შესახებ).

ამ დროის საქართველო თურქთა და სპარსთა დაუსრულებელი შემოსევებისაგან დაუძლურებულია. მოშლილია ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება. თვით ქართველ მეფეებს ხშირად საკუთარ სამფლობელოშიც აღარ ედგომებოდათ. დიდი მცდელობა აქვთ დახმარება მიიღონ ჩრდილოეთიდან — ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსაგან...

ასეთი მდგომარეობა შესაძლებლობას არ იძლეოდა აქტიური მოქმედებისაკენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ქართველებს თითქოს „დაავიწყდათ“ ძველი ტრადიციები, მამა-პაპათა სისხლითა და ცეცხლით ნაწერი ისტორია... მათი წმიდა ადგილები (მაგრამ ეს „დაავიწყება“ პირობითი გამოთქმაა — იერუსალიმის საბატარიარქო, მე-19 საუკუნის მანძილზეც, გარდა საქართველოდან გაგზავნილი საჩუქრებისა, თავისი წარმომადგენლებით — ბერძენი ბერების მეშვეობით იღებდა საქართველოდან კარგ შემოსავალს — გადასახადებს ერთი მხრივ — ყმა-მამულებისაგან (სოფლებიდან — მარტყოფი, კონდოლა, წინანდალი და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ, — თბილისის ჯვრის მამის ეკლესიისაგან, რომლის ხელმძღვანელი წარმომადგენდა აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის რწმუნებულს, აგროვებდა შეწირულებებს და უგზავნიდა ჯვრის მონასტერს).

სწორედ ამ პერიოდში მოისმის იერუსალიმიდან „წმიდა საფლავსა და სისხლს მეწამულს ვოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალე ქართველი ქალის“ გოდება-ლადლისი ეროვნული ღირსების დასაცავად, წმიდა ადგილების შესანარჩუნებლად და, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული სულის გადასარჩენად. საბრალე მონოზონი მართა წერილით მიმართავს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს (1696—1742) და წერს: „ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ?.. წამობრძანდით, ამათა აღარა უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების!... ნუ იქნთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იმოვნოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ... დიდი სირცხვილი არ არის ესა, რომ პატროსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სხვებმა იშოვნეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სხვათა აქუს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათ შიში და მოლოდინი აქუს და ჩვენი სამწირველო ისრეე მორთული არის: თუ არ მოხვალთ, დააქცევენ... ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრეე მოცემთ. უსაცილოდ

ვოლგოთასაც და გეტსამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი ვოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგად არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წაზდა საქმე... თუ ასრე არა იქო, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქო, სხვას ნუ უყურებთ... თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რასდა სჯული და რაღა პირჯვრის წერა გექნებათ“ (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 0191—0192).

ასეთივე დიდ გულისტკივილს გამოხატავს XIX საუკუნის დასაწყისში ქართველთა კოლონიის მონახულების შემდეგ, ღვდელმონოზონი ლავრენტი გუგელაძე: „თქვენ პატიოსანო მამაო ქართველნო... გაკვირვებულ ვარ რასათვის გავიშვიათ და დაავიწყებიათ დიდებული და ნათლით შემოსილი ესე ქალაქი იერუსალიმი. ჰეი, უდებებასა და უსასოებასა ჩვენის ქვეყნისა...“

„ჩვენს ეკლესიებში ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ქვეყნის ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია და ვინც ამ ჯვრის მონასტერში (მოხვიდეთ), ვოლგოთის სვინაქსარი აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ, თუ ვისია ვოლგოთა. და აქა ჯვრის მონასტერში მხედრული დაწერილი მოსახსენებელი სახელები განიხილეთ დოსითეოს პატრიარქის დროს და მით სცნობთ, ამ წმიდა ალაგის ამბავს და ვინც ამოიკითხოთ, ცოდვილისა მონოზონის ლავრენტიანთვის შენდობა ბრძანეთ“ (იხ. ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 43; ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, ჯანაშაის სახელობის მუზეუმის მოამბე, XV-3, 1948, გვ. 39—40).

შუენდოთ ღმერთმა ჩვენს ღირსეულ წინაბრძნებს — მონოზონ მართას და მღვდელ ლავრენტის (მათაც, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საქმეში), მაგრამ მათ არ იცოდნენ ისტორიული მოვლენების მსვლელობა თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში, რომ არათუ იერუსალიმისა და სხვა საზღვარგარეთულ სავანეებში (ათონი, კონსტანტინეპოლი, კვიპროსი, პეტრიონი და სხვ.), არამედ საქართველოს შიგნით არსებული ეკლესია მონასტრებიც ისტორიული ავებლობით, გაუკაცრიელების გზაზე იდგა...

„შეჭირვებაში“ და სხვის ტყვეობაში ჩავარდნილი ქართული ეკლესია რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ იხსნა, — 1811 წლიდან დაკარგული ავტოკეფალია, რომელიც საქართველოში V საუკუნიდან მომდინარეობდა, აღდგენილი იქნა და დიდი ტრადიციის მართლმადიდებელი ქართული ეკლესია თავის სამწყსოს პატრონი შეიქმნა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ყურადღება მიგვექცია ჩვენს წმიდა ადგილებისათვის და გვეზრუნა ჩვენი უფლებების აღდგენაზე.

ქართველი ხალხი კანონიერი მემკვიდრეა თავისი კულტურული წარსულისა და, ბუნებრივია, ცდილობს წინაპართა მემკვიდრეობის დაბრუნებას. დროა ეს ტრადიცია აღდგეს და წმ. ჯვრის მონასტერი ჩაბარდეს თავის ნამდვილ პატრონს, — „ღვთის მოყვარე ივერიელებს“ (დოსითეოსი). ამას მოითხოვს სამართლიანობა, ხალხთა შორის სიყვარულის, მშობისა და მეგობრობის მარადიული იდეა.

წმიდათა ცხოვრება

მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება ღვთისმშობლის შესახებ

ღვთის განგებით, ქალწული მარიამი წინასწარ იქ-
ნა გამორჩეული ადამის მოღმის გამოხსენისათვის.

როდესაც ჩვენი წინაპრები, თავიანთი შემოქმედის
მცნებას გარდახდომილნი, შიშით ისმენდნენ ჭეშმარიტი
მსაჯულის მრისხანე განაჩენს, ყოვლადწმიდა ქალწული
მაშინ გამობრწყინდა ვითარცა ალიონი; ხოლო ამ განა-
ჩენში გამოანათა ღვთის მოწყალების აღთქმამ ცოდვის
შეილის მიმართ: „თესლი დედაკაცისა გასრესს თავსა
გველისასა“.

ღმერთმა ეს აღთქმა არაერთხელ გაიმეორა, რათა
მოეშადებინა კაცობრიობა მხსნელის მისაღებად; საუ-
კუნეს მისდევდა საუკუნე, იცვლებოდნენ წესები და ჩვე-
ულებები, მაგრამ ხალხს ურყევად შემოენახა სასოება
მხსნელზე, რომელიც ქალწულისაგან უნდა განხორციე-
ლებულიყო. ხუთმა ათასწლეულმა განვლო და, ბოლოს,
ღვთის განგებით დანიშნულ დროს აღსრულდა ყველა
წინასწარმეტყველება, სამყაროს ჰორიზონტზე გამოჩნდა
მანათობელი ვარსკვლავი, რათა ცოდვიანი კაცობრიობა
მიეყვანა მხსნელამდე.

ყველა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები აღია-
რებდნენ დიდებულ მოძაველს ქვეყნისას ყოვლადწმიდა
ქალწულისაგან. დიდმა წინასწარმეტყველმა ისაიამ შეს-
ძახა ამის გამო. „აჰა ესერა ქალწულმან მუცლად იღოს
და შვას ყრმა და უწოდონ სახელი ემმანუილ რომელი
არს თარგმანებით ჩვენთა არს ღმერთი“ (ის. 7, 14.
მთ. 1, 23).

ძველ აღთქმაში ნათლად არის ნაჩვენები, რომ
ღვთისმშობელი დაიბადება ტომისაგან დავითისა.

შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა

იუდეაში ცხოვრობდნენ ღვთისმოშიშნი ცოლ-
ქმარნი იოაკიმე და ანა. იოაკიმე იყო დავით მეფის
ჩამომავლობისა და ანა არონ მღვდელმთავრისა. მათ
შვილი არ ჰყავდათ და ძლიერ სწუხდნენ უშვილობას.
ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მიენიჭებია მათთვის შვი-
ლი. ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და გაუჩნდათ ერთი
ქალიშვილი, რომელსაც დაარქვეს სახელად მარიამი.
მარიამის დაბადების დღეს ვდღესასწაულობთ რვა სექ-
ტემბერს და ვუწოდებთ ღვთისმშობლის შობას, ანუ მა-
რიამობას.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

გავიდა სამი წელი ყოვლადწმიდა ქალწულის მარი-
ამის შობიდან; იოაკიმ და ანამ განიზრახეს შეესრულე-
ბინათ მათი აღთქმა ღმერთის მიმართ, ამის შესახებ
იწინასწარმეტყველა დავითმა: „ისმინე ასულო, და იზი-
ლე; და მოყავ ყური შენი, და დაივიწყე ერი შენი, და
სახელი მამისა შენისა. და გულმან უთქვას მეუფესა სი-
კეთისა შენისა!“ (ფს. 44, 11-12). წმიდა ყმაწვილი ქალი
შედის წმიდათა-წმიდათაში, რითაც საწყისი ეძლევა
აღამიანთა მოღმის ღმერთამდე აყვანას. მღვდელმთა-
ვარმა ზაქარიამ მიიღო მარიამი, მაგრამ ის არ გაჩერე-
ბულა მასთან ერთად იქ, სადაც ჩვეულებრივ დგებიან
მლოცველები, არამედ შეიყვანა ის პირველ და მეორე
ფარდის იქით, ე. ი. შიდა ტაძრის სიღრმეში, „წმიდა-
თა-წმიდათაში“, სადაც შესვლა არ შეეძლოთ არა თუ
ქალებს, არც მღვდლებს, მხოლოდ მღვდელმთავარი შე-
დიოდა წელიწადში ერთხელ, ისიც ხანგრძლივი ლო-
ცვისა და მარხვის შემდეგ.

მღვდელმთავარმა, როდესაც შეიყვანა ქალწული მა-
რიამი წმიდათა-წმიდათაში, მას აქ განეკუთვნა ადგილი
სალოცავად. დანარჩენ დროს ყოვლადწმიდა ქალწული
ატარებდა ქალწულთა სავანეში სოლომონის ტაძრის
ფართო მინაშენებში. მან მალე ისწავლა საღვთო წერი-
ლის კითხვა, კერვა და ქსოვა, განსაკუთრებით უყვარდა
სამღვდლო შესამოსლის შეკერვა. დილას ის ატა-
რებდა ლოცვაში, დღისით ხელსაქმობდა და წმიდა წე-
რილს კითხულობდა. საღამოს კვლავ ლოცვას უთმობდა.

იოაკიმე და ანა ხშირად აკითხავდნენ თავიანთ
შვილს. თორმეტი წელიწადი ცხოვრობდა ყოვლადწმიდა
ქალწული მარიამი სოლომონის ტაძართან. ხშირმა გამო-
ცხადებებმა ანგელოზებისა უფრო მეტად გააღვივა მასში
სურვილი, დარჩენილიყო ქალწულად სამუდამოდ. ის იყო
ქვეყანაზე პირველი ქალწული, რომელმაც თავისი თავი
ღმერთს დაუწინდა და სიწმიდე არჩია ცოლქმრულ
ცხოვრებას.

ყოვლადწმიდა ქალწულის დაწინდვა

როდესაც მარიამს შეუსრულდა 14 წელი და 11
დღე, მღვდელმთავარმა გამოუცხადა ჩვეულების თანახ-
მად, რომელსაც კანონის ძალა აქვს, ვალდებულია და-

ტოვოს ტაძარი, გათხოვდეს და დასახლდეს თავის სახლში. ყოვლადწმიდა ქალწულმა წყნარად მიუგო, რომ ის თავისი დაბადებით მშობლების მიერ შეწირულია ღვთისათვის. ღმერთს თვითონაც მისცა პირობა „მარადის ეგოს ქალწულებასა ზედა“.

ანგელოზის მითითებით მღვდელმთავარმა ზაქარიამ შეკრიბა ტაძართან 12 ღვთისმოსავი და ღრმად მოხუცებული ადამიანები ღვთისის მოდგმიდან, გამოართვა მათ კვერთხები, შევიდა ტაძარში და სახალხოდ ილოცა, თვითონ ღმერთმა გამოარჩიოს კაცი, რომელიც ღირსი იქმნება ქალწულის დაწინდვისა. მაშინ დაინახეს, რომ იოსების კვერთხი აყვავებულა, ხოლო როდესაც მღვდელმთავარმა დაარბია კვერთხები და მისცა უკანასკნელი იოსებს, ყველამ დაინახა, რომ ზემოდან გადმოფრინდა მტრედი და დაჯდა მის კვერთხზე. იოსები, რომელიც ქალწულ მარიამს ნათესავად ეკუთვნოდა, უმწიკვლო ცხოვრებას ეწეოდა და მოუთმენლად ელოდა მესიის მოსვლას. მან მიადგინა ღრმა სიბერეს (ის ამ დროს 80 წელზე მეტისა იყო). იგი დიდი ხნის დაქვრივებული იყო, თავისი ცოლის სალომეს გარდაცვალების შემდეგ. მისგან ჰყავდა ექვსი მოზრდილი შვილი 4 ვაჟი: იაკობი, იოსია, სიმეონი და იუდა; 2 ქალიშვილი: მარიამი და სალომია. დამწინდებელ იოსების შვილები იწოდება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ძმებად და დეზად. სალომეს შვილები იაკობი და იოანე მის დისწულეებად. იოსები დაემორჩილა ღვთის ნებას, მას დაევალა მარიამის ქალწულების დაცვისათვის ზრუნვა. ქალწულ მარიამს ჰქონდა გამოცხადება, მას არ შინებოდა წასვლისა მართალ იოსების სახლში, რომელიც ქმრის სახელით იქნებოდა მისი ქალწულების დამცველი.

იოსები იყო ღვთის მეთვლიკე, რომელმაც კერ შეინარჩუნა წინაპართა სიმდიდრე და ცხოვრობდა ჩვეულებრივი შრომით. ღვთაებრივი მარიამი ხელსაქმით ეზმარებოდა მას. ზურო იოსები ცნობილი იყო კეთილშობილებით და ხასიათის სიმტკიცით, სიწმიდისავე სწრაფვით. თავმდაბალი ზურო იყო თავისი ხალხის საუკეთესო შვილი და მარიამს სწამდა მისი სახით ღმერთი აძლევს მას მამას და მცველს მისი ქალწულებრივი ცხოვრებისათვის.

ს ა რ ე ბ ა

მარიამი კითხულობდა საღმრთო წერილს. ამ დროს გამოცხადდა მას მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის რამეთუ პოვე მადლი წინაშე ღვთისა და აჰა ესერა შენ მუცლადილო და შვა ძე, და უწოდო სახელი იესო. ესე იყოს დიდი და ძე მადლისა ეწოდოს მას დ მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი ღვთისისი, მამისა თვისისა და სუფევისა მისისა არა იყოს დასასრულ“. ქალწულმა მარიამმა მშვიდი გულით მოისმინა ეს კეთილი უწყება. ამას ვლდესასწაულობთ 25 მარტს და ეუწოდებთ ხარებას.

ქ რ ი ს ტ ე ს შ ო ბ ა

როდესაც მოახლოვდა იესო ქრისტეს დაბადების დრო, ავეუსტე კეისარმა, რომის ხელმწიფემ, გამოცა ბრძანება ხალხის სიის შედგენაზე. ბრძანება იყო, ვის წინაპრებსაც სადაც უცხოვრიათ წინათ, იქ უნდა წასულიყვნენ და ჩაწერილიყვნენ. იოსების და მარიამის წინაპრები ბეთლემში ცხოვრობდნენ და ამიტომ ისინი იქ წავიდნენ. ბეთლემში რომ მივიდნენ, ხალხის სიმრავლისაგან დასადგომი ბინა ვერ იშოვეს; ნახეს ერთი გამოქვაბული კლდე, რომელშიაც მწყემსები ცუდ ამინდში საქონელს შერეკავდნენ და დააბინავდნენ ღამე. აი აქ შეაფარეს მათ თავი. სწორედ იმ ღამეს დაიბადა მხსნელი სოფლისა მარიამისაგან. ამას ვლდესასწაულობთ ოცდახუთ დეკემბერს და ეუწოდებთ ქრისტეს შობას.

წ ი ნ ა დ ა ც ვ ე თ ა უ ფ ლ ი ს ა

ყოვლადწმიდა მარიამმა ღვთაებრივ ყრმასთან და იოსებთან ერთად ორმოცი დღე დაჰყო ბეთლემის გამოქვაბულში. რვა დღის შემდეგ, მოსეს კანონის თანახმად, შესრულებული იქნა წინადაცვეთა უფლისა და ეწოდა მას სახელი იესო; სახელი ნიშნავს მაცხოვარს ანუ ქვეყნის გამომსყიდველს. ეს კანონი გამოცხადებული იქნა სინას მთაზე.

წინადაცვეთა წარმოადგენდა ნათლობის პირველსახეს და როგორც ნათლობა ნიშნავს ვნებების აღკვეთას, ჰუმპარიტ სინანულს და ღმერთთან ახალ ცხოვრებაში შესვლას.

ძე ღვთისა, ადამიანთა მოდგმის მხსნელი, არ საჭიროებდა წინადაცვეთას, მაგრამ კანონის თანახმად მიიღო ის თავის თავზედა, რათა მიმდევრებისათვის მიეცა მაგალითი საეკლესიო კანონებისადმი მორჩილებისა. მსოფლიოს მეუფემ და შემოქმედმა მიიღო მონის სახე, რათა ამგვარად ეხსნა კაცობრიობა ბოროტებისა და წარწყმედისაგან.

მ ო გ ვ ე თ ა მ ი ა რ თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ვ ა მ ა

ქრისტეს შობის წინ ბეთლემიდან აღმოსავლეთით გამოჩნდა ვარსკვლავი, რომელშიც ქალდეველმა მოგებმა წინასწარმეტყველ ვარლამის მიერ ქრისტეს შობამდე 1450 წლით ადრე წინასწარადტქმული იაკობის ვარსკვლავი შეიცნეს. ამ თქმულებასთან დაკავშირებით მთელს აღმოსავლეთში ოდიოთაგვე გავრცელებული იყო რწმენა, რომ იუდეაში დაიბადება მეფე, რომლის მეუფება მთელს ქვეყანაზე გავრცელდებოდა და რომლის დაბადება გვეუწყება არაჩვეულებრივი ვარსკვლავის გამოჩენით.

ვარსკვლავი გვაუწყებს ღვთიური მეუფის დაბადებას, რასაც ასე ელოდნენ. მოგვები გაემართნენ იერუსალიმში, რათა მოეძებნათ მეუფე ქვეყანისა და თაყვანი ეცათ მისთვის.

ეს მოგვები ანუ მთავრები იყვნენ აღმოსავლეთიდან. მათ მოგვები ეწოდებოდათ არა იმიტომ, რომ მის-



ნობას ან გრძნეულებას ეწოდნენ, არამედ იმიტომ, რომ სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ასე ეძახდნენ ბრძენთ, ვინც აკვირდებოდა ბუნებას, განსაკუთრებით ვინც ვარსკვლავთმრიცხველობას სწავლობდა.

მოგვები დიდხანს დაეხეტებოდნენ პალესტინაში უდაბნოს ქვიშიანი გზებით; მათ წინ უძღოდათ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ისე, როგორც ოდესღაც ცეცხლოვანი სვეტი ლტოლვილ ისრაელთ გზის მაჩვენებლად ეგვიპტიდან მეწამული ზღვის ნაპირამდე აცილებდა. იერუსალიმში შესვლის წინ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უჩინარი ხდება გაოცებულ მოგვთა თვალთაგან. მათ შეეითხვაზე, თუ სად იშვა იუდეის მეფე, შეცბუნდა იროდი და მასთან ერთად მთელი იერუსალიმი. მოიწვია მოგვები და მათგან შეიტყო ვარსკვლავის გამოჩენის დრო. მის სულში უკვე მომწიფდა გეგმა, მოეკლა ყრმა, მაგრამ მან მოგვებს განუცხადა, რომ ბეთლემში უნდა შობილიყო აღთქმული მეუფე, და სთხოვა მათ წასულიყვნენ იქ და გულდასმით დაეხეურათ ის ადგილი, სადაც ყრმა იშვა, და როდესაც იპოვნიდნენ მას, სასწრაფოდ შეეტყობინებინათ იროდისათვის, „რომ მასაც თავიანი ეცა მეუფისათვის“.

როგორც კი მოუსმინეს იროდის, ისინი გაემართნენ იერუსალიმიდან ბეთლემში.

გამოქვაბულში შესული მოგვები, მოკრძალებით შევიდნენ მიწისქვეშა ტაძარში და მუხლმოყრით თავიანი სცეს ყრმას.

ყოვლადწმიდა დედა და უმწიკვლო დამწინდველი შეცბუნებული სჭვრეტდნენ აღმოსავლეთის მოგვთა ამ მოკრძალებულ თავიანთსცემას, ყურადღებით ისმენდნენ მათ სიტყვებში უცნობი ვარსკვლავის სასწაულებრივი გამოჩენების ამბავს, უკვირდით წარმართების მაღლით აღვსება, უკვირდით მათი შორეული მოგზაურობაც. დიდმა ნათელმა განანათლა ბნელში მავალი მოგვებიც, ისევ დაემხვნენ მიწაზე, თავიანი სცეს ღვთაებრივ ყრმას და მის ყოვლადწმიდა დედას! ანგელოზმა, რომელიც მოგვებს სიზმარში გამოეცხადა, აუხსნა მათ იროდის ბოროტი ზრახვები და უბრძანა დაბრუნებულიყვნენ სხვა გზით.

საღმრთო გამოცემა გვამცნობს, რომ ყრმა იესოს ეს ბრძენი თავიანთსცემლები, განათლებულნი ღვთაებრივი სიბრძნით, შემდეგში მონათლნენ მოციქულ თომას მიერ, რომელიც სპარსეთში ქადაგებდა სახარებას.

პირველი უფლისა

ებრაელების ქვეყანაში, მოსეს სჯულისამებრ, დაწესებული იყო — პირველი ვაჟიშვილი, რომ შეიქმნებოდა ორმოცი დღისა მიიყვანდნენ ტაძარში და მიიტანდნენ შესაწირავს. მდიდარნი ცხვარს ან ხბოს და ღარიბნი — ორი მტრედის მართვეს.

აღსასრულელად სჯულისა, იოსებმა და მარიამმა მეორმოცე დღეს მიიყვანეს იესო ქრისტე იერუსალიმის ტაძარში და სიღარიბისა გამო, შესაწირავად მიიტანეს ორი მტრედის მართვე. იერუსალიმის ტაძარში იყო მოხუცებული კაცი სიმეონი, რომელსაც შთაგონებული ჰქონდა სულისაგან წმიდისა, რომ იგი არ მოკვდებოდა ვიდრემდე არ იხილავდა მხსნელსა სოფლისას. სიმეონმა იხილა თუ არა იესო, მიირქვა მკლავზე და თქვა: „აწ განუტევე მონა შენი, უფალო, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი...“ იერუსალიმის ტაძარში იყო ოთხმოცდა ოთხი წლის ქერივი წინასწარმეტყველი ანნა, რომელმაც სთქვა: „სწორედ იესო არილ მხსნელი სოფლისა“. ამ დღესასწაულს ეწოდებოდა მირქმას და იღვესასწაულება 2 თებერვალს.

ღმრთა ეგვიპტედ

მოგვებმა არ შეასრულეს მეფე იროდის სურვილი, არ დაბრუნდნენ იერუსალიმში; შიშისა და ბრახისაგან გონებადკარგულმა იროდიმ გასცა ბრძანება, რომ ბთლემსა და მის შემოკარგნში ამოეწვეცათ ყველა მამრობითი სქესის ახალშობილი ორ წლამდე. დარწმუნებული იყო, რომ მათ რიცხვში მოყვებოდა ახალშობილი მეუფე იუდეისა. 14 ათასი ჩემი პატივმოყვარე ბოროტმოქმედის მსხვერპლი შეიქმნა.

ანგელოსი უფლისა გამოეცხადა ძილში იოსებს და ჰრქვა მას: „აღზდევ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მავისი და ივლტარე ეგვიპტედ... ეგულები იროდის მოძიებად ყრმა ეგე და წარწყმედად“ (მთ. 2, 13).

იმავე დამეს იოსებმა და ყოვლადწმიდა მარიამმა ხელში აიყვანეს ყრმა იესო და გაემართნენ ეგვიპტეს.

წმიდა ოჯახი ეგვიპტეში მეფე იროდის სიკვდილამდე დარჩა. ანგელოზი კვლავ გამოეცხადა იოსებს და უთხრა: „აღზდევ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მავისი და წარვედ ქვეყანად ისრაელისა, რამეთუ მოქსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მავისასა“ (მთ. 2, 20).

ამ დროს იოსებს კვლავ გამოეცხადა ანგელოზი. მან გაიგო, რომ იროდის სიკვდილის შემდეგ პურიასტანში მისი შვილი არხელაოს მეფობს. მას შეეშინდა დარჩენისა, რათა თავისი იქ ყოფნით ახალი დევნა არ გამოეწვია. მაგრამ მას ეწვია ანგელოსი უფლისა, დაამშვიდა და უთხრა, რომ გასცლოდა გალილეას და დასახლებულიყო ნაზარეთში.

ცნობრება წმიდა ოჯახისა ეგვიპტიდან დაბრუნების შუამდგომლობა

წმიდა ოჯახი დაბრუნდა ნაზარეთში. აქ ცხოვრობდა ქალწული მარიამი თავის ღვთიურ ყრმასთან და მართალ იოსებთან ერთად, ვიდრე უფალი იესო 30 წლის შეიქმნებოდა.

ყოვლადწმიდა ქალწული განაგრძობდა თავის უწინდელს საქმიანობას, ღოცულობდა, კითხულობდა, აკეთებდა ხელსაქმეს. ბეჯითად შრომობდა, მოქსოვა შესანიშნავი კვართი, რომელიც შემდეგ გაუხდელად ეცვა იესოს. კვართი ესე მთლიანი იყო, გაუკვრავი, წითელი ფერისა.

წმიდა ოჯახის ცხოვრების უბრალოებისა და სიმყუდროვის გამო მათი არსებობა გაუგებარი იყო ბევრისათვის და იმდენად, რომ მოციქულ ნათანაილს, რომელიც გალილეადან იყო, ნაზარეთიდან ერთი საათის საეაღზე, არაფერი არ სმენოდა იესოზე და მხოლოდ ფილიპე მოციქულისაგან შეიტყო, რომ იესო ნაზარეთში ცხოვრობს.

მწუხარება ეწვია წმიდა ოჯახსაც. მოხუცი იოსები 110 წლისა გარდაიცვალა, დაკარგულია იგი პეფსიმანიის გამოქვაბულში. წმიდა მარიამმა დაკარგა თავისი ამქვეყნიური მეურვე და მთლიანად მიენდო ზეციური მამის მფარველობას.

ასე გაიარა მაცხოვრის 30 წელმა, ისე რომ ბევრმა არაინი იცოდა მისი არსებობის შესახებ.

30 წლის იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემლისაგან მონათლა მდინარე იორდანეში.

ნათლობის დროს მასზედ გადმოვიდა სულიწმიდა და დაადგა თავზე მტრედის სახით და ამავე დროს ზეციდან მოისმა მამა ღმერთის ხმა „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავო“. ამრიგად ამ დღეს მოხდა უდიდესი განცხადება წმიდა სამებისა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მოწმე იყო ქრისტე მაცხოვრის პირველი დევნისა ნაზარეთში, მისი ქადაგების შემდეგ, ქრისტე კაპერნაუმს დაბრუნდა, სადაც გაჰყვა მას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამ კლეოპასას მის ნათესავებთან ერთად.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მორწმუნე ქალებთან ერთად ყოველ წელს დადიოდა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე.

უფალ იესოს დედამიწაზე ყოფნის ბოლო წლებში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს არ შეეძლო მუდამ მასთან ყოფნა; მაგრამ მისი ღვთიური შვილის წამებისა და სიკვდილის დროს იგი იერუსალიმში იყო და სხვებთან ერთად მოწმე გახდა ვოლგოთის საშინელებისა.

იგი ხედავდა, თუ როგორ მზადდებოდა დასჯა, ესმოდა ჩაქუჩის დარტყმა, რომლითაც მისი შვილის ხელფეხი მიაჭედეს ჯვარზე: შიშით, ენით უთქმელი ტკივილით შეჭყურებდა იგი შვილის წამებას, მას ესმოდა, რომ ამ ჯვარზე კაცთა მოდგმის ცოდვათა გამოსყიდვა ხდებოდა, რომ შვილმა მისმა ადამიანის ღმერთთან შერიგებისათვის საკუთარი თავი მისცა მსხვერპლად. ამის შემდეგ ყოვლადწმიდა მარიამი ცხოვრობდა იოანე ღვთისმეტყველთან.

საეკლესიო გადმოცემა ირწმუნება, რომ იესო ქრისტე თავისი აღდგომის შემდეგ, ყველაზე უწინ გამოეცხადა თავის დედას. აღდგომილი მხსნელი პირველად დაინახა და იცნო მისმა დედამ; ის გახდა მის მოციქულთა შორის მოციქული. ის პირველი ჩაწვდა მომზადარი მოვლენის საიდუმლოებას. ძლიერი მიწისძვრა, ახდელი საფლავები, მზის დაბნელება, ყარაულების დაცემა, ღო-

დის გადაგორება, სამარხის დაცარიელება, ხილვა ანგელოზისა — ყველა ეს იყო მისი რწმენისა და აღდგომილი შვილისა და ღმერთის ნახვის მოლოდინის აღსრულება.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ცხოვრება იესო ქრისტეს ამაღლების შაჰადეზი

თავისი აღდგომის შემდეგ უფალმა იესო ქრისტემ ორმოცი დღე დაჰყო დედამიწაზე და ათჯერ გამოეცხადა თავის მოწაფეებს. ელენის მთაზე დალოცა ისინი, გაშალა ხელები და ყველას თვალით ამაღლდა ზეცად — შეჰპირდა მათ რომ მოუვლენდა სასწაულებრივ ძალას სულიწმიდის გარდამოსვლით. იესო ქრისტეს ამაღლებას ესწრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი.

იესო ქრისტეს ცაში ამაღლების შემდეგ მოციქულები მარიამთან და სხვა წმიდა დედაკაცებთან ერთად დაბრუნდნენ იერუსალიმში. ისინი შეიკრიბნენ და იქ ლოცულობდნენ. ეს იყო ის ოთახი, სადაც იესო ქრისტემ შეასრულა საიდუმლო სერობა. სიონის მთამ ახალ აღთქმაშიც დაიმკვიდრა დიდი ადგილი, როგორც წინასწარმეტყველებდნენ მის შესახებ წინასწარმეტყველები: სიონიდან გამოვალს კანონი და სიტყვა ღვთისა იერუსალიმიდან (რომ. 9, 33. 11, 26).

ამ დიდებული სახლის ახლოს იყო იოანე ღვთისმეტყველის სახლი, რომელშიც უფლის ანდერძის თანახმად იმყოფებოდა ყოვლადწმიდა მისი დედა. ყველა ღოცავდა ყოვლადწმიდა მარიამის კურთხეულ სახელს და საერთო მოკრძალება მისადმი უსაზღვრო იყო.

სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, ღვთისმშობელი ყველა მოწაფეებთან ერთად იყო ოთახში. უეცრად დღის მესამე საათზე ჰაერში გაისმა ძლიერი ხმაური, როგორც ქარიშხლის დროს და აავსო სახლი, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, გამოჩნდა ცეცხლის ენები და ყველა იქ მყოფთ დაადგრა და ყველა აღივსო სულიწმიდით. ეს მოხდა უფალი იესოს აღდგომის ორმოცდამეათე დღეს.

იროდი აგრიპამ 44 წლის შემდეგ ქრისტეს შობიდან, დაუწყო ქრისტიანებს დევნა, მაშინ მოციქულებმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის რჩევით უმჯობესად სცნეს დაეტოვებინათ იერუსალიმი, თუ ვინ სად, რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო სახარების საქადაგებლად, ამისთვის იყარეს წილი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს წილად ზედა ივერიის ქვეყანა (საქართველო), მაგრამ ან-

გელოზმა აუწყა მას, რომ ის უნდა დარჩეს იერუსალიმში, რომ შემდგომ მოგვიანებით მიაღებს მონაწილეობას აღთქმული ქვეყნის განათლებაში, რის შესახებაც თავის დროზე გაიგებს ღვთის ნებას.

ღვთისმშობელი იერუსალიმში ლოცულობდა. მისი ლოცვით ღმერთმა გამოგზავნა ანგელოზი შეპყრობილ მოციქულთა გასათავისუფლებლად. ის მიჰყვებოდა პირველმოწამე სტეფანეს, როდესაც იგი სასიკვდილოდ მიყავდათ.


ღვთისმშობელმა განანათლა ათონის მთა, სადაც აღრე ელინები კერპებს სცემდნენ თავყვანს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება

ქრისტეს ჯვარცმისა და ზეცად ამაღლების შემდეგ ღვთისმშობელი დაღა იოანე ღვთისმეტყველის სახლში თხუთმეტი წელიწადი და მიიცვალა ქრისტეს შობიდან 48 წელსა, კლავდიუსის მეფობისას, სულ ღვთის მშობელმა იცოცხლა 63 წელი, ხოლო წმიდა ეპიფანეს გადმოცემით — 74 წელი.

ღვთის განგებით მისი გარდაცვალების დღეს შეიკრიბნენ ყველა მოციქულები, გარდა თომა მოციქულისა. დამარხეს იგი გეტსამანიის ბაღში. დასაფლავების მესამე დღეს მოვიდა თომა მოციქული, იგი დაღონებული იყო, რადგან არ ესწრებოდა დასაფლავებას. სურდა ხილვა საფლავისა, მივიდა სხვა მოციქულებთან ერთად ღვთისმშობლის საფლავთან და ვერ იპოვეს გვამი ყოვლადწმიდისა. მაშინ ყველამ ირწმუნა, რომ ზორციელად, საკვირველითა განგებულებითა ღვთისათა, საფლავიდან ზეცად იქნა აყვანილი. ღვთისმშობლის მიძინებას ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესია ზეიმობს 28 აგვისტოს.

მიძინების შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა არ დაივიწყა ქვეყანა და მუდამ მფარველობს ყველას ვინც მიმართავს დახმარებისათვის. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხმობა შუამდგომლობისათვის ქრისტიანული ღვთისმსახურების შემადგენლობაში შევიდა და პირველივე საუკუნიდან ეკლესია დახმარებისათვის უხმობს და აღიღებს ყოვლადწმიდა დედას ღმერთისა ჩვენისა. ყოველი დღე საღამოს მთავრდება მისდამი ლოცვით: „ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო შეგვეწიენ და გვატხოვნენ ჩვენ“.



წმიდა ქალწულმოწამე ბარბარე

ნავთლულში, რომელიც შედის ქ. თბილისის დღევანდელი 26 კომისრების რაიონში, მდებარეობს ეკლესია, რომელიც წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს სახელს ატარებს. ეკლესია თბილისის საპატრიარქო ტაძრიდან დაშორებულია ოთხი კილომეტრით. ჩემი მიზანია მოკლედ წარმოვადგინო წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს ცხოვრება და მისი სახელობის ეკლესიის აშენების ისტორია.

წმიდა ქალწულმოწამე ბარბარე ცხოვრობდა და ეწამა დაახლოებით 305—311 წლებში იმპერატორ მაქსიმილიანეს დროს. წარმოშობით იყო ფინიკიელთა ქ. ილიპოლიდან.

წმიდა ქალწულმოწამე ბარბარე დაბადებულია, როგორც ამას „წმიდათა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, მდიდარი წარმართის დიოსკორეს ოჯახში, რომელიც ადრე დაქვრივებულია, მაგრამ თავის ულამაზეს ქალიშვილს ზრდიდა დიდი მზრუნველობით. მამამ მას აღუენა კოშკი. დაუყენა წარმართი მასწავლებლები. ამ კოშკიდან ბარბარე ღამით აკვირდებოდა ცის მნათობთა სილამაზეს და დღისით ბუნების სიმშვენიერს. პატარა გოგონა ეძებდა მათი შექმნის მიზეზს. იგი თავის თავს უხვამდა კითხვას: უსულო კერაებს, რომელსაც მამარქმის სცემს თავჯანს, შეეძლო ამ ღამაში ბუნების შექმნა? ბარბარეს ბუნებაზე დაკვირვებამ შეუქმნა წარმოდგენა, რომ ადამიანის ხელით შექმნილ უსულო კერაებს არ შეეძლო ხილული და უხილავი სამყაროს შექმნა. ბოლოს იგი შეიპყრო ერთმა მისწრაფებამ — შეეცნო სამყაროს შემოქმედელი და მისთვის შეეწირა თავისი სიცოცხლე.

მამა—დიოსკორე ცდილობდა თავის გოგონასათვის თავიდან აეცილებინა ეს გადაწყვეტილება და ჩაება საზოგადოების აქტიურ ცხოვრებაში. ბარბარემ გაიცნო ქრისტიანი ქალიშვილები და მათგან გაიგო, რომ არსებობს ქვეყნის შემოქმედელი წმ. სამება, ღვთაებრივი ღოგოსი. გავიდა დრო და ჰელიოპოლისში ღვთის განგებით აღექვსანდრიიდან ჩამოვიდა ვაჭრის სამოსელში ვინმე ქრისტიანი მღვდელი. მან ბარბარეს მიადებინა ნათლობა. ამის შემდეგ მან იწამა წმ. სამება. მამამ — დიოსკორემ დროებით დატოვა თავისი ქალიშვილი გამზრდელბთან ერთად და თვითონ უცხო ქვეყანაში გაემგზავრა. მან დაავალა მუშებს თავის ეზოში აეშენებინათ აბანო, რომელსაც ექნებოდა ორი ფანჯარა ზეციური მნათობების სახელზე. ბარბარემ კი შეაცვლევინა აზრი მშენებლებს და უბრძანა მათ, ორი ფანჯრის ნაცვლად გაეკეთებინათ სამი ფანჯარა წმიდა სამების სახელზე. დაბრუნდა თუ არა მამა და შეიტყო ეს ამბავი, ძლიერ განრისხდა. ბარბარემ კი აუხსნა მამას წმიდა სამების საადრუშლოება. ესაუბრა ძე ღვთისას მაცხოვრებელ ძალაზე და მიუთითა მამის მიერ კერპების თაყვანისცემის ამოღებაზე, რაზედაც დიოსკო-

რემ იშვილა ხანჯალი და უნდოდა თავი მოეკვეტა თავისი ქალიშვილსათვის. გოგონა კი გაუჩინარდა შობეში. მამამ დიდხანს ეძებდა შვილი და ბოლოს შეხვდა ორ მწყემსს, რომლებმაც ანწავლეს მამას თუ სად იმყოფებოდა მისი ქალიშვილი. დიოსკორემ ცემა ქალიშვილი და ჩასვა საკანში, სადაც დიდხანს სტანჯავდნენ წყურვილითა და შიმშილით. შემდეგ კი გადასცა ქალაქის მმართველს მარტინიანეს. წმ. ბარბარეს დიდხანს აწამებდნენ. საპურობა-ლეში მხურვალედ მლოცველს გამოეცხადა თვით უფალი იესო ქრისტე, რომელმაც განკურნა მისი ტკივილები და გაამხნევა იგი. ამის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს მისი წამება. ბარბარეს შეუბრალებელ წამებას თვალს ადევნებდა ჰელიოპოლისის მცხოვრები ქრისტიანი ქალი იულიანე, რომელიც შეიპყრო სიბრალულის გრძობამ ბარბარესადმი. იულიანემაც, ამ ამბის შემყურემ, გადაწყვიტა წამებულყო ქრისტესათვის. დაიწყო მტარვალთა ბრალდება. იგი შეიპყრეს. მას დიდხანს აწამებდნენ და ბოლოს თავი მოკვეთეს. ბარბარეს კი თავი მოჰკვეთა თვით მამამ. ღმერთის განგებამ არ დააყოვნა. წმიდა მოწამეების დამსჯელნი მეხმა დაწვა. ქართულ რედაქციაში მე-10 ს-ის ხელნაწერის მიხედვით ამ ადგილის შესახებ წერია: „რ-ც დიოსკორემ ბარბარას თავი მოჰკვეთა, — მას უამსა გარდამოხდა ცეცხლი საშინელი ზეცით და დაიწვა მამა იგი მისი უშჯულოი და მოხდა ქარი ფაცხელი და განაბნია ნაცარი ნამწვისა მისისანი და ყოლად უჩინოი იქმნა ქუეყანით ვითარცა მტვერი“.

მე-6 საუკუნეში ვკითხულობთ „წმიდანთა ცხოვრებაში“ წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს ნაწილები გადატანულ იქნა კონსტანტინეპოლში მე-12 საუკუნეში. ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენის (1081—1118 წწ.) ასული ბარბარე გაჰყვა რუს თავად მიქაელ იზიასლავის ძეს და თან წაიღო წმიდა ბარბარეს ნაწილები კიევიში. ამჟამად წმიდა მოწამე ბარბარეს ნაწილები იმყოფება კიევის ვლადიმირის ტაძარში.

მართლმადიდებელ აღმოსავლეთში, და კერძოდ საქართველოში, ძველთაგანვე დამყარებული ყოფილა რწმენა ბარბარეს შესახებ, როგორც სხვადასხვა სენისგან მკურნალ და ავადმყოფობის მფარველ და დამცველ წმიდანზე.

ამ სასწაულმოქმედის შესახებ ვ. ბარდაველიძე ამბობს თავის წიგნში, რომ „წმიდა ქალწული მოწამე ბარბარე სნეულთა მფარველია. იგი შედის აბანოში, მარმარილოს ნიშზე ჭვარს გამოსახავს და იქედან უხვად წყალი გამოედინება. ამ წყალში სნეულნი ბანობდნენ და ეზეკიასავით იკურნებოდნენ. კეთროვანი ნეემანის მსგავსად იწმიდებოდა, ხოლო ეშმაკნი შიშით ადამიანებისაგან განვიდნო“.



ბარბარე ანიჭებს ადამიანს თვალის სინათლეს, იცავს მას თვალის ტკივილისაგან, გადამღებ სნეულებათაგან და ამ სენით დაავადებულებს მკურნალობს.

კ. პ. კირიონ II-ის პირად ფონდში (ფონდი 1458 არხივ. № 81) მოცემულია ნავთლუდის წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს ეკლესიის შემოსავალ-გასავლის წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ ეკლესია შედიოდა დეკანოზ პეტრე არღანიანის საბლაღოჩინოში. ეგზარქოსი ყოფილა ყდ უსამღვდელოესი იონა (ვასილიევსკი). ეკლესიის გარშემო ყოფილა სასაფლაო. დღევანდელი ბარბარეს სახელობის ეკლესია აშენებულია ძველი ხის ეკლესიის ადგილზე, რომელიც დამწვარა. „სინოდალური კანტორის მასალებში“ წერია, რომ „ობისკის წიგნი მოცემული ზონარითა და ბეჭდითა 1824 წლის ხელმოწერილი საქართველოს ეგზარქოსის მიტროპოლიტის იოანასაგან. არის დამწვარი უამსა ეკლესიის დაწვისასა“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ეკლესია დამწვარა და დაწვის დროს განადგურდა ბევრი მასალა.

ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ 1827 წლის 3 ოქტომბერს. „3 ოქტომბერს ვიწყეთ სამირკვლის თხრა“, ვკითხულობთ სინოდალური კანტორის მასალებში, გვყვანდა ექვსი მუშა. თითო მუშას ეძლეოდა ექვსი შაურის სამუშაო... ოცდამეორე ათასი აგური უბოძებია ეკლესიის ეგზარქოსს... შენობის დაწყებიდან შესრულებამდე დახარჯულია დვინო, არაყი, ხორცი და სამარხო მუშებისა, კალატოზებისა და ხუროების, რომელიც წამოუღიათ მიკიტან მამუკა დონაძისაგან, ხუთი თუმნის, ოთხი მანეთის და თორმეტი შაურის. შენობის დაწყებიდან დასრულებამდე დახარჯულა ორი ურემი პური, რომელიც უყიდიათ გორში ზუბილაშვილებისაგან რვა თუმნად.

ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ „თბილისის უეზდის სოფელ ნავთლუხის წმიდა ქალწულ მოწამე ვარვარას ეკლესია აშენებულია 1829 წელს მეცადინეობითა მღვდლის მაქსიმე ჩიჯავაძის მიერ ე. ი. ეკლესიის მშენებლობა დაწყებულია 1927 წელსა და დამთავრებულია 1929 წელს. მღვდელ მაქსიმე ჩიჯავაძის მიერ აშენებული ეკლესიის შესახებ ნათქვამია:

- ა) შენობა ქვიტკირისა, ზემოდან ხის სამრეკლოთი.
- ბ) მას შინა არს ერთი ტრაპეზი წმ. ვარვარას სახელზე.
- დ) სამკაულთა არს საშუალოდ.
- ე) კრებული ჰყავს დადებული შტატისა 1818 წლისათა — ერთი მღვდელი და ერთი დიაკონი.

სხვადასხვა პერიოდში დღემდე წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს ეკლესიაში მოღვაწეობდნენ მღვდლები იოსებ და თეოფანე ჩიჯავაძეები; ევრემ სიღამონიძე — შემდეგში კათოლიკოს-პატრიარქი; დეკანოზები — პლატონ ცქიტიშვილი, რომელმაც ეკლესიას გაუკეთა ქვიტკირის გალავანი. დეკანოზმა საბა ღურდიაშვილმა მენხის დაცემის შედეგად გაბზარულ ეკლესიას საღატები შემოართქა.

ამჟამად ეკლესიაში მოქმედებს ქართულ-რუსული გუნდი. მრევლი შერეულია. წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულს ესწრება დიდძალი ქართველობა.

1980 წლის 4 დეკემბერს წმ. ბარბარეს ეკლესიაში წირვა ჩატარა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ. წირვა-ლოცვა ჩატარდა ქართულ-რუსულ ენაზე. საღამოს მრევლი დალოცა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

დეკანოზი ა მ ი რ ა ნ შ ე ნ გ ე ლ ი ა .



წმიდა ღიღმოწამე გიორგი ძლევამოსილი

ძველად სახელოვანი იყო კაპადოკიის ქვეყანა. ძველი მოგზაური და გეოგრაფი სტრაბონი მას უწოდებდა დედამიწის ყველაზე სანუკვარ კუთხეს, რომი კი მას თვლიდა თავისი იმპერიის ერთ-ერთ საუკეთესო პროვინციად. ამ მხარეში მოსახლეობდნენ მამაცი, ძალოვანი, მეომარი ადამიანები, რომელთა შორის III ს-ის მეორე ნახევარში დაიბადა წმ. ღიღმოწამე გიორგი. იგი იყო მდიდარი მშობლების ვაჟი, თუმცა თვითონ შემოკერიბა მიწისმოქმედნი და მწყემსნი, და სახელი — „გიორგი“ (მიწისმოქმედი) მათთან მის სიახლოვეს უნდა გვახსენებდეს. მოულოდნელად მომხდარმა ამბებმა ყრმობისას წარუშლელი კვალი დატოვეს გიორგის გულში: მოწამებრივი სიკვდილით დაეღუპა მამა, რის შემდეგ ოჯახს მოუხდა მშობლიური ადგილებიდან წასვლა. რა თქმა უნდა, გიორგი თავადაც ქრისტიანული სულისკვეთებით იზრდებოდა, მაგრამ მამის სიკვდილმა ყრმა ალბათ აიძულა, დაფიქრებულიყო იმაზე, თუ რას ნიშნავს მაღალი რწმენა ქრისტიანისა, სარწმუნოებისათვის ვაჟკაცურად წამებული, სისხლით შეღებილი მამის სახე, რომელიც ურყევად და მტკიცედ დამკვიდრდა ყმაწვილის გონებაში, მისთვის გახდა უმაღლესი მაგალითი.

კაპადოკიიდან გამგზავრების შემდეგ, გიორგი დედასთან ერთად გადასახლდა სამშობლო პალესტინაში, სადაც მდიდარი სამფლობელოები ჰქონდათ. რას ფიქრობდა, რასა გრძნობდა იგი, როცა აღმოჩნდა ადგილებში, სადაც ვიდოდა ღვთაებრივი მხსნელი? იქნებ ყრმამ იმოგზაურა გალილეაში და ნახა ქვეყანა, სადაც პირველად გაისმა სახარების ქადაგება; შესაძლოა ის დადიოდა ილიუ კაპიტოლინში — ქალაქში, რომელიც ადრიანემ ააგო დანგრეული იერუსალიმის ადგილზე, რათა ელოცა ღვთის საფლავზე. უნდა ვიფიქროთ, რომ დედამისის მდიდარსა და გავლენიან ნათესავებს რჩევა-დარიგება არ მოუკლიათ ობლისათვის. რასაკვირველია, ნათესავები კაპადოკიელ ყრმას ესაუბრებოდნენ უძლეველი რომაული არწივების ხელქვეით სამხედრო სამსახურზე, საბრძოლო დიდებაზე, ვაჟკაცურ მხნეობასა და ძალაზე; და მან დაუთმო მათს შეჯერებას — შევიდა ერთ-ერთ რომაულ ლეგიონში. რომაელ მხედართა წესისამებრ, ის იწვრთნებოდა გულოვნებით, სიმტკიცით, მხედრული ვალისადმი ერთგულების გრძნობით. მაგრამ მისი გულის ყველაზე დაფარული სიღრმეს შემორჩა მოწამებრივი სიკვდილით დაღუპული მამის სახე და ხატი თვით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომლის სახელითაც აღესრულა მამამისი, და რომელიც თავისთან მოუწო-

დებდა თვით მასაც: „უკუეთუ გნებავს, რაითა სრულ იყო, წარვედ და განვიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მთ. 19:21).

გიორგი მალე გახდა ტრიბუნი ერთი ყველაზე განთქმული რომაული პოლიცისა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კომიტსარდალი და ამაღლის წვერია იმპერატორ დიოკლეტიანესი, რომლის კეთილგანწყობილებითაც სარგებლობდა. კართან სიახლოვე ნიკომიდიაში მას შესაძლებლობას აძლევდა უკეთ გასცნობოდა სახელმწიფო საქმეებს, ღრმად ჩასწვდომოდა იმ საშინელ უსამართლობას, რაზედაც აგებული იყო უდიდესი წარმართული მონარქიის დაძველებული შენობა. გიორგის სულში კრიზისი მწიფდებოდა: „მოვედ და შემომიდეგ მე“ — სულ უფრო დაბეჯითებით ესმოდა მას ღვთაებრივი ხმა. ახლა მცირედი ბიძგიც საკმარისი იყო, რათა მას გამოეცვალა თავისი ცხოვრება. და ეს ბიძგიც წარმოჩინდა. 296 წელს დიოკლეტიანემ გამოსცა ეგრეთწოდებული „საერთო-ედქიტი“, რომელმაც დასაბამი მისცა ერთ-ერთ ყველაზე საშინელ დევნას, რაც ოდესმე ჰხსოვებია ქრისტიანულ ეკლესიას. დიოკლეტიანეს მიერ წამოწყებული ქრისტიანთა დევნა იყო ერთი საშუალებათაგანი, რომლითაც ეს ენერგიული და შეუვალი სახელმწიფო მოღვაწე ცდილობდა დაშლის პირამდე მისული იპერიის გამაგრებას. სიყვარულის ქადაგანი, განმსჭვალულნი ღვთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის შეგნებით, ეროვნებისა და გვარიშვილობის განურჩევლად, მან მიიჩნია თავისი საქმის მტრებად.

რაოდენ საშინელი სულიერი ბრძოლა უნდა გადაეტანა ქრისტიან გიორგის — დაახლოებულ პიროვნებას იმ იმპერატორთან, რომელმაც წამოიწყო ქრისტიანთა ესოდენ საშინელი დევნა „დიდი დევნა“. და სისხლიან 303 წელს გიორგიმ მიიღო ვაჟკაცური გადაწყვეტილება: დიოკლეტიანეს განუცხადოს თავისი ქრისტიანობის შესახებ და გადავიდეს ტანჯულთა ბანაკში. გიორგიმ გამოაცხადა თავისი ქრისტიანობა: მთელი სიმდიდრე — ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ნივთები — მან მისცა დატაკებს; ოქრომჭედელთა ნაკეთობებმა, ძვირფასმა ლარნაკებმა და აბრეშუმის ქსოვილებმა დაღუპვისაგან იხსნეს ასობით გაჭირვებული ოჯახი. ნიკომიდისი ღარიბ-ღატაკი და გათავისუფლებული მონები ქებას უძღვნიდნენ ქრისტიან გიორგის; დღემდე ქებათა-ქებით მოიხსენიებს მას წმ. ეკლესია და ტროპარის სიტყვებით ნათქვამი: „ვითარ ტყვეთა დამხსნელი და ლატაკთა დამ-



ცველი, და სნეულთა მკურნალი, — ძღვეამოსილი ხარ, დიდმოწამეო გიორგი!“

წმ. გიორგის საქციელი უთუოდ აღიზიანებდა დიოკლეტიანეს. იმპერატორის შეჯახება კომიტთან გარდაუვალად ახლოვდებოდა. წმ. გიორგის ცხოვრების გადმოცემათა ერთი უძველესი ვარიანტთაგანი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიძახა წმ. გიორგი თავის სამსჯავროზე დიოკლეტიანემ და, როგორც უცნობს, გამოჰკითხა მას სახელი და სჯული — „და მიჰხედა მოწამეს ვითარცა მრისხანე ლომმა და უთხრა მას: „რა სჯულისა ხარ, ანუ რა ქვეყნისა, ანუ რაა სახელი შენი?“ გიორგიმ მტკიცედ წარმოთქვა: „პირველი ჩემი სახელია ქრისტეანი, ხოლო კაცებრივ სახელად გიორგი მიწოდეს და წარმოშობით კი კაპადოკიელი ვარ“. მეორე ვარიანტის მიხედვით, გიორგი თავად გამოცხადდა დიოკლეტიანესთან და სახალხოდ განუცხადა მას პროტესტი ქრისტეს სჯულის დევნისათვის: „წმ. გიორგის ამგვარი სიტყვებით, მისი გამბედაობით გაოგნებულთ, — ნათქვამია მის „ცხოვრებაში“, — ყველამ მიაპყრო მზერა მეფეს და მოუთმენლად ელოდნენ, თუ რას უპასუხებდა იგი წმიდანს... ბოლოს მეფემ ანიშნა სამსჯავროზე დამსწრე თავის მეგობარ მაგნეციუსს, ანტიპატის ხარისხის მქონეს, რათა მას ეპასუხნა გიორგისათვის. მაგნეციუსმა თავისთან მიიხმო წმიდანი და უთხრა: „ვინ გაგაბედვინა ასეთი თავხედობა და ურჩი სიტყვები?“ — „ჭეშმარიტებამ“ — მიუგო წმიდანმა. „განა რა ჭეშმარიტებაა ასეთი?“ — იკითხა მაგნეციუსმა. გიორგიმ უპასუხა: „ეს ჭეშმარიტება არის თვით ქრისტე — ყველასაგან დევნილი“. მაგნეციუსი ჩაეკითხა: „ესე იგი შენც ქრისტეანი ხარ?“ და წმ. გიორგიმ პასუხად თქვა: „მე ვარ მონა ქრისტესი, უფლისა ჩემისა...“.

ქრისტეს სჯულის ასეთი გაბედულებით აღიარებისათვის მამაკი კომიტი დილეგში ჩააგდეს. ერთი უწარჩინებულესი სარდალთაგანი მხედრებმა უხეშად დააგდეს მიწაზე — პირალმა, ფეხები ჩაუჭედეს ხუნდებში და გულზე დაადეს მძიმე ქვა. ასე გაატარა მან ღამე, მეორე დღეს კი კვლავ წარუდგინეს იმპერატორს. მასში ახლა ძნელად გამოიკნობოდა დედაქალაქის ერთ-ერთი უწარჩინებულესი მოქალაქე: ახოვან სხეულს უფარავდა დაფლეთილი ფლასი, უზარმაზარ ხის ხუნდებში ძლივს აღვამდა ნაბიჯს, მკერდზე დაკიდებული მძიმე ქვა კი დაბლა ჰხრიდა მას. „მოინანიე თუ არა შენ, გიორგი, — ჰკითხა მას იმპერატორმა მხედრული უხეშობით, — თუ ისევ ჰკიბე შენს ურჩობაში?“ ამაზე გაისმა მხნე პასუხი: „ჰე, მეფეო, ნუთუ ფიქრობ, რაკი ესოდენ უძლურებას ვეწიე, რომ ამ ცოტადენი წამების შემდეგ ზურგს შევაქცევ ჩემს სარწმუნოებას. შენ უფრო დაიდლები ჩემი წვალებით, ვინემ მე — შენგან ნაწამები“. ეს საუბარი მოხდა საპყრობილეში — იმ საშინელ საპყრობილეში, რომელიც მოაწყო დიოკლეტიანემ (აღმოსავლეთის დესპოტთა მაგალითისამებრ) საკუთარ სასახლეში“. თამამი პასუხის გაგებისთანავე, დიოკლეტიანემ ბრძანა: „ბორბალი!“ და მაშინვე შემოაგორეს შემზარავი სატანჯი მანქანა; მასზე წამება ერთი უსაშინელესთაგანი იყო: მოწამეს ბორბალზე დააკრავდნენ იმგვარად, რომ მისი ფეხის ტერფები ებჯინებოდნენ კეფას, რის შემდეგ

ბორბალს აბრუნებდნენ ფიცრების თავზე, რომლებშიც ამორჩილი იყო წვეტიანი რკინები. „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ნაწილებად დაჩეხილი და ლერწამივით შემუსრვილი წმ. გიორგი მხნედ იტანდა წამებას. თავდაპირველად ის ხმამაღლა შესთხოვდა ღმერთს, შემდეგ — ჩუმად, გულში სწირავდა ღმერთს მადლობას, ისე, რომ ერთი კენესაც არ დასცდენია, არამედ იყო როგორც მძინარე ან უგრძნობელი. მეფეს ეგონა მოკვდაო გიორგი, ქება უძღვნა თავის ღმერთებს და მიმართა გიორგის შემდეგი სიტყვებით: „სად არის შენი ღმერთი, გიორგი, რატომ არ გამოვიხსნა ასეთი წამებისაგან?“ შემდეგ მან ბრძანა გიორგის გვამი ჩამოეხსნათ ბორბლიდან, ვითარცა მიცვალებულისა, თვითონ კი აპოლონიის ტაძარში წავიდა. წმ. გიორგი უცებ მოვიდა გრძობაზე, სწრაფად დაღვა ფეხზე — მისი სახე ბრწყინავდა სიხარულითა და ნათელით, თითქოს ღვთის ანგელოზი ენახოს. ცნობამ, რომ წმ. გიორგი ცოცხალია და უვნებელი, მთელი სასახლე შეძრა. ორმა დიდმოხელემ — ანტონიოსმა და პროტოლონმა (ფარულმა ქრისტეანებმა), ვერ დამალეს თავისი სიხარული, რისთვისაც სიცოცხლეს გამოესალმნენ. ღრმად დაფიქრდა ახალგაზრდა დედოფალი ალექსანდრა, აედრის ღრუბელივით გაშავდა მრისხანე დიოკლეტიანე.

ამას მოჰყვა ახალი საშინელი წამებანი: წმ. გიორგი ჩააგდეს ხის ხაროში, რომელიც სავსე იყო წყალგაურეველი კირით და მის სხეულს ცეცხლივით წვადა; ფერხთ ჩააცკეს გაავარარებული ლურსმნებით დაჭვდილი ჩექმები რკინისა; მას ურტყამდნენ ხარის ძარღვს ისე, რომ სისხლი მიწაზე მიედინებოდა. მაგრამ ყველა ამ წამებით დიოკლეტიანემ ვერ შესძლო იმისი მიღწევა, რომ მრავალუნებულს უარი ეთქვა ქრისტეზე; ყველაზე უფრო იმპერატორს აღიზიანებდა სახე წმ. გიორგისა — უშფოთველი და მხიარული, ერთგვარი შინაგანი ნათელით გაბრწყინებული. ცრუმორწმუნე დიოკლეტიანემ, რომელსაც თავის კარზე აღმოსავლელი გრძნეულნიც კი ყავდა, გიორგის ძაღვანება მიაწერა ჯადოსნობას. ერთ-ერთ თავის მოგვს, ათანასეს, მან უბრძანა გიორგისთან გაჯიბრება. ერთი გადმოცემათაგანი მოგვითხრობს ამ შეჯიბრების თაობაზე, რაც დამთავრებულა მოგვის გაქრისტიანებით.

ამასობაში, რამდენიმე ხანს გიორგი დილეგში იყო, ხოლო მისი სიმტკიცის ამბავი მთელ ბითინიას მოედო. მასთან ხშირად მიდიოდნენ მნახველები, — ჩვეულებრივ, ესენი იყვნენ უბრალო, საწყალი ადამიანები. მათ ებრალდებოდათ მოწამე, გამოსთხოვდნენ ლოცვებს, ბჭობდნენ მასთან თავ-თავის საქმეებზე. წმ. გიორგი, რომელიც ბავშვობიდან კარგად იცნობდა უბრალო ხალხის ცხოვრებას, თითოეულს დიდხანს ესაუბრებოდა, არავის აკლებდა რჩევას. ერთხელ საპყრობილეში მივიდა ვინმე გლიკერი — ერთ-ერთი მიწისმოქმედი მახლობელი ადგილებიდან — და მოუთხრო გიორგის თავისი გლეხური ვარამი: მისი ხარი ფერდობზე დაგორებულიყო და სასიკვდილოდ დაშავებულიყო. გიორგიმ მოუსმინა მას და უთხრა: „წადი, ძმაო, და ნუ ინალვლი. ჩემი ღმერთი ქრისტე დაუბრუნებს შენს ხარს სიცოცხლეს“. გლიკერი წავიდა სახლში და იქ თავისი ხარი ჰპოვა ცოც-

ხალი და მთელი. ამის შემდეგ ის დაბრუნდა გიორგის-თან და, შუა ქალაქში მიმავალი, გულუბრყვილოდ გაი-ძახოდა ხმაძალა: „ჭეშმარიტად დიდ არს ქრისტიანუ-ლი ღმერთი!“ გლიკერი მაშინვე დააკავეს და მალე და-საჯეს სიკვდილით.

რალა აკავებდა დიოკლეტიანეს, რომ დაუყოვნებლივ გასწორებოდა გიორგის? ვერაგსა და ანგარებიან პოლი-ტიკოსს, უზომოდ სასტიკს, მას შეეძლო თავისი მრის-ხანების შეკავება, როცა ეს საქმისათვის სჭირდებოდა. დიოკლეტიანემ იცოდა ხალხს უყვარდა გიორგი და ის არაჩვეულებრივად პოპულარული იყო მეომართა შორის-საც, ამიტომაც გადაეღო მისი სიკვდილით დასჯა. იმპე-რატორმა დროებით თითქმის დაივიწყა კიდევ პატიმარ-ი. მაგრამ ამან ვერ მოატყუა მოწამე: ერთხელ, როდეს-საც ჩასთვლიდა ლოცვისას, ძილ-ღვიძილში დაინახა გადამომოვლელი უფალი, რომელმაც წამოაყენა იგი, ეამბორა და თავს გვირგვინი დაადგა შემდეგი სიტყვე-ბით: „ნუ შეშინდები, არამედ იყავ გაბედული და ღირს-გყოფ ჩემთან სუფივისათვის“. ამის შემდეგ წმ. გიორ-გიმ ანდერძად დაუტოვა თავის ყოფილ მონას, რომ დაე-საფლავებინა იგი პალესტინაში. მეორე დღეს, საყრო-ბილეთში მრავალი თვის განმავლობაში ყოფნის შემდეგ, იგი მიიყვანეს მეფესთან. ახლა დიოკლეტიანე ელაპარა-კებოდა უბრალოდ და მოწყალედ, როგორც თანამებრძოლ ამხანაგს: „ჩემი ღმერთები არიან იმისი მოწმენი, რომ მე მებრალეხა შენი ჭაბუკობა, — შენი გაფურჩქნული სილამაზის, გონიერებისა და ვაჟკაცობის გამო. და ვი-სურვებდი, რომ შენა მყავდე თანამმართველად, ჩემი მე-ფური ღირსების მეორე კაცად, ოღონდ კი ინდომო ღმერთებთან მოქცევა. გვითხარი ჩვენ, რას ფიქრობ ამის თაობაზე?“

დიოკლეტიანეს ჰყავდა სამი თანამმართველი: მაქ-სიმიანე, გალერი და კონსტანცი ქლორი, რომელნიც თავის აღზევებას უმადლოდნენ მარტოოდენ საკუთარ მხედ-რულ მხნეობას. ასეთივე თანამმართველად გახდომა შეეძლო გულგან მხედარს, ხალხის საყვარელ გიორგის, რომელმაც სახელი გაითქვა მამაცობითა და უანგარო-ბით. „მეფეო, — მაუგო გიორგიმ, შენ ჯერ მოწყალეხა უნდა გამოგვჩინა ჩემდამი, არა თუ გეტანჯე ესოდენ სა-შინელი წამებით.“ ეს შეხვედრა თითქოს შეთანხმებით დამთავრდა: დაიდო პირობა, რომ გიორგი მონაწილეო-ბას მიიღებდა აპოლონის პატივსაცემად გამართულ ღვთისმსახურებაში. და იმ დღეს უამრავმა ბრბომ მოი-ყარა თავი ნიკომიდიის წარმართთა ტაძარში, სადაც აღ-მართული იყო აპოლონის დიდებული ქანდაკება. იმპე-რატორი მივიდა ბრწყინვალე ამაღლის თანხლებით და მის ამაღლაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო სპეტაკ ტანსაცმელში გამოწყობილი გიორგი. ქურუმები შემო-ერთყვნენ ქანდაკებას, გაისმა ჰიმნები; მოახლოვდა მსხვერპლთშეწირვის დრო. გიორგი წინ გამოვიდა და პირისპირ დაუდგა ქანდაკებას. ახლა მას უნდა წაეკითხა ქრისტეს უარყოფა, მერე კი მსხვერპლი შეეწირა მზის ღვთაებისათვის. „განა შენა გსურს მიიღო ჩემგან მსხვერ-პლი, ვითარცა ღმერთმა?“ — მაღალი ხმით შეეკითხა გიორგი ქანდაკებას, და აპოლონის ტაძარში გაისმა მგზნებარე მოციქულებრივი ქადაგება. მოულოდნელობი-

საგან გაშეშებული ქურუმები დუმდნენ, ადგილზე მიკ-რულით იდგა დიოკლეტიანე. და, უცებ, აპოლონის ქანდაკება გადაიხარა, შეტორტმანდა და, გიორგის ფე-ხებთან დაცემული, ნაწილ-ნაწილ დაიმსხვრა. ყველა ტაძარში მყოფი შეძრწუნებამ მოიცვა: ტიროდნენ ქალებ-ბი, ყვიროდნენ კაცები; როგორღაც გამორკვეული ქურუ-მები მისცვიდნენ გიორგის და ხმაძალა მოითხოვდნენ მის სიკვდილს. ახალგაზრდა დედოფალმა ალექსანდ-რამ, წმ. გიორგის ფერხითი დამხობილმა, აღიარა ქრის-ტეს სჯული. როგორც კი გონს მოვიდა, დიოკლეტიან-ემ, დამარცვლით და წყნარად, იმავე ადგილზე გამოი-ტანა განაჩენი: „უბოროტეს გიორგის, რომელმაც ბევრ-ჯერ დაგვგმო მე და ღმერთები, და ალექსანდრე დედო-ფალს, რომელიც შებღალა მან თავისი გრძნეულებით და მასავით მგმობელია ღმერთებისა, — წარეკვეთოთ თავი“. ასე დაისაჯა სიკვდილით წმ. გიორგი. მოკლე ლოცვის შემდეგ მან გულმშვიდად და სიხარულით ჩა-აბარა სული თავის ზეციურ მამას. ერთ-ერთ ძველ „ცხოვრებაში“ აღბეჭდილია მისი სიკვდილისწინა ლო-ცვის გულისაღმძვრელი სიტყვები: „ვიხილ იყოს ძოწო-ლაში, ანუ გასაჭირში, ანუ განსაცდელში და მრავი-ბობს შენ — მოწყალე მამასა და ძესა, და სულიწმიდასა—სახელთა მონისა შენისათა, დაე, იხსნიდე!“ ამით დას-რულდა დიდმოწამე გიორგის ამქვეყნიური ცხოვრება.

„ღვაწლითა კეთილითა მოსილი არს მოწამე ქრის-ტესი და მტარავალთა სიმდაბლის მამხილებელი არს, და სარწმუნოებით განადიდებს მას ეკლესია; ხოლო მსხვერ-პლი შეწირული ღვთისადმი კეთილად შეიწყნარების: ამით მიღებული აქვს გვირგვინი ძლევისა...“ მიწიერი ანარეკლი იმ ზეციური გვირგვინისა, რომელიც დაედგა წმ. გიორგის, არის მისი ამქვეყნიური დიდება. მრავალ-გვარია თხრობანი დიდმოწამის სიკვდილისწინა სასწაუ-ლებისა, მაგრამ ყველაზე ცნობილია გველუშპათან მისი ბრძოლა. ქრისტიანულმა ხატომწერლობამ აღბეჭდა ეს სასწაული წმ. გიორგისა, როგორც მხედრისა, რომელიც კლავს გველუშპას. საუკუნეთა განმავლობაში მორ-წმუნენი სწორედ ამ ხატით აღიქვამდნენ დიდმოწა-მეს; ეს ხატი არის სიმბოლო, რომლითაც წმ. გიორ-გი ძლევა მოსილი წარმოდგენილია როგორც სიმართლი-სათვის მებრძოლი, ყველა ლატაკისა და შუურაცხის დამცველი. იგი გახდა მთელს მსოფლიოში ერთი ყვე-ლაზე საყვარელი წმიდათაგანი. უკვე კონსტანტინე დიდის დროს, გადმოცემით, კონსტანტინეპოლში იყო წმ. გიორგის ტაძარი. მონანიების დიდი მასწავლე-ბელი ანდრია კრეტელი განსაკუთრებულ ქებას უძღვე-ნის წმ. გიორგის. გამორჩეულად უყვარდათ ძლევაშე-მოსილი თანამემამულე მისი ქვეყნის მორწმუნეებს და მთელს წინა აზიაში, რასაც გვიმოწმებს ცხოვრება ღირ-სი თეოდორე სიკეოტისა, რომელიც მოღვაწეობდა იმ-პერატორ იუსტინიანეს მეფობის დროს. როგორც მისი მოწამე, ელევსიპე მოგვითხრობს, „ყრმობიდანვე თეო-დორე განსაკუთრებულად სცემდა თავყანს დიდმოწამე გიორგის და არაერთხელ, დედისაგან ფარულად, სკოლი-დან გაპარულა მახლობელ ციკაბო მთაზე, სადაც უკვე მაშინ აღმართული ყოფილა წმიდანის ტაძარი“. მისი ხსოვნა, გადმოცემანი მისი საკვირველი ძალისა და გა-

მოცხადების შესახებ აღავსებდნენ წმ. თეოდორეს ცხოვრებას. წმ. გიორგი ევლინებოდა მას ძილში, ხელმძღვანელობდა მას და იხსნიდა დემონის ვერაგობისაგან; მისი სახელით თეოდორემ მოიმოქმედა საკვირველებანი, აღაშენა მისი სახელობის მონასტერი. ამიტომ წმ. ეკლესია ქებით მოიხსენიებს ღირს თეოდორე სიკეოტს 22 აპრილს – გიორგობის წინა დღეს.

წმ. გიორგის რომ მთელს მსოფლიოში სცემენ თაყვანს, ამას გვიმოწმებს მისდამი მიძღვნილი ლიტურატიურის სიუხვე. ცნობილია „წმ. გიორგის ცხოვრება“ ბერძნულ ენაზე, რომელიც ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტის კალამს. ეთიოპიაში დიდი ხნის წინათ გაჩნდა თქმულება წმ. გიორგიზე“. მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მიგვითითებს, თუ რაოდენ ფართოდ არის გავრცელებული არაბებში პატივისცემა წმ. გიორგის მიმართ, არის მისი „ცხოვრების“ მაჰმადიანური რედაქცია, შემონახული „თაბორის“ სახელწოდებით ცნობილ ქრონიკაში. დაცულია „ცხოვრების“ ეგრეთწოდებული „ლონდონური“ ხელნაწერი; აგრეთვე, ძველფრანგულ ენაზე დაწერილი პოემა ლიუზარშისა, რომელიც უგალობს ძლევაშისილის ღვაწლს; არსებობს „ცხოვრების“ ძველგერმანული ხელნაწერი რაინბოტისა და ლათინური „ცხოვრება“ – პორტენოპელისა.

მაგრამ წმ. გიორგის განსაკუთრებულად თაყვანს სცემდნენ კავკასიაში. საქართველოს იგი ძველთაგანვე მიუჩნეოდა თავის მთავარ მფარველად და შემწედ. ქვეყნის ერთ-ერთ სახელწოდებას – გეორგიას – ისტორიკოსი ვახუშტი ხსნის იმით, რომ აქ არ არის მცირე

ბორცვი თუ მაღალი მთა, სადაც არ აღმართულა წმ. გიორგის სალოცავი. წმ. ნინოს ცხოვრების ერთ-ერთ რედაქციაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიერ მონათლული ივერია დაღვა მფარველობის ქვეშ წმ. ნინოსავე ნათესავის, ქრისტეს მხედრის—დიდმოწამე გიორგი კაპადოკიელისა. კავკასიის სხვა ხალხებიც როგორც ქრისტიანები, ასევე მაჰმადიანნიც, პატივისცემით იხსენიებენ წმიდანს.

წმ. გიორგის თაყვანისცემა რუსეთში დამკვიდრდა ნათლისღებისთანავე: – ერთ-ერთი პირველი საყდარი კიევში იყო წმ. გიორგის ტაძარი (1051–1054), რომლის კურთხევისას დაწესდა განსაკუთრებული დღესასწაული – 26 ნოემბერი. გაზაფხულის დღესასწაული წმ. გიორგისა – 23 აპრილი არის დიდმოწამის აღსრულების დღე და ჩვეულებრივ, ემთხვევა ან აღდგომის დღეებს, ან მოდის აღდგომის შემდგომ უახლოეს დღეებში, როცა გული ჯერაც აღვსილია დღესასწაულის სიხარულით. დიდმოწამე ჩვენთან ერთად იზიარებს ქრისტეს აღდგომის ამ სიხარულს, ჩვენთან ერთად იგი სტუმარია სარწმუნოების აღდგომისეული სერობისა.

ნათლით შემოსილი დგას წმ. გიორგი მარჯვენითა და მკვდრეთით აღმდგარი მასწავლებელისა და უფლისა თვისისა, ვისთვისაც მან სიცოცხლე დათმო. და უნებურად, გვახსენდება ამ დღეს „გამოცხადების“ სიტყვები: „ნეტარ არიან წოდებულნი სერობასა მას კრავისა მის რჩეულნი“ (გამოცხ. 19:9).




თეოლოგიური ნერილები

ურბნელი მთავარეპისკოპოსი
კონსტანტინე (მელიქიძე)

I

წილად წიგნების წარმოშობისა და დათარიღების საკითხისათვის



„ქრისტიანული მითოლოგიის“ მომხრეებმა ერთმანეთისაგან ნასესხები ერთგვარად შაბლონური მოსაზრებანი შექმნეს წმიდა წიგნების წარმოშობისა და მათი დაწერის დროის შესახებ.

უნდათ რა სრულიად უარყონ ახალი აღთქმის მოციქულებრივი წარმოშობა, მიდრეკილებას იჩენენ კეშმა-

რიტებაზე დახუჭონ თვალი და წამოაყენონ შეუსაბამო, გაუმართლებელი კონცეფციები.

ასე მაგალითად: ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ სახარებები (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი) დაწერილია II საუკუნის შუა ხანებში და უფრო კიდევ მოგვიანებით, ვინაიდან ვითომც II საუკუნის ბოლოს სახარებათა სიმრავლე მიუთითებდა იმაზე, რომ სხვადასხვა ქრისტიანულ თემებში ითხზებოდა საკუთარი სახარებები, რომელთა წყაროს წარმოადგენდა არა ცოცხალი ქრისტე და მისი მცნებები, არამედ თემიდან თემში მოარული ხმები და ლეგენდები და ვითომც „მრავალი ათეული სახარებიდან ოთხის შერჩევა მხოლოდ IV საუკუნეში განხორციელდა.

მეორე საუკუნის დასაწყისში თემებს შორის მიწერ-მოწერის ძეგლად დარჩა ეპისტოლენიო. ისე, რომ მათი აზრით ეპისტოლენი მეორე საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება და სახარებებზე ადრეა დაწერილი. ხოლო „საქმე წმ. მოციქულთა“ მათივე აზრით, მეორე საუკუნის დასასრულს ეკუთვნის. ამ წიგნს უნდა მოეცა ქრისტიანული ეკლესიის წარმოშობის ისტორია, თანაც საქმე ისე უნდა წარმოედგინა, რომ ეკლესიის დამაარსებლები იყვნენ თვით ქრისტეს მოწაფეები და თანამებრძოლებიო.

ქვემოთ ვნახავთ რომ ამგვარი დათარიღება მთლიანად მოგონილია. მაგრამ საგულისხმოა, ისე გამოჰყავთ, თითქოს ეპისტოლეები დაწერილი იყოს სახარებებზე ადრე 1/4 საუკუნით, რაც შეუძლებელია, სახარებებს ემჩნევა პირველადობა, მათ ნიადაგზეა დაწერილი ეპისტოლეები და არა ეპისტოლეების ნიადაგზე სახარებები. მაგრამ აქ ეპისტოლეების მოციქულებრივი წარმოშობაც გამორიცხულია, II საუკუნის თუნდაც I ნახევარში მოციქულები აღარ იყვნენ ცოცხალი.

„საქმე წმ. მოციქულთას“ დაწერის დროდ ისინი II საუკუნის ბოლოს მიიჩნევენ, ე. ი. ყველაზე გვიან დაწერილად აცხადებენ. ამის გამო, რა თქმა უნდა, ამ ძეგლის

მოციქულბრძოლი წარმოშობაც თავიდანვე გამოიხატებოდა.

ერთ-ერთი ნაწარმოების დაწერის დრო საკმაოდ სიმართლით არის განსაზღვრული. ეს არის „აპოკალიფსი“, „გამოცხადება იოანესი“, რომელსაც ახალ აღთქმაში რიგის მიხედვით ბოლო ადგილი უჭირავს. მისი დაწერის დრო საკმაოდ სიზუსტით ირკვევა; ჩვენი წელთაღრიცხვის 68 წ. (მე-14 წელი ნერონის გამეფებიდან).

ჩანს აპოკალიფსის ველარაფერი მოუხერხეს, რომ მისი დაწერის თარიღიც II საუკუნეში გადაეტანათ. მაღლობა ღმერთს, რომ „აპოკალიფსის“ დაწერის თარიღი საკმაოდ სიზუსტით განისაზღვრა და მათ მხედველობიდან გამორჩათ ამ თარიღის მეტად დიდი მნიშვნელობა ქრისტიანული ეკლესიისათვის.

„გამოცხადება იოანესი“ მეტად ბევრის დამტყვევ და ბევრის მეტყველი ნაწარმოებია, მასში ქრისტიანული დოგმატი ჩამოყალიბებული ჩანს. რამდენჯერმე ნახსენებია სახარება. თუ ამ დროს სახარებები არ არსებობდნენ იოანე მათ ვერ მოიხსენიებდა. ნახსენებია 12 მოციქული ქრისტესი და თუ ისინი მითიური პიროვნებებია „აპოკალიფსი“ მათ ვერ მოიხსენიებდა. და თვით იოანე ხომ ერთი მოციქულთაგანია ქრისტესი? რომელიც იმ დროს როცა ეწევა გამოცხადება გადასახლებული იყო მეორედ კუნძულზე „ჰალკასა პატმოსს“ წამებისათვის იესო ქრისტესა“. ე. ი. იესო ქრისტეს რწმენისათვის, სარწმუნოების გავრცელებისა და მოციქულბრძოლი მოვალეობის აღსრულებისათვის.

ზოგიერთი მათგანის გამოთქმით, თითქოს არც ამ ნაწარმოებში და არც ეპისტოლეებში ჯერ კიდევ არ არის რაიმე ფაქტი იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ქრისტეს ამ ქვეყნიური ცხოვრების ფაქტები ჩნდება შემდგომ, სახარებებში, რაც მათ გვიანდელ წარმოშობას მოწმობს.

მაგრამ, სწორედ ამ ნაწარმოებებში არის მრავალი ფაქტი იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ.

„იესო ქრისტესაგან მოწამისა მის სარწმუნოსა, პირმოშობისა, შესვენებულთასა და მთავრისა მეფეთა ქვეყანისათა, რომელმან შემეყუარა ჩუენ და განგვბანა ცოდვთა ჩუენთაგან სისხლითა თვისითა“ (იოანე გამოცხ. I-ე).

აქ მოკლედ მოხსენიებულია ყოველივე ის, რომ ქრისტე ცხოვრობდა ამ ქვეყნად, რომ ის იყო პირველი ახლა შესვენებულია. და ის იყო მთავარი მეფეთა ქვეყნისათა, რა თქმა უნდა, იგულისხმება მოწინავე იდეებით და არა თანამდებობით. და რომელიც იყო მათთან, მოციქულებთან და უყვარდა ისინი: „რომელმან შემეყუარა ჩუენ“. და ბოლოს განბანა ისინი (ე. ი. ეწამა მათთვის) „ცოდვთა მათთაგან, სისხლითა თვისითა“.

და რომ ამ დროს სახარებები უკვე დაწერილი იყო შეგვიძლია მოვიყვანოთ ფაქტები „იოანეს გამოცხადებიდან“ (თავი 14). „და ვიხილე ანგელოზი მფრინვალე შორის ცისა და ქუეყანის და აქუნდა სახარებაი საუკუნოი, ხარებად მკვიდრთა ქუეყანისათა“. ცხადია, აქ არა სიტყვებით ხარება იგულისხმება, არამედ „აქუნდა“ (ხელში ჰქონდა წიგნი) „სახარებაი საუკუნოი“ (14-3).

აქვე მოხსენიებულია 12 მოციქული ქრისტესი. „და ზღუდესა მას ქალაქისასა აქუნდეს ათორმეტი საფუძველი და მათზედა ათორმეტი სახელნი, ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი“ (21-ილ) 12 მოციქული, რომელთა სახელები ეწოდა 12 „საფუძველს“ ახალ იერუსალიმისა. იგივე დასტურდება იმავე მოციქულის ეპისტოლეთაგან: „რომელი იყო პირველითაგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თვალითა ჩუენითა, და ხელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა“ (იო. I, -ა).

ახლა უკვე შეუძლებელია, რომ არ გაიგოს თვით ბავშვმაც მარტივი ჭეშმარიტება, რომ ვიხილეთ თვალით ჩვენით ქრისტე „და ხელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა“. ამასვე ამბობს პეტრე მოციქული თავის ეპისტოლეში: „უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროთა იხსენით თქუენ ამაოისა მისგან მამათა მოცემულისა სვლისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა, უბიწოისა და უმანკოისა ქრისტესითა. წინასწარ უწყებულისა უწინარეს სოფლის დაბადებისა, ხოლო გამოჩენილისა უკანასკნელსა ამით ეამთა თქუენთვის, რომელთა ეგე მის მიერ გრწმენა ღმრთისა მიმართ, რომელმან იგი (ქრისტე) აღადგინა მკუდრეთით და მისცა მას ღიღებაი, რაითა სარწმუნოებაი ეგე თქუენი და სასოებაი იყოს ღმრთისა მიმართ“ (I, თავი „ა“-იხ.-კა).

შემდეგ უფრო დაწვრილებით ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ, მისი უცოდველობისა, ტანჯვისა და ჯვარცმის შესახებ.

„რომელმან იგი ცოდვაი არა ქმნა, არცა იპოვა ზაკვაი პირსა მისსა, რომელი იგი იგინებოდა და არავის აგინებდა. ევენებოდა და არავის უთქუმიდა. მიეცა მართალი იგი მსაჯულსა, რომელმან ცოდვანი ჩუენნი აღიხუნა ხორციითა თვისითა ჯუარსა ზედა, რაითა ცოდვათა განვეშორნეთ და სიმართლით ვცხოვრებოდით, რომლისა იგი წყულულებითა განიკურნენით“. ამრიგად, ვხედავთ ქრისტეს ცხოვრების მრავალ ფაქტს, თანაც უფრო მთავარი აღინუსხება ეპისტოლეებში და „აპოკალიფსი“.

შემდგომ ასევე უარყოფენ მითოლოგიის მომხრენი, რომ არც ეპისტოლეებში და არც გამოცხადებაში ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი ნათლისღების შესახებ. მაგრამ აბა დაუფლოთ ყური მესამე თავის ბოლოს (იგივე ეპისტოლე) რას გვეუბნება მოციქული:

„რომლისა სახეი აწ თქვენცა გაცხოვენებს ნათლისღებაი, არა ხორცთაგან განშორებაი მწიკულისათაი, არამედ გონებისა კეთილისა ტრფიალებაი. ღმრთისა მიმართ აღდგომითა იესო ქრისტესითა“ (I, თავი „გ“ კა-კბ).

ჩვენთვის გასაგებია, თუ რატომ უნდათ მათ წმიდა წიგნების წარმოშობა გადაიტანონ II საუკუნეში, თანაც მოციქულბრძოლი ყველაფერი მიჩქმალონ ან ჩამოაცილონ, მოციქულები ფანტასტიკურ პიროვნებებად გამოაცხადონ და პირველი საღმრთო წერილები არ მოიხსენიონ, როგორც ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ ცნობები (ვინაიდან იგი მათი აზრით მითიური პიროვნება იყო).

ასევე, მიჩქმალული აქვთ ქრისტიანული მრწამსის ის საფუძვლები, რაზედაც ეყრდნობა ქრისტიანული სარწმუნოება: მოციქული, ტაძარი, მღვდელი, მღვდელმთავარი.

ვარი, მღვდელმოქმედება, კურთხევა, ნათლისღება და სხვა.

ისიც კი ითქვა, რომ იერარქიას მღვდელობას, მღვდელ-მთავრობას და სხვა არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ I საუკუნის ქრისტიანულ თემებში. იოანე კი ამბობს თავის გამოცხადებაში: „და მყუნა ჩუენ სამეუფეო მღვდელ ღმრთისა და მამისა თვისისა“... ე. ი. იესომ აქცია მოციქულები მალაღ და დიდებულ მღვდლებად მამისა თვისისა. ე. ი. მღვდლის ღირსება აქ იმდენად ამაღლებულია, მოციქულებიც მღვდლებად იწოდებიან და თვით ქრისტე მღვდელმთავრად. ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „დავარდებიან ოცდაოთხნი იგი მღვდელნი წინაშე საყდართა ზედა მჯდომარისა (ღმერთისა) მის და თაყვანს სცემენ მას“. ასევე სამლოცველოდ ტაძარს ჰქონდა ძირითადი მნიშვნელობა. ზოგიერთის თქმით ამ დროს ჯერ კიდევ ტაძრებს არ ჰქონდა მნიშვნელობა.

„და მომეცა მე ლერწამი მსგავსი კვერთხისაი და მრქვა აღდეგ და განზომე ტაძარი ღმრთისაი და საკურთხეველი და თაყვანისმცემელნი მას შინა“ (იონ. გამოცხადება).

როგორც ხედავთ აქ ყველაფერი ჩამოყალიბებული ჩანს ჯერ კიდევ I საუკუნის II ნახევარში. ტაძარი, საკურთხეველი, მღვდელმოქმედება, წირვა-ლოცვა. პირველი წირვა იყო უფლის ხორციელად ძმის იაკობისა, რომელიც I საუკუნეში უახანებიდანვე სრულდებოდა.

ზოგს გაუკვირდება, რატომ ჩქმალავენ ამ ფაქტებს, ამით რაო?..

მე კი არ მიკვირს, ვინაიდან მათი მიზანია ქრისტიანული რელიგია გამოაცხადონ არა ერთბაშად აღმოცენებულად, თვით ქრისტესაგან ნაქადაგებად, არამედ გამოგონილად, შემდეგ შეთხზულად, ვითომც II საუკუნეში ითხზება მითი ქრისტეს შესახებ და აი, ჩნდება სახარებები და სხვა საღმრთო წერილები. I საუკუნეში კი ამის შესახებ არაფერი არ იცის.

მაგრამ, როგორც იოანეს გამოცხადებიდან ირკვევა და ჩვენ იქიდან მრავალი ციტატა მოვიყვანეთ, ის დაწერილია 68 წელს, თანაც ქრისტეს მოციქულის მიერ. აქ ყველაფერი ნათლად ჩანს, რომ ამ ნაწარმოების დაწერამდე (უფრო ადრეც) ყველაფერი ჩამოყალიბებული ყოფილა, ამ ქვეყნად უცხოვრია ქრისტეს, მისი თვითმხილველი და მსახური ყოფილა მახარებელი იოანე. შემდეგ უწყამებიათ იესო და განუბანია მოციქულთა და მორწმუნეთა ცოდვანი „სისხლითა თვისითა“. მრავალი წლის შემდეგ მისი ამალებიდან გამოცხადებია ქრისტე იოანეს „ჰალაკსა პატმოსს, სადაც ის გადასახლებული ყოფილა მოციქულებრივი მოღვაწეობისათვის. აქვე ირკვევა, რომ 11 მოციქულიც მასავით ტანჯულნი ყოფილან. „მე იოანე ზიარი ჰირსა და მოთმინებისა თქვენსა“. მიმართავს სხვა მოციქულებს იოანე დვთისმეტყველი. ხოლო პეტრე, პავლე და სხვა მოციქულების ეპისტოლეებიდან ნათლად ჩანს, რომ პირველ ქრისტიანული თემების ჩამოყალიბებიდან მათში ვრცელდება საეკლესიო შეკრებები, შეკრებები ტაძრებში, ერთად ლოცვა. ხუცესთაგან და მღვდელთაგან დალოცვა, წირვა-ლოცვის დაყენება, კურთხევა, ნათლობა და სხვა. მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, არა მარტო ძველი ცნობებიდან და მოციქულთა ნაწერებიდან, თვით ტექსტებზე დაკვირვებითაც ადვილად ამო-

იკნობა, რომ სახარებები (ოთხნი თაენი სახარებისა) უფრო ძველია და პირველწყაროა ახალი აღთქმის სხვა წიგნებისა. ისე, რომ სახარებები უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე ეპისტოლენი და „გამოცხადება იოანესი“. ამიტომ ხშირად არის მოხსენიებული ეპისტოლეებში და გამოცხადებაში „სახარება“. სამოციქულოს (საქმე წმ. მოციქულთა) შინაარსი განმარტავს სახარების ზოგიერთ ადგილს, უფრო გავრცობილად გვაწვდის და მათი შინაარსი არაფრით არ სცდება სახარების შინაარსს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მაცხოვრის აღთქმა. მაცხოვარი ეუბნებოდა მოციქულებს (სახარების მიხედვით) „მე თქვენ აღვითქვამთ“ მე წავიდე და მოგივლინოთ სული იგი ჰეშმარტებისა (სულიწმიდა), რომელი მამისაგან გამოვალს. ამ აღთქმის მიხედვით მართლაც მოვლინებული იქნა მოციქულთა ზედა სულიწმიდა. სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულებზედ დაწერილებით არის აღწერილი სამოციქულოს I თავში. აქ კარგად მოჩანს, რომ სახარება არის პირველწყარო, ხოლო სამოციქულო დაწერილია უფრო მოგვიანებით.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ეპისტოლეებიდანაც, რომ ისინი დაიწერა სახარებების შემდგომ. მაგრამ, არა ყველა, ეს საჭირო არ არის და გადატვირთავს შრომას. ისე რომ არა თუ II საუკუნის ნახევარში, არამედ ჰეშმარტად სახარებები დაწერილია I საუკუნის ნახევარში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, I საუკუნის ნახევარამდე და ცოტა გადაწევით 70-იან წლებამდე. ამის შესახებ გვამცნობენ (გადმოგვცემენ) თვით მოციქულები და უძველესი წყაროები. სახარებები დაწერილია ქრისტეს ამალებიდან დაახლოებით 10—15, 20—30 წლის შემდეგ. ხოლო გამოცხადება როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული 35 წლის შემდეგ.

I სახარება არის მათესი. ეს სახარება ყველაზე ადრეა დაწერილი. იგი სრული და მონუმენტურია, თანაც რიგის მიხედვით მას პირველი ადგილი უჭირავს. ეს კი ტრადიციულად მომდინარეობს უძველესი დროიდან. თანაც თვით ნაწარმოებს ეტყობა, რომ იგი აღწერს პირველად იესო ქრისტეს ცხოვრებას. აღწერას იწყებს გენეალოგიით შთამომავლობის მოხსენიებით აბრაამიდან იესო ქრისტემდე. „წიგნი შობისა იესო ქრისტესი ძისა დავითისი, ძისა აბრაამისა“.. და ასე შემდეგ, ძველი ტრადიციის მიხედვით ვინმე დიდებულზე მოთხრობის წერას პირველად იწყებდნენ მისი წარმოშობით, წინაპრების მოხსენიებით. და რომ მათე მოციქულმა პირველად აღწერა წმიდა სახარება, ამას გვამცნობენ უძველესი წყაროებიც. სოფრომ იერუსალიმელი, რომელიც VI—VII საუკუნეში მოღვაწეა, თანაც იერუსალიმის პატრიარქი, ძლიერ ახლოს უნდა იკნობდეს სახარებების წარმოშობასა და მათ პირველწყაროებს.

იგი გვამცნობს „მათე, რომელსაც ეწოდა ლევი მეზვერე, პირველად აღწერა წმიდა სახარება ქრისტესი ჰერიასტანს, მათთვის, რომელთა აქუნდა წინადაცვეთილება წინათა და სიტყვათა ებრაულითა და ესე არავინ უწყის შემდგომად მისსა ვის მიერ ითარგმნა ელინურისა ენითა“.

როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, პირველად სახარება აღუწერია მათე მოციქულს მათთვის, ვინც წინადაცვე-

თილებას მისდევდა, ებრაელებისათვის ებრაულს ენით. იქვე დასქენს, ეს არავინ უწყის ვის მიერ ითარგმნა ელინურ (ბერძნულ) ენაზეო.

„ხოლო ებრაული იგი მათ მიერ აღწერილი არს კესარიას პანფილიისასა საუნჯეთა შინა წიგნთასა მარტვიროსის მიერ დაცული. და ეგრეთ ვგონებ, ვითარმედ აწცა აქუნდეთ იგი ნაზარეველთა მათ ჰურიათა“.

როგორც ჩანს მათე მახარებელს ძალიან ადრე დაუწყია სახარების აღწერა და იგი დაუსრულებია არაუგვიანეს ქრისტეს ამალეებიდან 5—10 წლის შემდეგ.

მეორე სახარება არის რიგით მარკოზისა (მარკოსისი) მარკოზის შესახებ სწერს წმიდა სოფრონ იერუსალიმელი „მარკოს მოწაფე ქრისტესი და მომთხრობელი რაოდენიცა ესმა წმიდისა პეტრეს მიერ ქადაგებაი და მოუწოდეს ძმთა პრითა აღწერად მცირისა სახარებისა და ვითარცა იხილა წმიდამან პეტრე, გულისხმა ჰყო რამეთუ ჰეშმარტი იყო, თვითცა დაამტკიცა და წარსცა ყოველთა ეკლესიათა“.

როგორც ჩანს, პეტრე მოციქულის განსწავლული მოწაფისათვის მარკოზისათვის რომელ მამებს დაუვალელებით „მცირე სახარების“ აღწერა. ალბათ მათეს სახარების შევსებისა და სრულყოფისათვის. ზოგიერთი გამორჩენილი მნიშვნელოვანი მოვლენის წარმოსადგენად და სხვა. ამიტომ მარკოზი სხვა კუთხით იწყებს. ის პირველად ყურადღებას ამახვილებს წინამორბედზე, ნათლისღებაზე შემდეგ მოციქულებზე, თუ როგორ „უწოდა“ მაცხოვარმა პეტრეს, ანდრიას და სხვა მოციქულებს. როგორც ძველი წყაროებიდან მომდინარეობს, რიგით მეორეა სახარება მარკოზისა, „რომელი აღიწერა შემდგომად ქრისტეს ამალეებისა წელსა მეათესა“.

რიგით მესამეა სახარება ლუკასი. ლუკას სახარება აღუწერია „სწავალთა მიერ პეტრე მოციქულისათა“. მანვე აღწერა საქმენი მოციქულთანი, ვითარცა პავლე მოციქულის მიერ ესწავა. ამიტომ სახარება ლუკასი უფრო ადრეა აღწერილი, ვიდრე მისი „საქმენი მოციქულთანი“. ლუკას მამინ აღუწერია სახარება, როცა „მრავალთა ხელ ჰყვეს აღწერა მოთხრობისა“, ე. ი. ყოფილა ცდები სხვა პირთაგანაც სახარებების აღწერისა. უნდა ვივარაუდოთ არა მოციქულთაგანაც, ამიტომ ლუკას, როგორც პეტრე მოციქულისაგან განსწავლულს უნდა ეთქვა სიტყვა ჰეშმარტი. რიგით მესამე სახარება ლუკასი მარკოზის სახარებაზე ცოტა მოგვიანებით უნდა იყოს აღწერილი. ძველი ტრადიციის მიხედვით დაახლოებით ქრისტეს ამალეებიდან 15 წლის შემდეგ, ე. ი. I საუკუნის 50-იან წლებში.

რიგით მეოთხეა „სახარება იოანესი“. იგი დაწერილი უნდა იყოს ყველა სახარებაზე გვიან. წმიდა სოფრონ იერუსალიმელიც ადასტურებს ამას: „ხოლო ამან იოანე შემდგომად სამთა მათ მახარებელთასა აღწერა თვისი სახარებაი ვედრებითა ეპისკოპოსთა ასისათა, რამეთუ მას ყამსა გამოჰჩნდეს მწვალეებელნი კირანთუსნი და კულად ემვიონისტელთანი, რომელნიცა იტყოდეს ქრისტე არა შობილ არს მარიამისაგან. ამის გამო საყუარელმან მან უფლისამან იოანე იწყო პირველად სიტყუანი შობისანი და სხვა მიზნისა იტყვიან:

ვითარმედ წარიკითხა იოანემ სახარებანი მატესნი, მარკოზისნი და ლუკასნი. განიხილა და კულად უმეტესად დაამტკიცა, ხოლო ერთი თვით დაწერა შეპყრობა დიდებულისა ნათლისმცემელისა იოანესი და საპყრობილეს შეეყენება“.

როგორც ჩანს იოანე ღვთისმეტყველს ხელთა ჰქონია თავისი სახარების აღწერის დროს ადრე დაწერილი სახარებანი მათესი, მარკოზისა და ლუკასი. როგორც სოფრონ იერუსალიმელი ფიქრობს ახლად გამოჩენილი მწვალეობის განსაქარებლად „რომ იესო მარიამისაგან არ იყო შობილი“, გულსავსე ქმნილა აღწერა ახალი სახარება. ამ სახარების დაწერას წინ უსწრებდა მთელი რიგი მოვლენები, თუნდაც მწვალეებელთა გამოჩენა და სხვა, ამიტომ ის სხვა სახარებაზე საკმაოდ გვიან უნდა იყოს აღწერილი, დაახლოებით 70-იან წლებში. რა თქმა უნდა, გამოცხადებაზე ადრე ან რამოდენიმე წლით გვიან (გამოცხადება იოანესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 68 წელს არის დაწერილი).

რაც შეეხება „საქმენი წმ. მოციქულთანი“ რომელიც ლუკა მახარებელმა აღწერა, უმეტესად პავლე მოციქულის სწავლებით. დაწერილი უნდა იყოს პეტრე და პავლე მოციქულების წამებამდე. როგორც ცნობილია პეტრე და პავლე მოციქულები აწამეს რომში იმპერატორ ნერონის დროს 67 წელს. სამოციქულოში აღწერილია პეტრე და პავლე მოციქულების რომში ჩასვლა და იქ მათი მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტი. მათს წამებაზე კი არაფერია ნათქვამი. ისე, რომ სამოციქულო დაწერილი უნდა იყოს მოციქულთა წამებიდან რამოდენიმე წლით ადრე არაუგვიანეს 62 წლისა სავარაუდებელია 60-იან წლებში.

მოციქულთა ეპისტოლენიც (პეტრესი, პავლესი, იაკობისა და იოანესი) დაწერილი უნდა იყოს ამავე პერიოდში, დაახლოებით 40-იანი წლებიდან 70—80 წლებამდე. ეს იყო დრო მოციქულთა აქტიური მოქმედებისა და მიწერ-მოწერისა. ისე რომ მითოლოგიის მომხრეთა მიერ ახალი აღთქმის წიგნების დაწერის თარიღების გადმოწევა II საუკუნის ნახევრამდე და ბოლომდე ეს ნავარაუდევია მხოლოდ იმისათვის, რომ წმიდა წიგნების მოციქულებრივი წარმოშობა უარყონ და ქრისტე მითიურ ბურუსში გახვიონ.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი ამას აკეთებს იმის საფუძველზე, რომ I საუკუნეში ცხოვრობდნენ დიდი ისტორიკოსები: პლინიუსი, სტაციუსი, იოსებ ფლავიუსი, პლინიუს უმცროსი და სხვები, რომელთაც ვერ შენიშნეს ქრისტე. და სადაც გაკვრით მოხსენიებულია მათ შრომებში ქრისტიანები ან ქრისტე ეს მიიჩნეოს ინტერპოლაციად, ჩანართებად. შემდგომი საუკუნეების ქრისტიან მწერალთა „ნამუშავეად“. ჩვენ აქ არ განვიხილავთ ამ ისტორიკოსებისაგან მოწვეულ უძველეს ცნობებს დაწერილებით, მხოლოდ ვიტყვი, მადლობა ღმერთს, რომ გატყდა საუკუნოვანი ყინული. რომ დღეს მითი და მითოლოგია თვით მითების მომხრეთაგან სასწორზეა დადებული. ზემო აღნიშნული ისტორიკოსების მიერ გადმოცემული უძველესი ცნობების ჰეშმარტება დადასტურდა; რომ აქ არ არის არავითარი ინტერპოლაცია, რომ არსებობდა და ცხოვრობდა იესო ქრისტე

I საუკუნეში, მათი წარმოდგენით მოძღვარი, პიროვნება. ჩვენთვის ჭეშმარიტად ძე ღვთისა ცხოველისა. სამი ათეული წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ მეცნიერე-

ბა მიდის იმ დასკვნამდე, რომ მოციქულები ისტორიული პიროვნებები და მათ მიერ აღწერილი ყველა წყაროები ისტორიული ხასიათისაა.

II

ქრისტე — მოვლენილი მსხნელი — მესია

წინასწარმეტყველთა აღთქმისაებრ ებრაელთა ერი ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე მოელოდა მესიის — ე. ი. ღვთის ცხებულის — მსხნელის მოსვლას.

„ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩვენი და არა დაღუმნეს, ცეცხლი მის წინაშე ატყდეს და გარემოს მისსა ნიავეჭარი ფრიალ.“

მოუწოდოს ზეცასა ზეგარდამო და ქვეყანასა გარჩევად ერისა თვისისა“ (ფსალმ. დავითისი 49, მუხლ. 4—5).

საულის, დავითისა და სოლომონის დიდებული მეფობის შემდეგ ისრაილისა და იუდაის სახელმწიფოთა ძლიერება თანდათან ეცემა. მათზე იერიში მიაქვთ ჯერ ეგვიპტე-სირიის ძლიერ არაბულ სამეფოებს, ხოლო შემდგომ აღმოსავლეთიდან ასირიის (ასურეთის) ძლიერ მონარქებს. ამავე დროს ებრაელთა შორის ჩნდება კერპთ-თაყვანისმცემლობის ნიშნები: ოქროს ხბოს, კერპ ბაალისა და სხვათა თაყვანისცემა.

დაპყრობილ და დამონებულ ხალხს ამხნეებდნენ წინასწარმეტყველები: „ნუგეშინი ეცით სულმოკლეთა გაგონებითა განძლიერდით და ნუ გეშინიან. აჰა ღმერთი ჩუენი სასჯელსა ნაცვლად მიაგებს და ნაცვალი ავოს, თვით მოვიდეს და მაცხოვნეს ჩვენ... მაშინ აღეხვენეს თვალნი ბრმათანი და ყურთა ყრუთასა ესმოდეს“ (წინასწარმეტყველ. ესაიასი თავი — ლე, მუხლი — დ-3).

ებრაელთა აზრით, ღმერთი-მესია ცხადად მოვიდოდა და დასჯიდა მათ მტრებს; ნაცვალს უგებდა. მათი წარმოდგენა უფრო შორსაც მიდიოდა — ნაცვლის გების შემდეგ ისინი მოელოდნენ მტრებზე გაბატონებას. ამიტომ ხალხშიც და მალალ წრეებშიც მახინჯდებოდა წინასწარმეტყველთა ჭეშმარიტი სიტყვა-მოწოდება. ისინი უკვე მესიას წარმოდგენდნენ, როგორც მოვლენილ ძლიერ მმართველს, მეფეს და მთავარს, რომელიც წარუძღვებოდა ღვთისგან რჩეულ ერს და მის მომავალს მრავალ გამარჯვებათა შარავანდელით შემოსავდა. როგორც სჩანს, იქვე ავიწყლებოდა იმავე წინასწარმეტყველთა მრავალი გაფრთხილება და საყვედური, რაც მათ უკვე დაიმსახურეს უგვანო ქცევისა და კერპთმსახურებისათვის, გარეგნული და პირფერული (ფარისევლური) ღვთისმოსაობის გამო.

„არა თუ მსხვერპლთა შენთათვის გამხილო შენ, რამეთუ საკურთხენი შენნი ჩემ წინაშე მრავალ არიან. არა შევიწირავ მე სახლისა შენისაგან ზუარაკთა (ფსალმ. 46, 8—9).

ეს იმიტომ, რომ „პირმან შენმან განამრავლა უკეთურები და ენაი შენი თხზვიდა ზაკვასა, სჯიდი რა, ძმისა შენისათვის ბოროტსა იტყოდი და ძისათვის ძისა შენისა დასდევდი საცთური (ფსალმ. 49, 10—20).

სწორედ ამ შინაგანმა უწყსოებამ და უკეთურებამ ებრაელთა შორის (სხვა მიზეზების თანდართვით) მის საგარეო ომებში გამოიწვია მარცხი.

ასე, რომ მესიის მოვლენების წინაისტორიული ხანა აღსავსეა თვით ებრაელთათვის სამწუხარო შედეგებით. ამ მდგომარეობამ თავისთავად რჯულის სიწმიდემოცი ბზარი შეიტანა, გულგატეხილობამ შეამცირა და დააკნინა ღვთისმსახურება. ამის შესახებ კარგად გვამცნობს იერემია წინასწარმეტყველი:

„უკეთუ სცვალენ წარმართნი ღმერთთა მათთა და იგინი არ არიან ღმერთნი, ხოლო ერმან ჩემმან შეიცვა... და დიდები თვისი, რომლისაგან არა რგებულ იქმნეს... რამეთუ ორნი ძვირნიცა ქმნა ერმან ჩემმან: მე დამიტევს წყარო წყლისა ცხოველისა და უთხარნეს თავთა მათთა ჯურღმულნი განხურეტილნი, რომელნი ვერ შემძლებელ არიან დაპყრობად წყლისა“ (წინასწარმეტყველ. იერემიასი, თავი — ბ, მუხლი — ია-იგ).

ამ დროისათვის წარმართული ჩვევები: სიხარბე-ანგარება, გარყენილება, გულზვიადობა, უწყალობა და განსაკუთრებით ღვთისა და ღვთისტარების მიღრეკილებანი იჭრება ებრაელთა ერში.

ამრიგად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წინასწარმეტყველთა მოწოდებანი დამახინჯებული სახით აირეკლებოდა ებრაული მოდგმის მაღალი წრის ადამიანების სულიერ სამყაროში.

როგორც სჩანს, თვით მეფე და მისი ამაღაც მესიას სულ სხვაგვარად წარმოიდგენდნენ. და როცა იროდი მეფემ შეიტყო მოგვთაგან მაცხოვრის შობის ამბავი, შეძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მის-თანა (იგულისხმება მაღალი წრე) (მათე თავი ბ-დ). რატომ შემფოთდა იროდი მეფე, განა ის არ მოელოდა მსხნელი მესიის მოსვლას? უეჭველია მოელოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბოლო ხანებში მესიის დიდებული ღვთაებრივი სახე მათ მიწიერი ადამიანის სახემდე ჩამოიყვანეს და იგი მიიჩნიეს არა საყოველთაო მსხნელად, არამედ მხოლოდ ებრაელთა ერის მსხნელად, მის მეუფედ; მის მეფედ. „და შენ ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დაწყოსოთ ერი ჩემი ისრაელი...“ (მათე. თავი ბ. მუხლი — ვ-ზ). ამიტომ გასაგებია იროდი მეფის შეშფოთება. მას ჰგონია, რომ ახლად მოვლენილი ქრისტე-მესია, მას და მის შთამომავლობას წაართმევს მეფობას და თვით გაეფედება. თუ რამდენად იყო შეშინებული ამ ამბით, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამას მოჰყვა ბეთლემის ცნობილი ტრაგედია — „ჩვილ ყრმათა ამოწყვეტა“. გადარჩენილმა მაცხოვარმა, რომლის მოკვლა მან ვერ შეძლო, სხვაგვარ

განაგო ებრაელთა ერის ბედი. მან სასტიკად ამხილა და დაგმო მაღალი წრის წარმომადგენლები ფარისევლები და საღუფეველები, მწიგნობარნი და უხუცესნი: „ვაი თქვენდა მწიგნობარნი და ფარისევლები ორგულნი... გუელნი ნაშობნი იქედნეთანი... ვითარმე განერნეთ სასჯელსა მას გენისისასა...“ (მათე. თავი კვ-კთ, ლგ). არა თუ მეფობა მისტაცა ვისმეს, ან მთავრობა თავს იღვა, არამედ სიგლახაკე და სიმშვიდე წამოსწია წინა პლანზე — ეს შემთხვევითი არ არის, რომ მაცხოვარმა სამოთხის კარი პირველად სულით გლახაკებს გაუღო და მშვიდნი დასხა დამკვიდრებდა ქვეყანისა.

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა. და ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“.

სიმშვიდე და მყუდროება თვით ღვთაების იდეალია. სიმშვიდისა და მყუდროების აპოლოგეტიკა შემდგომ უმაღლეს წერტილს აღწევს ქრისტიანულ სარწმუნოებაში, — „ღუმილის სიბრძნე და მოთმინება...“

ამპარტავან ებრაელებს, წინააღმდეგ მათი წარმოდგენისა, იმთავითვე მოთმინება და სიმდაბლე უქადაგა. „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“. „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცეს მაღლი“.

მოსეს რჯულის მიმდევარი ებრაელები მოსე წინასწარმეტყველის დროიდან დაწყებული ზოგიერთ დოგმებს ჩაჭიდებულნი წინააღმდეგობას უწევდნენ მაცხოვრის მიერ მოტანილ ახალ მცნებებს. იმათ ქრისტე რჯულის დამხსნელად, დამარღვევლად მიაჩნდათ, მაგრამ თვით მაცხოვარი პასუხობდა: „არა მოვედ დახსნად სჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა, არამედ აღსრულებად...“

ებრაელები შფოთავდნენ აგრეთვე შაბათი ღღის უქმის გატეხვის გამო, ვინაიდან ქრისტე ხშირად ახდენდა სასწაულს შაბათ ღღესაც, არ იცავდა მას და „განჰკურნებდა მრავალთა“ და მშვიდად ეუბნებოდა განარისხებულ ებრაელებს: „უფალ არს ძე კაცისა შაბათისაც“... შაბათი კაცისათვის დაებადა და არა კაცი შაბათისათვის“.

ამხილებდა რა მაღალი წრის ებრაელთა — უხუცესთა, მწიგნობართა და ფარისევლთა უგუნურებას, მის მიერ მოტანილ ახალ მცნებათა საყრდენს ხალხში პოულობდა, უბრალო ადამიანებში. ამიტომ მოციქულებად გამოირჩია გულმართალი, უწიგნური (უსწავლელი) მეთევზენი; მაგრამ მდიდარნი სარწმუნოებით. ამიერიდან მხოლოდ პირადი ღირსება ფასდებოდა. თანაც თავის გამოჩენის მოყვარულნი ჩამოყვანილი იყვნენ დაბალ ხარისხსა ზედა, ხოლო აღამაღლა გლახაკნი და ადადგინა სკორეთავან დაერდომილნი. „ამან გლახაკმან ხმა ჰყო და უფალმან ისმინა მისი“.

მაცხოვარმა სიყვარული გამოაცხადა მეუფედ ყოველთა და ყოველისა და როცა მიმართეს მას, თუ რაი არს ღმერთი, უპასუხა: ღმერთი სიყვარული არისო და როცა მოესურვათ გაგვით, თუ სად არის აღაქმული სასუფეველი ცათა, მან მიუგო, სასუფეველი თქვენ შორის არისო.

ამ სიტყვების ამოუწურავი სიბრძნე მოიცავს ადა-

მიანის ამქვეყნიური ცხოვრების უტყუარ მნიშვნელობას მისი სულიერი წინსვლის გზაზე. იგი მიგვანიშნებს, რომ ადამიანის მიწიერი ყოფნა, მხოლოდ მომწიფება უნდა იყოს მისი მომავალი ზეციური ცხოვრებისათვის. სასუფეველი თქვენ შორის არის ნიშნავს, რომ სასუფეველი თქვენით მოიპოვება, ურთიერთსიყვარულით. რადგან სიყვარული გამოირიცხავს ყოველგვარ ბოროტმოქმედებას; „ტკბილი ხმით ხმობდეს მოყვასი მოყვასისა მიმართ“. ზეციური მეუფე მოვლენილი ქვეყნად ზეციური სიყვარულის მსგავსს ამყარებს ქვეყანაზედაც.

სიყვარულზეა დაფუძნებული ისეთი როგორცაა მოთმინება, სათნოება, კეთილშობილება.

მაცხოვარი მიუთითებდა: „ვინც ღიდად შეიყვარა ღიდათცა მიეტევოს...“

სიყვარულის გამო მიტევება ახალი და ჭერ გაუგონარი ცნება იყო იმდროინდელი მსოფლიოსათვის.

მეორე დიდი სათნოება, რასაც შეეძლო კანდიერად ელაღადა წინაშე ღვთისა, მოწყალება იყო. ვინაიდან მხოლოდ მოწყალები შეიწყალები. აქაც მხოლოდ წყალობის მოყვებით აღუთქვა მაცხოვარმა მიტევება ცოდვათა და შეწყალება.

მოწყალების, როგორც უმაღლესი სათნოების სიდიადე ათი ქალწულის იგავიდანაც სჩანს. თვინაერ მოწყალებისა თვით ქალწულებიც არ იქნენ შეწყნარებულნი ღვთისაგან. მაცხოვარმა არ გაუღო სასუფეველის კარი იმათ, ვისაც არ ქონდა შემონახული ლამპარში ზეთი (სამოწყალო საჭმელები).

მოწყალების მცნება იმიტომაც არის ძლიერ მაღალი, რომ იგი თავისთავში სიყვარულის გარდა გონიერებასაც შეიცავს.

სიყვარულის და მოწყალების ძლიერ მცნებებთან, როგორც ნათელ წყაროსთან, თავს იყრიან სხვა სათნოებანი.

ჩვენთვის ნათელია, რომ სათნოებათა სწავლება-ქადაგების ყველა ასპექტში იგულისხმებოდა მზადება ადამიანის მომავალი კეთილდღეობისათვის, მისი სულიერი განათლებისათვის და განსაკუთრებით მეორედ მოსვლისათვის.

ქრისტეს მეორედ მოსვლის საკითხი იყო თავიდათავი, რისთვისაც უნდა მომზადებულიყო ე. ი. სათნოებით გამდიდრებულიყო მანამდე სულიერად გაღატაკებული ადამიანი.

ქრისტე, რომელმაც წარმოაცალიერა საუნჯენი მამისათვისისა, მიმართავდა თავის ზეციურ მამას: „მამაო მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე რათა ვჰყო“ (იოანე — თავი — იზ, დ—ე), ადამიანის მომავალი მკვდრეთით აღდგომის მიუწვდომელი სიბრძნით განასრულა და თავისი ბრწყინვალე აღდგომით გვიჩვენა პირველსაზე მკვდრეთით აღდგომისა.

„ხოლო ესე არს ნებაი მომავლინებელისა ჩემისა მამისა, რათა ყოველი, რომელი მომეც მე არა წარსწყმიდო მისგან, არამედ აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას ღღესა, რამეთუ ესე არს ნება მომავლინებელისა ჩემისა, რათა რომელი ჰხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი აქუნდეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას ღღესა“ (იოანე — თავი — 3, ლთ—მა).

მაგრამ უკანასკნელსა მას დღესა საუკუნო განსჯით განისჯებიან ადამიანები, მათი ცოდვა-მადლის მიხედვით, მათი ამქვეყნიური მოღვაწეობის მიხედვით.

„ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა, რამეთუ გამოვიდეს ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა და შესთხინენ იგინი შორის სახმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“ (მათე, თავი ივ, მუხლი — ნა-ნბ).

ვინ არიან აქა ხსენებული უკეთურნი და მართალნი? „ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოსნი მისნი მისთ-ანა, მაშინ დაჰსჯდეს საყდართა დიდებითა თვისისათა და განსაჯოს ყოველი, მათი კაცთმოყვარებისა და მოწყალების მიხედვით (მათე — თავი კე, მუხლ. — ლა-ლმ).

„მაშინ სთქვას მარჯვენით მდგომარეთა — მოვედინ კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ: რამეთუ მშობიდა და მეცით ჭამადი, მწყურაოდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა“ (მათე, თავი კე, მუხლი — ლე-ლთ).

„მაშინ ჰრქუას მარცხენითა მათცა წარვედით ჩემგან წყეულნი ცეცხლსა მას საუკუნესა... რამეთუ მშობიდა და არა მეცით მე ჭამადი, მწყურაოდა და არა მასვით მე, უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე, უძლურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხვედით ჩემდა“ (მათე — თავი კე, მა-მბ).

და ამას ეტყვის არა იმისთვის, რომ არ ემსახურენ ქრისტეს, არამედ ერთ რომელიმე უბრალო ადამიანს.

„ამინ გეტყვით თქვენ რავდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ. და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი — ცხოვრებასა საუკუნესა“ (მათე, თავი კე, მუხლი მ-მა). მაგრამ აქ საჭიროა ცოტათი მაინც განიმარტოს მკვდრეთით აღდგომის ზებუნებრივი არსი. როგორი იქნება მკვდართა აღდგომის სახე. შემდგომ აღდგომისა ადამიანები თავიანთ სხეულებით იქნებიან თუ არა (ისე როგორც ამჟამად არიან)?

ამ რთულ კითხვაზე პასუხს ჩვენ ვპოვებთ ისევ სახა-

რებისა და მოციქულთა ეპისტოლეების წმიდა ფურცლებზე.

ერთი სადღეკველი ეკითხება ქრისტეს: „მოძღვარ, იყუნეს უკუე ჩვენ შორის შვილნი ძმანი და პირველმან მან შეირთო და მოკუდა და დაუტევა ცოლი თვისი ძმასა თვისსა, ეგრეთვე მეორემან და შესამემან, ვიდრე მეშვიდედმდე... აწ უკუე აღდგომასა მას ვისა შვილთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი.

მიუგო იესო და რქუა მათ: ჰსცდებით და არა იცნით წიგნი, არცა ძალი ღვთისა, რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდნენ, არამედ ვითარცა ანგელოზნი ღვთისანი იყუნენ ცათა შინა (მათე — თავი კბ, კთ-ლ).

ამაზე უფრო დაწვრილებით მიუთითებს პავლე მოციქული თავის ცნობილ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: „ეგრეთცა აღდგომა მკუდართაი, დაეთვისვის უძლურებით და აღსდგების ძლიერებით, დაეთვისვის ხორცი ფშვინვიერი და აღსდგების ხორცი სულიერი. არს ხორცი ფშვინვიერი და არს ხორცი სულიერი (პავლე კორინთ. თავი იე — მ-მბ).

ჩვენთვის გასაგებია, თუ რა არის ხორცი ფშვინვიერი, მაგრამ გაუგებარია თუ როგორია ხორცი სულიერი. ასე რომ აღდგომა ჩვეულებრივ (ფშვინვიერ) ხორცის სამოსელში წარმოუდგენელია, ვინაიდან ამის შეახებ ცოტა ქვემოთ ამბობს იგივე პავლე მოციქული: „ხორცთა და სისხლთა სასუფეველი ცათა დამკვიდრებად ვერ ძალუძს, არცა ხრწნილებამან უხრწნელეზაი დაიმკვიდროს“ (პავლე, თავი — იე-მთ).

ამრიგად ადამიანის მომავალ აღდგინებაში მესიის როლი განუსაზღვრელია.

ღვთაების გარდამოსვლა ზეცით, მისი ჯვარცმა და ტანჯვა ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს ღვთაებრივ ჰუმანიზმზე, ადამიანზე ზრუნვის უბადლო გამოხატულებაზე, კაცთმოყვარეობის ნათელზე.

გმადლობთ შენ მამაო ღმერთო „რომელმან სოფელი შენი ესრეთ შეიყვარე, ვიდრე მიცემისმდეცა მხოლოდ შობილის — ძისა შენისა, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს მისსა მიმართ არა წარსწყმდესა არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე ვ-ივ).



ბ ი ბ ლ ი ა

(მოკლე მიმოხილვა)



ქუთათელი-გენათელი
მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი)

ქართულ ენაზე ბიბლია იშვიათი და ძნელად ხელ-მისაწვდომი წიგნია, იმის გამო, რომ მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე იგი მხოლოდ გამოიცა პირველად 1743 წელს, მოსკოვში, უფლისწულ ბაქარ ბაგრატიონის მიერ, და მეორედ — იგივე გამოცემა მცირედენი შესწორებით, — თბილისში 1884 წელს. ამ გამოცემებშიც შევიდა მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნები, და მთლიანი ბიბლია, — ძველი და ახალი აღთქმა ერთად, ქართულ ენაზე ჯერ არ გამოცემულა.

ხალხის ინტერესი ბიბლიის შესწავლისადმი დიდია, საპატრიარქოს სურს ამ მოკლე მიმოხილვით მცირედ მაინც დაუკმაყოფილოს ცნობისმოყვარეობა მათ, რომელთაც დღემდე საშუალება არა ჰქონიათ წაეკითხათ ღვთიური გამოცხადების ეს წმიდა წიგნა.

წმიდათა შორის ჩვენდ მამის იოანე ოქროპირისა და ეპიფანე კეპროსელის განმარტებით, ბიბლია ეწოდება წიგნთა კრებულს, რომელიც დაწერილია სულიწმიდის გამოცხადებითა და შთაგონებით. ღვთისაგან მადლმოსილი პირების — წინასწარმეტყველებისა და მოციქულების მიერ.

ბიბლია შესდგება ორი ნაწილისაგან: ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა — ძველი აღთქმის წიგნების წერა დაიწყო მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს, ქრისტეს შობამდე, დიდი და წმიდა წინასწარმეტყველის მოსეს მიერ, და გრძელდებოდა სხვა წინასწარმეტყველთა მიერ თითქმის ათას ხუთასი წლის მანძილზე. ძველი აღთქმის ყველა წიგნი დაიწერა ებრაულ ენაზე, ხოლო მესამე საუკუნეში ქრისტეს შობამდე 70 მთარგმნელის მიერ ითარგმნა ბერძნულ ენაზე. ქართულად ბიბლია ითარგმნა ბერძნული ენიდან.

ახალ აღთქმას განეკუთვნებიან წიგნები, რომლებიც დაიწერა ღვთივ შთაგონებული პირების — იესო ქრისტეს მოციქულებისა და მახარებლების მიერ ბერძნულ და ებრაულ ენაზე.

ძველი აღთქმის წიგნების ერთად შეკრება ხდებოდა თანდათანობით და 270 წელს ქრისტეს შობამდე უკვე შეკრებილი იყო ერთ მთლიან წიგნად. მიუთითებდა რა ბიბლიის თანდათანობით შედგენაზე, და შესანახად ლევიტებისათვის მის გადაცემაზე, მოსემ უბრძანა დაედოთ იგი აღთქმის კიდობნის* მარჯვენა მხარეზე. ძველი აღთქმის წიგნები ინახებოდა დიდი სიფრთხილით, — წმიდა ადგილზე. და მათ შესახებ იცოდნენ მხოლოდ ქველდებმა.

ბიბლიის ავტორებმა — წმიდა წინასწარმეტყველებმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ, რომ ისინი ასრულებდნენ ღვთის ნებას, რომ ყოველი მათი მოქმედება და მათი დაწერილი წიგნები ემსახურებოდა ღვთის განზრახულებათა დიდსა და მარადიულ მიზნებს, და სწორედ ამიტომ ბრძანა ღმერთთან პირადად მოსაუბრე წინასწარმეტყველმა მოსემ, რომ ღვთის შთაგონებით დაწერილი წმიდა წიგნები შეენახათ აღთქმის კიდობანთან. ასე მოიტანა განგებამ ჩვენი აღთქმის საღმრთო წიგნები, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ხორციელად დაბადებამდე და შემდეგ ჩვენამდე.

თვით ყოველის გამჩენმა და განმგებელმა მომადლა ადამიანს მარად მაძიებელი, დაუოკებელი სული. წმიდა წინასწარმეტყველ მოსეს დროს და მანამდეც ადამიანი ცხოვრობდა რთული მათემატიკური ფორმულებისა და ზეცისაკენ მიპყრობილი დიდი ტელესკოპის გარეშე, მან არ იცოდა ურთულესი მეცნიერული თეორიები, მაგრამ ადამიანს მუდამ აწვალბდა აზრი: „ვინა ვარ მე?“, „საიდან?“, „სად?“, „როდის გაეჩნდი?“ უიარაღო ადამიანი იღვა ამ ცეცხლის მფრქვეველ“ მიწაზე, უყურებდა დრო-

* აღთქმის კიდობანი ებრაულ სჯულში ითვლებოდა ყველაზე წმიდა სალოცავად, იგი გააკეთებინა წინასწარმეტყველმა მოსემ ღვთის ბრძანებით.

დადრო ელვით დასერილ ზეცას, ქარიშხლით მიმქროლავ ღრუბლებს, მცხუნვარე მზეს, ვარსკვლავთა უსასრულო სამყაროს, და არ იცოდა, — ვინ იყო ის...

ექებდა მაგრამ ვერ გებულობდა... „ჭეშმარიტებას“ ვერ ნახულობდა მაძიებელი სული ადამიანისა, მან ხან მზე მიიჩნია — ერთადერთ ჭეშმარიტებად, ხან მთვარე, ხან ცეცხლი, ხანაც — ქუხილი, და სხვა და სხვა. იყო მრავალნაირი წარმოდგენა, მრავალი ღმერთი, მაგრამ ნამდვილი შემოქმედი, ღმერთი ჭეშმარიტი დივიწყა ადამისა და ევას ნაშეიერმა. იგი ზედავდა დაღამებასა და გათენებას, მაგრამ ვერ შეიცნო დამდგენელი მისი. ჰხედავდა ნათელს და ვერ მიაკვლია ნათელის წყაროს. წვალობდა ასე, გზა აბნეული ადამიანი...

და აი, აქ წყარომ ნათლისამ დაინახა საჭიროდ ადამიანთა ძიებაში თვისი ჩარევა. ცხადი იყო, — ღვთისაგან დამოუკიდებლად ადამიანი ვერასოდეს ვერ აღმოაჩენდა წყაროს ნათლისას. ჩარევა აუცილებელი იყო და ჩაერია კიდევ უხილავი გამჩენი სიცოცხლისა და უკვდავებისა. მან პირველად თვისი წინასწარმეტყველის მოსეს ხელით დაგვიწერა ქვეყნის შექმნისა და სიცოცხლის გაჩენის უდიდესი გამოცხადება. ადამიანს მოსემდე წარმოდგენა არა ჰქონდა არც ჭეშმარიტ ღმერთზე, არც სამყაროს შექმნაზე და არც თვით ადამიანის გაჩენაზე. თუ ვილაპარაკებთ ჭეშმარიტების ღვთაებრივ განცხადებაზე, ეს შეიძლება ვნახოთ მხოლოდ ბიბლიაში და სხვაგან ვერსად ვერ ვნახავთ. არც ერთ წიგნს მსოფლიოში, თავისი აზრის სიღრმისა და პრინციპების ჰარმონიულობით და არც თავისი ისტორიული საფუძვლებით, არ შეუძლია პრეტენზია იქონიოს ღვთიური გამოცხადების ისეთ სრულყოფაზე, როგორც ეს მოცემულია ბიბლიაში. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ბიბლიის თხრობითი მხარე. ჩავიხედოთ მასში და დავინახავთ, თუ რა სასწაულებრივი გავლენა მოახდინა მან ადამიანებზე, რომელნიც გულითა და გონებით ჩასწვდნენ მას. კითხულობ რაღაც შინაგანი მადლით აღვსილ სიტყვებს და ეუბნები შენს თავს: ჭეშმარიტად, ასეთი სიტყვები შეიძლება წარმოთქვას მხოლოდ ბაგემ ღმერთისამ, ეს სიტყვები არ შეიძლება იყოს ნაყოფი ადამიანური გენიისა, არ შეიძლება ადამიანის გონების მიერ იყოს მოფიქრებული.

ბიბლია აოცებს ყოველ გონიერ მკითხველს ორი დიდი თავისებურებით: საკვირველი შინაარსობრივი ნაირსახეობითა და განსაკუთრებული ერთიანობით. სხვადასხვაობა იმ ადგილებისა, სადაც ის დაიწერა; სხვადასხვაობა ავტორებისა, რომელთაგანაც ის დაიწერა; სხვადასხვაობა თემებისა და ფორმებისა, რომლითაც ის დაიწერა; და აი, ასეთი გასაოცარი ნაირსახეობის ფონზე, ბიბლიაში ჩანს სასწაულებრივი შინაგანი კავშირი, ჰარმონია და მთლიანობა: მთლიანობა მის შედგენაში, მთლიანობა ისტორიულ თანმიმდევრობაში, მთლიანობა წინასწარმეტყველებაში და მთლიანობა მის სულიერ ერთიანობაში — ბიბლია დაიწერა, უფრო სწორად, ბიბლია იქმნა ნაკარნახევი წინასწარმეტყველებისადმი სულიწმიდის მიერ, და ამავე მრწამსით შეიძლება მისი განხილვა და გაგება, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია ორმოცი სხვადასხვა ავტორის მიერ იწერებოდა ათას ხუთასი წლის მანძილზე, ის მკითხველს აყენებს მიზნის ისეთი

მთლიანობისა და შედუღების წინაშე, რომ შეუძლებელია ბზარისა და სიძველის ხაზის მოკიდების მონახვა მასში. ამრიგად, ბიბლია, მთლიანად ძველი და ახალი აღთქმა, — წარმოადგენს ღვთის წყალობით აღსავსე ჩანაფიქრს, უკუღმართი და უმეცარი გზით მიმავალი, გაოგნებული კაცობრიობის გადასარჩენად. ბიბლია ერთადერთი წიგნია ქვეყანაზე, რომელიც ღვთის შთაგონებით დაიწერა: „ყოველი წიგნი (ბიბლია) ღმრთივსულიერი და სარგებელი სამოდღურებლად არს, და სამხილებლად, და განსამართლებლად, ის სასწაულებლად სიმართლისა“ (2 ტიმ. 3,16) ამისათვის: „ყოველი წინასწარმეტყველება წიგნისად თვისისა თავისა სათარგმანებელ არა იქმნების, რამეთუ არა ნებითა კაცთათა მოსადამეიწია წინასწარმეტყველებაი, არამედ წუყვითა სულისა წმიდისათა იტყოდეს წმინდანი ღმრთისა კაცი“ (2 პეტრე I, 20—21).

თვით ბიბლია წარმოადგენს იმის საუკეთესო დადასტურებას, რომ ის ღვთის სულის შთაგონებით დაიწერა. მაგალითად: ჩვენს უახლოეს წარსულ საუკუნეებში მეცნიერებაში დიდი დავა იყო იმის შესახებ, რომ აქვს თუ არა ჰაერს წონა. მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არა აქვს წონა ჰაერს. ეს აზრი აღიარეს მეცნიერების ისეთმა ვარსკვლავებმაც კი, როგორც იყვნენ კოპერნიკი და გალილეი. ეს „აღმოჩენა“ შეტანილი იქნა სასკოლო სახელმძღვანელოებში, ამის შემდეგ არ დააყოვნეს უარყოფა ბიბლიისა, სადაც წერია: „ღმერთმა ქართა (ჰაერთა) საწონი, წყალთა საწყაული ოდეს ჰყო“ (წიგნი იობისა 28, 25) როგორც ცნობილია, გალილეის სიკვდილის შემდეგ მისმა მოწაფემ, ტორიჩელიმ, გამოქანა კოლბიდან ჰაერი (ტორიჩელის სიცარიელე) და დაამტკიცა, რომ ჰაერს წონა აქვს. ამრიგად, სასაცილოდ და აბუჩად აგებული ბიბლია სწორი აღმოჩნდა, ისმება კითხვა: გალილეიმდე დაახლოებით სამი ათასი წლით ადრე საიდან შეიძლო ეს ჭეშმარიტება ჩაეწერა წიგნში ადამიანს, რომელსაც არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა მეცნიერებაზე? პასუხი მხოლოდ ერთია: ღვთის — სულიწმიდის შთაგონებით.

მოუესმინოთ ვარსკვლავს პოეზიისას, წინასწარმეტყველსა და მეფეს დავითს, თუ რას ეუბნება (შთაგონების) მას ღმერთი: „და წყალობა ჩემი და ჭეშმარიტება ჩემი მისთანა, და სულითა ჩემითა ამაღლდეს რქა მისი, და დაჯდა ზღუასა ზედა ხელი მისი, და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი. მან მხადოს მე, მამა ჩემი ხარი, შენ, ღმერთი ჩემი, შემწყნარებელი ცხოვრებისა ჩემისა, და პირმშოდ დაეადგინოთ იგი უმაღლეს უფროს მეფეთა ქვეყანისათა, (დავითნი 88,24—28). ახლა კი მოუესმინოთ წმიდა მოციქულსა და მახარებელს მათეს: „და ნათელ იღო იესო, და მეყუსეულად აღმოვიდა რაი წყლისა მისგან, და აჰა, განეხუნეს მას ცანი და იხილა სულია ღმრთისაი, გარდამომაჯალი, ვითარცა ტრელი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა, და ზმაი იყო ზეცით და ჰსთქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“ (მათე 3, 16—17). პირველი ამონაწერი წარმოადგენს აქ მოყვანილ დავით მეფის წინასწარმეტყველებას, რომ ღმერთი აამაღლებს მის „რქას“ ე. ი. შთა-

მომავალს, რომ ის იქნება უმაღლესი ყველა ქვეყნის მფუფუნე რომ ის — ამაღლებული, ღმერთს თავის მამას უწოდებს, და რომ ღმერთი, თავის პირმშოდ დაადგენს მას. ამ წინასწარმეტყველების შემდეგ გაიარა ათასმა წელმა და ქვეყანას მოვევლინა იესო ქრისტე, რომელიც ღმერთს „მამად თვისად ხალოდა“ და ღმერთმა კი „ძე ჩემი საყვარელი“ უწოდა მას. ამრიგად, რაც იწინასწარმეტყველეს და ჩასწერეს „ძველ აღთქმაში“ ათასი წლის წინათ, ის ზუსტად აღსრულდა და ჩაიწერა „ახალ აღთქმაში“ ათასი წლის შემდეგ. ამ ამბავს ჩვენ დავარქმევთ „ზეზუნებრივს“ თუ „ბუნებრივს“, ამას მნიშვნელობა არა აქვს... მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ მოვლენის „ძველ აღთქმაში“ ჩამწერი დაკითხვით მეფე, ღვთის შთაგონების გარეშე ერთ სიტყვასაც კი ვერ ჩასწერდა ამ ამბის გამო. ფსალმუნზე ტყილად მგალობელ დავით მეფეს ისიც კი აქვს ჩაწერილი თავის ფსალმუნებში, რომ იესო ქრისტეს პერანგზე წილი უნდა ეყარათ მის დამსჯელ ჯარისკაცებს. ეს წინასწარმეტყველება არამარტო ზუსტად აღსრულდა, ისიც კი მოხდა, რომ ვისაც ის პერანგი წილის ყრით შეხვდა, იმისაგან მცხეთელმა კაცმა, ელიოზმა — მცხეთაში ჩამოიტანა და ეს წმიდათაწმიდა სამოსი ჩვენი მაცხოვრისა იმ ადგილზე დაფლული, სადაც დღეს ჩვენი დიდებული სვეტიცხოველი თავის მღუმარებით აერთებს პირველ საუკუნეთა ჭეშმარიტებას მეოცე საუკუნის სინამდვილესთან. ასეთი ამონაწერებისა და შედარებების მოტანა ბიბლიიდან შეიძლება ბევრზე ბევრის, მაგრამ, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ესეც კმარა... მომავალში კი, — ვისაც დღემდე არ ჰქონია ბედნიერება წაეკითხა ღვთიური გამოცხადების ეს წიგნი, წაიკითხავს და თავად გაიგებს, თუ რა ბედნიერებაა კაცისათვის, იცოდეს ჩვენი გაჩენისა და უკვდავების ეს უბადლო წიგნი.

ღმერთი განცხადდა ხალხის წინაშე არა მარტო წინასწარმეტყველებათა საშუალებით, არამედ სასწაულებითაც. ადამიანი თავისი ბუნებით არის შეზღუდული არსება, ღმერთი კი ყოველი მხრივ შეუზღუდველი და უსასრულოა, ამიტომაც, რომ რაც კი დაკავშირებულია ღმერთთან, ადამიანისათვის ის არაბუნებრივი (ზეზუნებრივი) და სასწაულებრივია — ბიბლიაში მოცემულია ჭეშმარიტებანი, რომელნიც ღმერთმა განუცხადა ადამიანებს ათასწლეულებით ადრე, ვიდრე ისინი ცნობილი გახდებოდნენ მეცნიერებისათვის. ბიბლია ღვთიურ-შთაგონებულია და არაა არავითარი საფუძველი გვეშივნოდეს, რომ დღეს თუ ხვალ, ან ოდესმე მეცნიერება მიაღწევს ისეთ აღმოჩენას, რომლის ძალითაც უარყოფილი იქნება ბიბლია.

მეცნიერება ასაბუთებს, რომ დედამიწის შუაგულში იმყოფება გავარვარებული ლავა. იობმა, რომელმაც ეს იცოდა მეცნიერებაზე გაცილებით ადრე, დაგვიწერა: „ქუეყანა, რომლისაგან გამოვალს პური ქუეშე მისსა, ესე მოიქცა ვითარცა ცეცხლი“ (წიგნი იობისა 28, 5) იობისა და მოსეს მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებში არსებობდა სხვადასხვა „მეცნიერული თეორიები“ იმის შესახებ თუ რაზეა დაყრდნობილი დედამიწა. ჩამოაყალიბა ეს სიზუსტე ხუთი სიტყვით: „რომელმან დაჰკვიდა ქუეყანა არა რაისა ზედა“ (წიგნი იობისა 26,7). ის ჭეშმარი-

ტება, რომ დედამიწა მრგვალია, ცნობილი გახდა მხოლოდ მეოთხედიმეტე საუკუნის დასაწყისში. მაგელანმა და კოლუმბმა დაადასტურეს ეს ჭეშმარიტება, ახალ ოკეანეთა, სრუტეთა და მიწების აღმოჩენით. საიდან გაიგო ეს ჭეშმარიტება წინასწარმეტყველმა ესაიამ შეიდასი წლით ადრე ქრისტეს შობამდე, რომელმაც თქვა: „რომელსა უპყრიეს სიმრგვალე ქუეყანისანი და დამკვიდრებულნი მასზედა“ (ესაია 40, 22).

ახალი აღთქმა — ეს არის მოძღვრება, რომელიც დაფუძნებულია იესო ქრისტეს სწავლებაზე და მის ხანმოკლე, სამწლიან მოღვაწეობაზე. თვით იესო ქრისტეს წერილობით არაფერი დაუტოვებია, მაგრამ მისმა მოწაფეებმა დაგვიტოვეს წერილობითი წყაროები, რომლებშიც საკმაოდ გარკვევითაა გადმოცემული იესო ქრისტეს მთელი მოძღვრება და მოღვაწეობა. ასეთი წყაროებია: წმიდა ოთხთავი — სახარება მათესი, სახარება მარკოზისა, სახარება ლუკასი და სახარება იოანესი; საქმე წმიდათა მოციქულთა და კათოლიკე ეპისტოლენი: (წერილები) წმიდა მოციქულის იაკობისა, წმიდა მოციქულის პეტრესი (ორი ეპისტოლე). წმიდა მოციქულისა და ღვთისმეტყველის იოანესი (სამი ეპისტოლე), წმიდა მოციქულისა იუდასი, წმიდა მოციქულისა პავლესი (თოთხმეტი ეპისტოლე) და „გამოცხადება იოანესი“. ყველა ამ ნაწერებში სრული სიცხადითა და დამაჯერებლობითაა გადმოცემული როგორც იესო ქრისტეს ვინაობა, ისე მოძღვრება, — ვზა და სასოება, რომელიც მან კაცობრიობას მისცა, როგორც თანდაუსაბამო ღმერთმა და მაცხოვარმა ჩვენმა.

შეჩერდეთ უფრო დაწვრილებით იესო ქრისტეზე. ვინ იყო ის? იესო ქრისტე არაა მითი და ქრისტიანობა არაა თეორია, არამედ ეს არის ორი ათასი წლის ისტორიული ფაქტი. ისტორიულმა სინამდვილემ რეგისტრაცია გაუკეთა დროს, ადგილსა და მდგომარეობას მისი დაბადებისას. ისტორიისათვის ცნობილია ადგილი, სადაც ის დაიბადა; ქალაქი, სადაც იზრდებოდა; და წლოვანება, როცა მან მოღვაწეობა დაიწყო. ცნობილია აგრეთვე მიზეზი მისი ჯვარცმისა და ცარიელი აკლამის საიდუმლო...

სხვაც ბევრი რამაა ცნობილი იმისათვის, რომ იესო ქრისტე მსოფლიო ისტორიიდან არ გამოირიცხოს.

რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი ამბობს თავის „ანალებში“, რომ ქრისტიანობა აღმოცენდა იუდეაში ტიბერიუსის მეფობისა და იუდეას მმართველის პილატე პონტოელის დროს, რომ ქრისტე ჯვარს აცვეს, და რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა რომაელ ხელისუფალთა მიერ, მისი რელიგია გავრცელდა იუდეას საზღვრებს იქით და მიაღწია იმპერიის სატახტო ქალაქ რომამდე. აღწერს რა რომში მომხდარი ხანძრის ამბავს იმპერატორ ნერონის დროს, ტაციტუსი აღნიშნავს, რომ ნერონმა თვითონვე დაწვა ქალაქი რომი და თავისი დანაშაული გადააბრალა ქრისტიანებს, იმის გამო, რომ ისინი არა სცნობდნენ რომაელთა ღმერთებს (წიგნი 15, თავი 44).

მეორე რომაელი ისტორიკოსი სეპტონიუსი, რომელიც ცხოვრობდა პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, ამბობს, რომ იმპერატორმა კლავდიუსმა გააძევა

რომიდან ყველა ებრაელი, რომელთაც თავის წინამძღვრად აღიარეს იესო ქრისტე. ამ გაძევებაზეა ლაპარაკი ახალი აღთქმის წიგნში: „ამის შემდგომად გამოვიდა პავლე ათინელთა მათგან და მოვიდა კორინთელ, და ჰპოვა ვინმე ჰურიანი სახელით აკვილა, პონტოელი ნათესავით, რამეთუ მამინ ოდეს მოსრულ-იყო იგი იტალიაით, და პრისკილია, ცოლი მისი, რამეთუ ებრძანა კლავდის კეისარსა განშორებად ყოველნი ჰურიანი ჰრომითა. მოვიდა მათა“ (საქმენი 18, 1-2).

ებრაელთა ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (37-100 წ) აღწერს გარეგნობას იესო ქრისტესას და აგრეთვე ქრისტიანობის გავრცელებას. ფლავიუსი ლაპარაკობს ეკლესიის შესახებ და იმ მაღალი ზნეობრივი მოთხოვნების შესახებ, რასაც იესო ქრისტე უყენებდა მის მორწმუნეებსა და მიმდევრებს. მსგავსი ამონაწერების მოტანა იესო ქრისტეზე შეიძლება დიდი რაოდენობით, ამას თუ დავამატებთ იმ ფაქტს, რომ თვით წიგნები „ახალი აღთქმისა“, „წმიდა ოთხთავი“, „საქმე მოციქულთა“, „ეპისტოლინი“ მოციქულებისა და „გამოცხადება იოანესი“ იგივე ჭეშმარიტი ისტორიული საბუთებია, ნათელი იქნება, რომ ქრისტე და მისი მომდევნებანი არა მითიური თქმულება, არამედ ისტორიული სინამდვილე.

ისტორიკოსები არ იგონებენ ისტორიულ პირებს, არამედ მხოლოდ რეგისტრაციას უკეთებენ მომხდარ მოვლენებსა და მოვლენათა მონაწილეებს. ისტორიკოსებს პირველი საუკუნისა და მომდევნო ორი საუკუნისას არ შეეძლოთ გვერდი აეკლოთ იმ მოვლენებისათვის, რომლებმაც გეზი შეუცვალეს თვით ისტორიას და თავისი წარუშლელი კვალი დააჩინეს ხალხთა განვლილ ორიათასწლოვან სულიერ ცხოვრებას.

ქრისტიანებს სწამთ ისტორიული ქრისტე, რომლის შესახებაც ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებისაგან მიღებულ სარწმუნოების სიმბოლოში ნათქვამია: „მრწამს... ერთი უფალი იესო ქრისტე ძე ღვთისა, რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ზორცნი შეისხა სულისაგან წმიდისა და მარამისაგან ქალწულისა განკაცნა, და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს-ზე, და ივნო, და დაეფლა“... აი ის ისტორიული წყაროები, რომლებზედაც დაფუძნებულია ჭეშმარიტება ქრისტიანობისა, რაც შეეხება იესო ქრისტეს ზებუნებრივ ე. ი. ღვთაებრივ თვისებებს, ესეც იგივე ისტორიული რეალობაა. ჩვენ ვენდობით იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც აკვიწერეს ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის, ნაპოლეონისა და სხვა ათასთა ცხოვრება და მოღვაწეობა და ასევე ვენდობით მემკვიდრეთ, სწორთ და მათზე ბევრად მაღლა მდგომთ, - წმიდა დიდებულ და ყოვლად ქებულ მოციქულებს, რომლებმაც დაწერეს და დაგვიტოვეს ყოველივე ნათლად და გარკვევით, იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მათგან აღწერილ იესო ქრისტეს მოღვაწეობაში მოთხრობილია მისი ზებუნებრივი და ზებუნებრივი საქმენი ე. ი. კაცური და ღვთაებრივი საქმეები. ჩვენ გვჯერა, რომ იესო ქრისტე თავის მოციქულებთან ერთად ისე ჭამდა და სვამდა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ მან ზუთი პურით ზუ-

თიათასი კაცი გააძლო, გვჯერა, რომ ის თავად განიცდიდა ადამიანურ წუხილსა და ტკივილს, ის აცრემლდა, როდესაც მკვდარ მეგობართან, ლაზარესთან მივიდა და ამ აცრემლებასთან ერთად აღდგინებაც შემლო ოთხი დღის გარდაცვალებულ ლაზარესი და რომ ეს ლაზარე აღდგინების შემდეგ კვიპროსის ეპისკოპოსი იყო. გვჯერა ეს ყოველივე იმიტომ, რომ ეს ისტორიული რეალობა იყო, რომ იესო ქრისტე იყო კაცური და ღვთაებრივი ზებუნება ერთმანეთში შეურევლად, ის განიცდიდა შიმშილს, ვინაიდან კაცური ზებუნება ჰქონდა, და შეეძლო დაეპურებინა მშვიერი, ვინაიდან ფლობდა ღვთაებრივ ზებუნებას. ამრიგად, ჩვენს დედამიწაზე ხალხთა შორის ვიღოდა განკაცებული ღმერთი და მისმა აქ ყოფნამ ზღვარი წაშალა ზებუნებრივსა და ზებუნებრივს შორის. ბოლოს და ბოლოს ღვთიური ჩანაფიქრი ღმერთის თანაარსი მის ხალხთა შორის მოვლენებისა ის იყო, რომ ხალხს თავისი თვალთ ეხილა მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტი მაგალითი, სასოებით შეეხედა თავისი მომავლისათვის, ეზრუნა საკუთარი სულის ამაღლებისა და სიწმიდისათვის, რაც უცილოდ საჭირო იყო მისი მომავლისათვის და ამრიგად, ერთად ყოფილიყო „ზებუნებრივი“ და „ზებუნებრივი“. ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ღვთაების არსებობა, მისგან გამომდინარე ყოვლისშემძლებლობით, ისეთივე ჭეშმარიტი და ბუნებრივია, როგორც არსებობა მცხუნვარე მზისა, და ურიცხვ ვარსკვლავთა ციმციმი ღვთისაგან შექმნილ უკიდევანო სივრცეში.

პირველ წლებშივე ხალხი იესო ქრისტეში ზედავად ღმერთს და ეჭვი შეჰქონდათ მის ადამიანობაში, ამიტომ ქრისტე მუდმივად უწოდებდა თავის თავს „ძეს კაცისას“, შემდგომ პერიოდში კი ეჭვი შეიტანეს მის ღვთაებრიობაში, მაგრამ იესო ქრისტე არ საჭიროებს რაიმე მტკიცებას თავის ღვთაებრიობისა და ადამიანურობის შესახებ.

მრავალ ღვთივ-შთავონებულ პირთა მიერ ნაწინასწარმეტყველვეი ქრისტე ქვეყნად მოსვლის შემდეგ გახდა ისტორიული ქრისტედ. ისტორიული ქრისტე კი გახდა შემდგომ თაობათა სულიერი ცხოვრების, განცდისა და აღტაცების წყარო. ეს თვალთ ხილული ფაქტია. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხნოთ იმას, რომ ნაწინასწარმეტყველვეი ქრისტე და ისტორიული ქრისტე ერთი და იგივე პირია. ყველა წინასწარმეტყველებანი ქრისტეს აღთქმის წიგნებში“ (ესაია, დავით მეფე, იერემია და სხვები). მაშასადამე, კაცობრიობამ იცოდა, რომ იესო ქრისტე უნდა მოსულიყო და მართლაც ისტორიამ იხილა, რომ მოვიდა იგი, იმოღვაწა, ჯვარს ეცვა და აღსდგა მკვდრეთით. ამრიგად, მთელი სიზუსტით აღსრულდა წმიდა წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილი გამოცხადება სულიწმიდისა, მოწაფენი, რომელნიც იმყოფებოდნენ იესო ქრისტესთან, სწავლობდნენ მისგან, ან ჰქონდათ მასთან რაიმე ურთიერთობის შემთხვევა, ყველა ზედავად მასში რაღაც განსაკუთრებულს, რაღაც ძლიერსა და ზეადამიანურს. მისმა მოწაფემ პეტრემ, მასთან სამი წლის მანძილზე ყოფნის შემდეგ მისით აღტაცებულმა, სახალხოდ წარმოთქვა: „რომელმან იგი ცოდავია არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუაი პირსა მისსა, რომელი იგი

იგინებოდა და არავის აგინებდა, ევნებოდა და არავის უთქუმიდა, მიეტა მართალი იგი მსაჯულსა“ (I პეტრე II 22-23), გამცემი იულა მაინც მიიფანა იესო ქრისტეს ყოვლად სიწმიდემ იმ ზომამდე, რომ თავის მომსყიდველ მღვდელმთავრებს განუცხადა: „ვცოდე, რამეთუ მივეც სისხლი, მართალი“ (მათე 28,4). ისეთმა სისასტიკით ცნობილმა ადამიანმაც კი, როგორც პონტოელი პილატე იყო, მრავალრიცხოვანი ბრბოს წინაშე, რომელნიც მღვდელმთავართა წაქეზებით მოითხოვდნენ იესო ქრისტეს დასჯას, განაცხადა: „არარასა ბრალსა ეპოვებ კაცისა ამის თანა“ (ლუკა 23, 4). ეს დამაჯერებელი ისტორიული წყაროები ხელთ ჰქონდა და აქვს დღესაც კაცობრიობას. ამიტომ შესძრა მილიონობით ადამიანთა გულები ყოველივე იმან, რაც კაცობრიობამ იხილა და რის ხილვასაც არაფრით არ შეიძლება გადაეცემა. მისი ჯვრიდან. გარდამოსნის, დაფლვისა და აღდგომის თანამხილველები, მოციქულნი და მოწაფენი მისნი, გაოცებულნი შეჭურვებდნენ ზეცაში ამაღლებულ იესოს და ზორციელ აღდგომაში დარწმუნებულნი, სასოებით ხვდებოდნენ საკუთარისა და კაცობრიობის მომავლის დღის გათენებას.

ადამიანებს ჰქონდათ რაღაც წარმოდგენა სულიერ უკვდავებაზე. პატრიარქს აბრაამს, მრავალტანჯულ იოხს და სხვებს წამდათ უკვდავება სულისა. მაშასადამე, რამდენადაც სული უკვდავად იყო აღიარებული, აღარ შეიძლება დასმულიყო საკითხი სულის აღდგომის შესახებ. იესო ქრისტემ, როცა გალილეას ტიბერიაში ხალხს ელაპარაკებოდა, უკვე ნახევრად იგაუური ფორმით უხსენა მათ არა სულიერი აღდგომის შესახებ, არამედ ზორციელი აღდგომის შესახებ. „ხოლო რომელი ჰამდეს ზორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღეს“ (იოანე 6, 54). ჩვენი მარადიული მომავლის ეს სასოება მაცხოვარმა თავის თანამედროვეთა დაუდასტურა რამდენიმე მიცვალებულის აღდგინებით, და მთელი მისი მოღვაწეობის მზეზე უბრწყინვალესი გვირგვინი კი იყო აღდგომა თვით იესო ქრისტესი. როდესაც იესო ქრისტე აღდგომის შემდეგ გამოეცხადა თავის მოწაფეებს და უჩვენა მათ ნამსჭვალავი ხელები თავისი, ფეხები და გვერდი, უკვე კაცობრიობის წინაშე იდგა რეალური ფაქტი ზორციელი აღდგომისა, უარყოფელი ამისი, ურწმუნო თომა და სხვა ყველა დაეჭვებული თანამედროვენი მაცხოვრისა, ამის შემდეგ უკვე არ საჭიროებდნენ არავითარ მეცნიერულ დასაბუთებას თუ ახსნას იმისას, რისი მხილველნიც გახდნენ თავად. ნანახით გაოცებულმა მოციქულმა თომამ იესო ქრისტეს კი არ მიმართა, არამედ მარადიულობას შეჰკლადა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“— (იოანე 20, 28). აღიქვა მარადიულობამ ეს ხმა მოციქულისა „უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, — მილიონთა ბაგეები იმეორებენ დღეს ტაძრებსა და მონასტრებში ამ სიტყვებს. „უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, — გაიძახიან მეზღვაურნი და მისი სახელის ხსენებით მოელიან ბოზოქარი ზღვის დამშვიდებას“. უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, — დაიწერა ეს სიტყვები კაცობრიობის ისტორიის ფურცლებზე,

და სამუდამოდ დარჩა ეს ჩანაწერი, როგორც ფაქტი და სასოება ჭეშმარიტების მამიებელ ადამიანთა გულებისა.

„ახალი აღთქმის“ წმიდა ოთხთავი, ოთხი სახარება ოთხი მახარებლისა ძალიან მოკლედ გადმოგვცემენ იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მთელი ეს ისტორიული ფაქტები და ჭეშმარიტებანი დიდი გულწრფელობით, დამაჯერებლობითა და ღვთაებრივი პატიოსნებითაა გადმოცემული. ცხადია, ბევრი რამ იესო ქრისტეს ცხოვრებიდან მათ ვერ აღწერეს, მხოლოდ უმთავრესზე უმთავრესი აღწერეს, აკი თვით ღვთისმეტყველი ამბობს თავის სახარების დასასრულს: „და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნა იესო, რომელნიც თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცადა ვკვონებ, ვითარცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები“ (იოანე 21, 25).

დიდება ჩვენს წმიდა მოციქულსა და მახარებელს იოანე ღვთისმეტყველს, რაც მან და სხვა მახარებლებმა დაგვიწერეს და დაგვიტოვეს, ჩვენ ამითაც ნათლად შევიცანიით „უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი“ იესო ქრისტე.



„ახალი აღთქმის“ წმიდა ოთხთავს მოჰყვება წიგნი „საქმე წმიდათა მოციქულთა“. ამ წიგნშიც ისტორიის მიერ რეგისტრირებული ფაქტებია აღწერილი. აქ მოთხრობილია ამაღლება ჩვენი უფლისა იესო ქრისტესი. სული წმიდის გარდმოსვლა მოციქულებზე, მათი ამეტყველება მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენებზე: „და აღივსენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“ (საქმენი 2, 4).

სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ წმიდა მოციქულებმა დაიწყეს სახარების ქადაგება, როგორც იუდეაში ისრაელთა შორის, აგრეთვე სხვა ქვეყნებში წარმართთა შორის, სულიწმიდის ძალით ისინი ახდენდნენ სასწაულებს, ჰკურნავდნენ სნეულებსა და დავრდომილებს და სხვ.

მოციქულების დროიდანვე, მათი უშუალო მოღვაწეობით შეიქმნა პირველი ქრისტიანული ეკლესიები და მიუხედავად სასტიკი დევნისა, გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა რიცხვი მორწმუნე ქრისტიანებისა. მოციქულები არ ერიდებოდნენ არავითარ დაბრკოლებას თავიანთი მოღვაწეობის გზაზე და ყველაფერ შესაძლებელს აკეთებდნენ ხალხის მოსაქცევად იმ ღმერთისაკენ, რომლის მხილველნიც ისინი იყვნენ და რომლის მოწაფეობითაც მათ მიიღეს ძალი სულიწმიდისა.

ყველა მოციქულთა სიტოცხლე, გარდა იოანე ღვთისმეტყველისა, დასრულდა მოწამებრივი სიკვდილით. ანდრია პირველწოდებული, რომელმაც პირველმა იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში, სვიმონ კანანელთან ერთად, სამ დღეს იყო ჯვარზე გაკრული და ასე განუტევა თავისი წმიდა სული. მოციქული პეტრე არ დათანხმდა, იესო ქრისტესავით გაეკრათ იგი ჯვარზე; მე არა

ვარ ღირსი ისეთი ჯვარცმისა, როგორც მაცხოვარმა განიცადა: — განაცხადა მან სიკვდილის წინ და მისი სურვილისამებრ, თავდაღმა გააკრეს იგი ჯვარზე ქალაქ რომში. მოციქულ პავლეს იმავე დღეს, იმავე ქალაქში თავი მოჰკვეთეს.

ადრე მოციქული პავლე არ ყოფილა იესო ქრისტეს მოწაფე და თანამოსაქმე მისი. ის, პირიქით, მრისხანე მტერი იყო ქრისტიანობისა და ქრისტიანებისა. მისი მოქცევა მოხდა 37 წელს. ე. ი. იმ დროს, როდესაც მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, უკვე სუფევდა მამას მარჯვენა გვერდით და მის მოძღვრებას ხალხში ქადაგებდნენ მისი წმიდა მოციქულები და სხვა წმიდა მამები. „საქმე წმიდათა მოციქულთა“ პავლეს (ადრე სავლელ წოდებულს) შესახებ გვამცნობს: „ხოლო სავლე ფრიად მკენებელი იყო ეკლესიათა მიმართ. სახლებსა შევიდოდა და ითრევედა მამებსა და დედებსა და მისცემდა საპრობილად“. (საქმენი 8, 3). და აი, ეს სავლე მივიდა იუდეველთა მღვდელმთავარ-ანანიასთან და აიღო მისგან წერილობითი ნებართვა, რომ წასულიყო სირიაში (დამასკოში) და იქ მყოფი ქრისტიანები შეპყრობილი მოეყვანა. წაიყვანა ჭაბუკმა სავლემ თანმზღლები მხედრები და წაიყვანა დამასკოში, იქ მყოფი ქრისტიანების შესაპყრობად. ღამით, გზაში მოულოდნელად მადლიდან მათ წინაშე დაეშვა მოკაშკაშე ნათელი, რომლის ელვარებასაც დააბრძავა სავლე. ის დაეცა მიწაზე ასეთი მოულოდნელობისაგან გაოგნებული და მოესმა ხმა: „საულ! საულ! რაისა მდევნი მე? მან მიუგო და ჰრქუა: შენ ვინ ხარ, უფალ? ჰრქუა მას: მე ვარ იესო, რომელსაც შენ მდევნი“ (საქმენი 9, 4-5). როცა სავლე შეეკითხა, თუ რას მოითხოვს უფალი მისგან, მაცხოვარმა უპასუხა: „ადღებ და შევედ ქალაქად, და მუნ ვეთხრას შენ, რაი იგი ღირდეს შენდა საქმედ“ (საქ. მოც. 9, 6). მხედველობა-დაკარგული სავლე შეიყვანეს დამასკოში, სადაც ის ანგელოზის გამოცხადების შემდეგ მიიღო იესო ქრისტეს მოწაფეობა. ანანია მ ზეგარდმო მადლით დაუბრუნა მას ნათელი და სავლემ მაშინვე მიიღო ნათლობა. შემთხვევითი არ იყო, რომ მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ თავის მტერთაგან გამოირჩია სახარების მქადაგებლად სავლე, მოციქულობის მიღების შემდეგ პავლედ წოდებული. პავლე იყო დიდი გონებრივი ენერგიის მფლობელი პიროვნება, ეს ის პავლეა, რომელსაც მიწერ-მოწერა და ახლო მეგობრობა ჰქონდა ფილოსოფოს სენეკასთან და რომის იმპერიის სხვა ცნობილ სწავლულებთან. წიგნში „საქმე წმიდათა მოციქულთა“ ფართოდაა გაშუქებული პავლეს ცხოვრება და მოღვაწეობა ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ჩვენთვის წმიდა მოციქული პავლე საინტერესოა არა მარტო მისი მოღვაწეობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მისი სასწაულებრივი მოქცევა ქრისტიანობის მოსისხლე მტრიდან მის თავდადებულ ქომალად და გამავრცელებლად თვალხილული დამაჯერებელი წყარო იყო იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც მაღალმა ღმერთმა კაცობრიობას მომადლა თავისი ძის განკაცებულად მოვლინებით. მოციქულ პავლეს პირადი თავგადასავალი და მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობა, აგრეთვე ისტორიის მიერ, მარადიული ასოებით აღნუსხული მოვლენები და ამ მოვლენებში კა-

ცობრიობას საქმე აქვს ისეთ ჭეშმარიტებასთან, როგორც არის იესო ქრისტეს კვლავ გამოცხადება მისი ამდლების შემდეგ.

„საქმე წმიდათა მოციქულთა“-ს შემდეგ უაღრესად საინტერესოა წმიდა მოციქულთა ეპისტოლენი. ამ ეპისტოლეებში განმარტებულია მთელი სიბრძნე და სიკეთე „ახალი აღთქმისა“ — იესო ქრისტეს მოძღვრება. ამ ეპისტოლეებით განმარტებულია ადამიანთა ცხოვრებისეული საკითხები პრაქტიკულ რეალობამდე. არაა ცხოვრების არცერთი საკითხი, რომელთაც ეს ეპისტოლენი არ ეხებოდნენ, და რადა ღირს თუნდაც მოციქულ პეტრეს განმარტება ცოლქმრული დამოკიდებულების შესახებ: „ეგრეთვე ცოლნი დამოორჩილენით თვისთა ქმართა და ქმარნი ეგრეთვე თანამკვიდრ ეყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკვიდრთა მადლისა ცხოვრებისაითა“ (I პეტრე 3, 1, 7). ოჯახში, სადაც ცოლქმარს შორის ასეთი დამოკიდებულება იქნება, გვჯერა, რომ არასოდეს უთანხმოება არ ჩამოვარდება. „სტუმრის-მოყუარე იყვენით ურთიერთის, თვინიერ დრტვივისა“ (პეტრე 4, 9), — გვასწავლის წმიდა მოციქული. სტუმრის სიყვარული კაცთმოყვარეობის ნაწილია, მაგრამ ამას არ უნდა მოჰყვესო შფოთი და დრტვივნა, — გვაფრთხილებს იგი. ღვთიური მადლით განსჯის ცოლქმრულ კავშირს წმიდა მოციქული პავლეც. მოუხმინოთ მას: „ცოლსა ქმარი იგი თანანადებსა პატივსა მისცემდინ, ეგრეთვე ცოლი — ქმარსა, ცოლი თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ არს, არამედ ქმარი, ეგრეთცა ქმარცა თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ არს, არამედ ცოლი“ (I კორ. 7, 3-4), „ხოლო არცა მამაკაცი თვინიერ დედასკისა, არც დედაკაცი თვინიერ მამაკაცისა, უფლისა მიერ, რამეთუ ვითარცა იგი დედაკაცი ქმრისაგან არს, ეგრეცა ქმარი ცოლისაგან, ხოლო ყოველივე ღმერთისაგან არს“. (I კორინ. II, 11-12). ამ განმარტებაზე უკეთესი განმარტება ქალის ღირსებისა პატივისცემისა და მისი თავისუფლების შესახებ არ შეიძლება არსებობდეს. პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეს მეცამეტე თავი მთლიანადაა მიძღვნილი სიყვარულის საკითხისადმი. ეს საკითხი დიდებულ მოციქულს ღვთაებრივ ბრწყინვალეობამდე აყვავს და ამბობს, თუ ვინღ წინასწარმეტყველი ვიყო, ვიცოდე თუ ვინდა ყოველი საიდუმლო და ყველა მეცნიერება და სარწმუნოება, რომლითაც მთასაც კი შევაცვლევინებ ადგილს, თუ ჩემში არ არის სიყვარული, არარა ვარ მე თავად, თუ ვინღ შევაჭამო მთელი ჩემი ქონება სხვას, და მივსცე ჩემი ხორცი დასაწველად, მაგრამ თუ არ არის სიყვარული ჩემში, არაფერი სარგებელი იქნებაო ჩემგან. შემდეგ მოციქული სიყვარულის უმანკობას ახასიათებს ამგვარად: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკილ, სიყვარულსა არა ჰშურს, სიყვარული არა მადლიონ, არა განლიდნის, არა სარცხვენელ იქმნის, არა ეძიებს თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარის სიცრუესა ზედა, არამედ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ,

ყოველსა მოითმენენ, სიყვარული არსადა დავარდების, გინა თუ წინასწარმეტყველებანი განქარდნენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენენ, გინა თუ მეცნიერებანი განქარდნენ“ (1 კორინ. 13, 4-8). ასეთ სიყვარულს ქადაგებს ქრისტეს მიერ გამოჩენილი მოციქული და ვინც შეძლებს თავისი სიცოცხლე დაუმორჩილოს ასეთ სიყვარულს, ის ჭეშმარიტი წმიდანი იქნება. მოციქულთა ეპისტოლეების სიბრძნე იმდენად ღრმა და უშრეტია, რომ ჩვენ ამ მიმოხილვით მის ამოწურვას ვერ შევძლებთ, ამიტომ აქ წერტილს დავსვამთ და გადავალთ „იოანეს გამოცხადებაზე“.

იოანე იყო უსაყვარლესი მოწაფე და მოციქულთა მაცხოვარისა, მისი ჯვარცმისა და ზეცად ამაღლების შემდეგ, იოანე ღვთისმეტყველი სხვა მოციქულებთან ერთად ქადაგებდა სახარებას ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში. დომიციანეს მეფობის დროს ის გადაასახლეს ზმელთაშუა ზღვის კუნძულ პატმოსზე. უფალმა ხსენებულ კუნძულზე მას მოუვლინა მთელი რიგი საიდუმლო გამოცხადებანი, უფალმა უბრძანა დაეწერა წიგნი ამ ჩვენებებზე და გაეგზავნა ასიის შვიდი ეკლესიისათვის ქრისტიანთა დასაიმედებლად და სახელმძღვანელოდ. იოანემ დაწერა ეს წიგნი, რომელსაც ეწოდებოდა „აპოკალიპსი“, ე. ი. „გამოცხადება“, იგი ეხება ეკლესიისა და სამყაროს მომავალსა და დასასრულს, რომლის შემდეგაც ადამიანთა უკვდავება მარადიულად რჩება ღვთის ნებითა და ძლიერებით გარდაქმნილ სამყაროში. „ახალი აღთქმის“ — ეს წიგნი საიდუმლოებათა უძირო ზღვაა.

მის შესწავლაზე მომავალი თაობები გააგრძელებენ მუშაობას.

ბიბლია — ეს არის ცხოვრების წიგნი, რომელსაც კითხულობენ ხალხები, რასები და ტომები. მან გადალაზა ნაციონალური საზღვრები და თანასწორი სიძლიერით მივიდა ყველა ხალხებთან, ბიბლიას კითხულობენ ყველანი: პროფესორები და სტუდენტები, მეცნიერები და პოეტები, დიასახლისები და დავრდომილნი. სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ყველაფერი მომარაბს, იშლება, იცვლება, ბიბლიის შესახებ კი ითქვა: „... და ქვეყანა, წავა, მაგრამ ეს სიტყვები არ წავაო“. ბიბლია უცვლელია, ის მუდამ დარჩება, თვით საუკუნეთა დამთავრების შემდეგაც კი, „დასაბამი სიტყვათა მათ შინთა ჭეშმარიტება არის და უკუნისამდე ყოველნი განკითხვანი სიმართლისა შენისანი“ (დავითნი: 118, 16).

ბიბლია განსაკუთრებული წიგნია ყოველმხრივად. არც ერთი წიგნი მსოფლიო ლიტერატურისა არ წარმოადგენს სამყაროს შესახებ ისეთ სრულსა და ამავე დროს ისეთ აზლობელს, როგორც ბიბლია; ისეთ სამართლიანს და განუზომელი სიყვარულის მფლობელს, მოწყალესა და მიმტყვებელს. არც ერთ სხვა წიგნში, გარდა ბიბლიისა, ადამიანი ასე სრულყოფილად არ არის აღწერილი, ადამიანი თავისი ყველა დამახასიათებელი თვისებებით: დიდებითა და არარაობით, ვაჟკაცური შემართებითა და მონური სიმზდალით, სიუხვითა და სიხარბით, სიკეთითა და ბოროტებით, სიბრძნითა და უგუნურებით.



საეკლესიო ცხოვრება

ინტრონიზაციის სამი წლისთავი

სიტყვა წარმოთქმული
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
ილია მეორის ინტრონიზაციის
სამი წლის თავზე, მუთათელ-
განათელი მიტროპოლიტის
ვიოს მიერ, თბილისის სიონის
საპატრიარქო ტაძარში,
1980 წლის 25. დეკემბერს.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! დიდი კმაყოფილებით ვასრულებ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის დავალებას და მოგმართავთ ამ მოკლე სიტყვით:

უკვე სამი წელი გვაშორებს იმ ღირსშესანიშნავ 25 დეკემბერს თარიღს, როდესაც მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, ღვთის განგებამ, კათოლიკოს-პატრიარქის გვირგვინი დაადგა თავის რჩეულს თავზე.

მე ვულოცავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და ქართველ მორწმუნე ხალხს, ღვთისაგან კურთხეულ ამ ახალ დასაწყისს ჩვენი სულიერი აღმავლობისას.

ცნობილი ამბავია, რომ ადვილი როდია სულიერი ცხოვრების, აღმავლობის გზაზე დაუენება... როგორც ნათელი დღისა ისე იხედება მორწმუნე გონებისათვის, რომ ღვთის მალაღი განგება დიდი ხნის წინაღ გამზადებდათ თქვენ, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მისხსვლელად, იმ დიდი ნათლის წიაღში, რაც ღვთისაგან რჩეულთა ხედრია მხოლოდ.

ხშირად გვეკითხებიან ხოლმე, რომ პატრიარქის გვირგვინი ოქროსიაო თუ არა?! ჰოი, აღამიანურო სიმდაბლევ თუ ცნობისმოყვარეობავ!.. პატრიარქის გვირგვინი არც ოქროსია და არც ბრილიანტებით შემკული რაღაც... პატრიარქის გვირგვინი ღვთის მადლია ნათლით მოხილი... პატრიარქის გვირგვინს ფასი არა აქვს, იგი არ იყიდება და არც ბრძოლით მოიპოვება... პატრიარქის გვირგვინი არ იწონება და არც იწომება, არც მხატვარია მისთვის ვინმე, არც ხელოვანი გამომჭედელი თვალით ხილული... მას სჭედავს მხოლოდ უხილავი ღმერთის მარჯვენა... და მოგილოცავთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, რომ თქვენი დიდი მოღვაწეობით დაიმსახურეთ ასეთი ხელთუქმნიელი წმიდა გვირგვინი.

ყოველი დღე ჩვენი საეკლესიო შრომისა გვარწმუნებს იმაში, რომ ქართველ მორწმუნე ხალხს ღმერთთან სწუურია სიახლოვე, ქრისტე უყვარს და ქრისტიანობა... მაშასადამე არა ცოდვებით დაღუბვა, არამედ მარადიულობა და უკვდავება სწუურია ჩვენს ხელს... ჩვენი ლოცვა, ჩვენი მადლობა და თაყვანისცემა მაღალ ღმერთს იმისათვის, რომ თქვენი სახით მოგვივლინა დიდი მოძღვარი მარადიულობისა და უკვდავების გზის მასწავლებლად. ხომ ცნობილია, რომ მორწმუნე ერის სიყვარულსა და პატივისცემას ოქრო-ვერცხლით ვერ შეისყიდო, ვერც ბრძოლითა და ძაღლობით მოიპოვებ... ხალხმა რომ გული გაგხსნას და შეგიყვაროს, ამისათვის ღვთისაგან რჩეული უნდა

იყო და მადლით მოხილი. ღმერთა უნდა უძლოდეს წინ საქმეებს შენსას და მისი ტკბილი სიყვარული გზას გინათებდეს... ჩვენ გილოცავთ თქვენო უწმიდესობავ, რომ მალაღი ღმერთმა მოგანიჭათ ეს დიდი ჭილღო, და ასე უანგაროდ უყვარხართ გულით კეთილ და პატიოსნებით სავსე მორწმუნე ქართველ ხალხს.

ქრისტიანთათვის რა უნდა იყოს და სად უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რისი მოწმენიც ჩვენ გახლავართ ამ დიდ ტაძარში. ანგელოზის დღეს — ორშაბათობით, საქართველოს ანგელოზები — ჩვენი შვილები და შვილიშვილები, იკრიბებიან ხოლმე ამ ტაძარში და იესო ქრისტე ლოცავს ჩვენს შვილებს და ცამდე ასულნი აღტაცებით, ვუყურებთ ხოლმე, თუ როგორ უპყრიათ ჩვენს მომავლებს სახარება წმიდა ხელებზე, და მალღობა სული ზეცისაკენ ჩვენი ერისა... გილოცავთ თქვენ, ჩვენო მამავ და მასწავლებლო, მთელ ამ სიკეთეს და ვულოცავთ ჩვენს მრევლსა და სამშობლოს ჩვენსას, რომ ჩვენი მომავალი უწმიდეს ხელებს უპყრიათ უკვე სახარების საღალადებლად. ზოგჯერ, დაჩოქება უმძიმს ხოლმე ახალგაზრდასაც, ჩემს მოხუც გულს კი უყვარს იგი და ემსუბუქება... მე მაჩოქებს ხოლმე ხშირად, ხშირად ამ ამბიონზე ღვთის სიყვარული, აღტაცება და თაყვანისცემა... და ვიჩოქებ ახლაც იმ გულითა და იმ სიხარულით, როგორათაც აქ დგანან ფრთებგაშლილი ჩვენი ბავშვები, ორშაბათობით — ანგელოზის დღეს.

პარდინალ ფრანც კიონიგის ვიზიტი თბილისში

26-29 სექტემბერს, თბილისში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანის აღმოსავლური დაწესებულებების სამეურვეო საბჭოს დელეგაცია ვენიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ავსტრიის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტი, ქალაქ ვენისა და სამეფო სასახლის მთავარეპისკოპოსი, კარდინალი ფრანც კიონიგი. დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ: საბჭოს პრეზიდენტი თეოდოს პიფი და გენერალური მდივანი ალფრედ შტირნემანი. აგრეთვე, ავსტრიის სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში, ბატონი ჰერალდ ჰინტერეგერი.

ვინაიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II იმყოფებოდა ალავერდობის დღესასწაულზე ქ. თელავში, საპატიო სტუმართან შეხვედრა დაევალა ურბნელ მთავარეპისკოპოსს და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსს კონსტანტინეს (მელიქიძეს). მას თან ახლდნენ, სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე და საქართველოს ეკლესიის მემკვიდრე და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი მიხეილ თარხნიშვილი. შეხვედრა შედგა საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში. გაცნობის შემდგომ, მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ და კარდინალმა ფრანც კიონიგემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე:

„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობა! ჩვენ დიდად მოხარული ვართ და ქრისტესმიერი სიყვარულით მოგესალმებით რომის უძველესი ეკლესიის წარმომადგენლებს ქართულ მიწაზე. რომისა და საქართველოს ეკლესიები ერთ-ერთი უძველესი ეკლესიებია მთელს მსოფლიოში. მათ ურთიერთობას ასევე მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, მაგრამ ისტორიის უკუღმართობამ შეანელა ეს თანამშრომლობა. უფრო მეტიც, პირველ საუკუნეებში ისინი ერთ მთლიან ეკლესიას შეადგენდნენ, რომელთა დაპაარსებლები იყვნენ წმიდა მოციქულები, ძმები ბეტრე და ანდრია.

ქრისტიანობა ეს არის სანთელი, რომელიც უფლის-მიერ სინათლეს ფენს მთელს კაცობრიობას, სამწუხაროა, რომ შემდგომ საუკუნეებში ქრისტიანობაში თავი იჩინა მრავალმა მიმდინარეობებმა, რომლებმაც თავის მხრივ არათუ გააძლიერეს, პირიქით, დააქუცმაცეს და დაასუსტეს ქრისტეს ერთიანი ეკლესია.

1 ქრისტიანული ეკლესიების მესვეურებმა ბევრი უნდა გააკეთონ მათი შეერთებისათვის. ეს დიალოგი უკვე დაწყებულია, და სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ამ დღი ქრიატიანული საქმის წამომწყები გახლავთ რომის პაპი იოანე-პავლე II. მართალია, ამჟამად მსოფლიოში მრავალი ქრიატიანული მიმდინარეობები არსებობენ, მაგრამ უპირატესობა მაინც მართმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს ენიჭება. ამიტომაც, ჩვენი ეკლესიები უნდა იყვნენ ამ საქმის წამომწყები. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიას, რომელსაც წინამძღვრობს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ყოველ ღონეს იხმარს ეკუმენური მოძრაობის ქმედითად წარმართვისათვის. ჩვენ გვწამს და გვჯერა ქრისტიანობის ნათელი მომავლისა. ქრისტიანობა საბოლოოდ იხეიმებს თავის სრულ გამარჯვებას ჩვენს პლანეტაზე. ასეთია წმიდა წერილთა წინასწარმეტყველებანი.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ვენის მთავარეპისკოპოსო, ბატონო კიონიგ, ერთხელ კიდევ მოგესალმებით და გისურვებთ ბედნიერ სტუმრობას ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს სტუმართმოყვარე მიწა-წყალზე“.

შემდგომ, საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა კარდინალმა ფრანც კიონიგმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე გადასაცემად.

„თქვენო უწმიდესობა!“

ეს ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა ვენის არქი-ეპისკოპოსი საქართველოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეწვია. დიდის მოწიწებით წმიდა ნინოს ღირსად პატივსაცემი ეკლესიისადმი და ძმური სიყვარულის გრძნობით თქვენადმი. მე მოგესალმებით თქვენ, ქართული ეკლესიის მეთაურს, მცხეთა-თბილისის არქი-ეპისკოპოსს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. მთელი ჩვენი დელეგაციის სახელით მსურს მადლობა გითხრათ თქვენო უწმიდესობა, იმ დიდი პატივისცემისათვის, რომელიც თქვენ აღმოგვიჩინეთ, როცა ეკუმენური მოძრაობის აღმოსავლური დაწესებულების სამეურვეო საბჭოს დელეგაცია თქვენს რეზიდენციაში მიიღეთ. ნება მომეცით ძმური სალაპი გითხრათ ვენის ეკლესიის სახელით, და როგორც ავსტრიის ეპისკოპოს-

თა კონფერენციის პრეზიდენტმა გულითადი სურვილები გადმოგვცეთ ყველა ავსტრიელი ეპისკოპოსისაგან.

ორივე ჩვენი ეკლესია, რომლებიც ერთმანეთის მსგავს სამოციქულო მოღვაწეობას ეწევიან და ერთმანეთის მსგავსადვე არიგებენ საიღუმლოთ წმიდა ზიარებას, რომლებიც ერთნაირად შესწირავენ მსხვერპლს ჯვარცმული და მკვლრებით აღმდგარი უფლისათვის ღმერთსა ჩვენსა — მამასა ყოველთასა, ორივე ეს ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთისათვის უცხო ცხოვრებით ცხოვრობდა. ხშირად კი უნდობლობა და ურთიერთუარყოფაც კი ჰბურავდა იმ სიყვარულს, რომელიც უფალმა ჩვენმა დაგვიტოვა ანდერძად, როგორც ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ყველანი ერთგული მოწაფენი და მიმდევარნი ვიყოთ მისი. გარნა ღვთიური სიყვარული დიდია უფრო, ვიდრე უძლეურება ჩვენი. და ეს მისი წყალობაა სწორედ, რომ დღეს ისევე გრძელდება ჩვენს შორის მტკიცე ურთიერთობა, ხოლო ის კავშირი სიყვარულისა, რომლებიც აქამდე გაწვეტილი იყო, დღეს ისევე შეიკრა. სწორედ მან გახადა შესაძლებელი ის, რომ მოქიშპებად კი არ ხედებიან დღეს ერთმანეთს ჩვენი ეკლესიები, არამედ როგორც ძმები.

თქვენი ეკლესიის დასწრება ვატიკანის მეორე საეკლესიო ყრილობაზე, ორმხრივი ვიზიტები რომის პაპისა და თქვენი უწმიდესობის წარმომადგენლებისა თბილისსა და რომში, აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართული ეკლესიის ეკუმენურმა იდეებმა და საქმიანობამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რაც გამოიხატა თქვენი ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად არჩევით — ყოველივე ეს მჭევრმეტყველურად ადასტურებს ზემოთქმულს.

იგივე სული ამოდრავებდა კათოლიკურ ეკლესიასაც პაპების იოანე XXIII და პავლე VI დროს. იგი იყო მისი იარაღი ღვთიური განგებულების აღსრულებაში — ეკუმენური მიზნების მისაღწევად. იგივე სული იყო, რომელმაც განაპირობა 1964 წელს ვენის არქიეპისკოპოსის მიერ დასავლეთის კათოლიკური ეკლესიისა და აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შერიგების წინადადების წამოყენება, და იმავე წელს, საეკლესიო და თეოლოგიურ ურთიერთობათა ამ კურთხეულ ხანაში, ვატიკანის მეორე საეკლესიო ყრილობის მიერ დაწესებულება „პრო ორიენტის“ დაარსება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვენის ტერიტორიული მდებარეობა, მისი ახლომეზობლობა აღმოსავლეთთან, მისი ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობა აღმოსავლეთის ხალხებთან, განსაკუთრებული მდგომარეობა ვენის ეკლესიისა, როგორც ადგილობრივი ლოკალური ეკლესიისა, ისევე როგორც მუდმივი ნეიტრალიტეტი ჩვენი სახელმწიფოსი და მისი მეგობრული დამოკიდებულება ყველა იმ ხალხთან, სადაც მართლმადიდებელი ეკლესიაა გაბატონებული — ყოველივე ეს შეადგენდა იმ მთავარ ფაქტორს, რამაც ვენა ეკუმენური მოძრაობის ინციატორად აქცია.

მთელი ჩვენი შრომა და საქმიანობა იქითკენაა მიმართული, რომ უპირველეს ყოვლისა, განუშორებლად ჩვენს საკუთარ მრევლს, დასავლეთის ქრისტიანებს, სული მართლმადიდებლობისა, რათა მისი გავებით ჩვენს შენაძენადაც ვაქციოთ ქრისტიანული აღმოსავლეთის მდიდარი ტრადიციები.

მოსწენებათა და ქადაგებათა მთელი რიგის საშუალებით ცალკეულ ჩვენს ეპარქიებსა და მრევლში ჩვენ შეეცადეთ უკვე ამის მიღწევას.

სხვა მხრივ ჩვენ აქტიურ საქმიანობას წარმოადგენდა თეოლოგთა ისეთი დიდი კონგრესის ჩატარება, როგორც იყო საკონსულტაციო შეხვედრები არაქალკედონური ორთოდოქსის თეოლოგებთან, აგრეთვე ეკლესიოლოგთა დიდი კოლოკიუმი, რომელმაც ვენაში, 1974 წლის 1-დან 7 აპრილამდე პირველად მოუყარა თავი ერთად (რაც რა თქმა უნდა, არაოფიციალური გაერთიანება იყო მათი) მართლმადიდებელ და კათოლიკე თეოლოგებს.

ამით მყარი საფუძველი ჩაეყარა შესაძლებლობას იმისას, რომ ოფიციალური დიალოგი დაწყებულიყო მათ შორის, რაც სინამდვილედ იქცა კიდევ იმავე წლის მაისისა და ივნისის შეხვედრებში პატმოსსა და როდოსზე. სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად მათში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც მონაწილეობდა.

„პრო ორიენტმა“ იმჟამად თავს ნება მისცა ამ კოლოკიუმის შედეგები, უწმიდესი პატრიარქის დავით V გადმოგვზავნა 1974 წლის 3 მაისს.

ჩემთვისაც სასიამოვნო მოვალეობას შეადგენს, თქვენო უწმიდესობავე, ამჟამინდელი თათბირის შედეგებიც გადმოგვცეთ. თავს ნებას ვაძლევ აგრეთვე, გადმოგვცეთ „პრო ორიენტის“ ყველა ადრინდელი დოკუმენტიც.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ სამი დღის განმავლობაში, რომლებიც თბილისში, საქართველოში უნდა გავატაროთ, შესაძლებლობა გვექნება უფრო კარგად გავიცნოთ სიცოცხლით აღსავსე თანამედროვეობაცა და სახელოვანი წარსულიც ქართველი ხალხისა და მისი ეკლესიისა. ეს საიცარიე ქვეყანა, რომელსაც ძველთაგანვე აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული თავისებური ქრისტიანობა, ფართოდაა ცნობილი თავის საზღვრებს გარეთაც მდიდარი სამონასტრო ცხოვრებით, მრავალი მაგალითით თავისი წმიდანებისა, თავისი სასულიერო და საერო ლიტერატურითა თუ არქიტექტურით.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, თქვენო უწმიდესობავე, გადმოგვცეთ ეს სიმბოლური საჩუქარი. ეს არის თასი, რომელიც გამოხატავს საერთო მისწრაფებასა და სურვილს დასავლეთელი და აღმოსავლეთელი ქრისტიანებისა, რამეთუ სასუმელია იგი, რომელიც უნდა შეისვას. იქნება კვლავაც გვიწერია ჩვენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანებს, განვიცადოთ ის, რომ დაფლეთილი პერანგი და ჭრილობა უფლისა ჩვენ სხეულზე კვლავაც გამართლდეს და ერთგულნი ქრისტეს მცნებისა ისევე ერთად და თანხმობით ვიყვნეთ“.

შეხვედრის დასასრულს, მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ და კარდინალმა ფრანც კიონიგმა საჩუქრები გადასცეს ერთმანეთს.

27 სექტემბერს, ავსტრიელი სტუმრები ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

28 სექტემბერს, კარდინალი ფრანც კიონიგი და მისი თანმხლები პირნი სიონის საპატრიარქო ტაძარში და-

ესწრნენ საღამოს ლოცვას. ღვთისმსახურების აღსრულების შემდგომ, კარდინალმა ფრანც კიონიგმა და მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ ამბიონიდან ქრისტესმიერი სიყვარულით აღსავსე მოკლე სიტყვებით მიმარ-

თეს ერთმანეთს, რამაც სტუმარ-მასპინძელთა და დამსწრე მრევლის ერთიანი კმაყოფილება გამოიწვია.

29 სექტემბერს კარდინალი ფრანც კიონიგი და მისი თანმხლები პირნი მოსკოვს გაფრინდნენ.

ემროკის ეკლესიათა კონფერენციის ბენერალური მდივნის, დოქტორ ბლენ ვილიამსის ვიზიტი საქართველოში

15-დან 18 სექტემბრამდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივანი, დოქტორი გლენ ვილიამსი.

16 სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში, საპატიო სტუმარმა დაათვალიერა სიონის, ქვაშეთის, დიდუბის, მამადავითის, ალ. ნეველის სახელობის და კათოლიკური ტაძრები. იყო აგრეთვე ბაპტისტთა სამლოცველოში და ესაუბრა ქართველ ბაპტისტთა ხუცესს გიორგი ბოლ-ლაშვილს.

იმავე დღეს, დოქტორი გლენ ვილიამსი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. საუბრის ძირითადი თემა იყო ეკუმენური მოძრაობა, ეკლესიათა ურთიერთკავშირი და საბოლოო ჯამში მსოფლიო ეკლესიათა ერთ ეკლესიად გაერთიანება.

საუბარს ესწრებოდნენ მიტროპოლიტი ზინობი, მიტროპოლიტი გიორგი, მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ეპისკოპოსები კონსტანტინე და დავითი.

დღის მეორე ნახევარში დოქტორი გლენ ვილიამსი მიიღო სსრკ მინისტრთა საბჭოს, რელიგიის საქმეთა ცენტრალური საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს რესპუბლიკაში გივი მაისურაძემ.

17 სექტემბერს, დოქტორი გლენ ვილიამსი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს სვეტიცხოვლის ტაძარი და ჯვრის მო-

ნასტერი, რამაც სტუმარზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იმავე საღამოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მაღალი სტუმრის პატივსაცემად რესტორან „არაგვი“ მოაწყო საზეიმო ვახშამი.

ვახშამზე სიტყვები წარმოსთქვეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და ევროპის ეკლესიათა საბჭოს გენერალურმა მდივანმა, დოქტორმა გლენ ვილიამსმა. საპატიო სტუმარს სიტყვებით მიმართეს: მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, საქართველოს სსრ მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა და ამიერკავკასიის ბაპტისტთა საზოგადოების პრესვიტერმა კვირიკაშვილმა.

ვახშამს ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები; რუსული, სომხური, კათოლიკური და ბაპტისტთა ეკლესიების მღვდელმსახურნი, აგრეთვე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელნი. ვახშამს ესწრებოდა რელიგიის საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში გივი მაისურაძე.

18 სექტემბერს ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივანი, დოქტორი გლენ ვილიამსი მეუღლითურთ აეროპორტიდან გააცილეს: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა, საპატრიარქოს საგარეო განყოფილების უფროსმა ნიკოლოზმა (მახარაძემ), დეკანოზმა ელვჯუჯა ლოსაბერიძემ და საქართველოს ეკლესიის მემკვიდრე მინიხილ თარხნიშვილმა, აგრეთვე ამიერკავკასიის ბაპტისტთა საზოგადოების პრესვიტერმა კვირიკაშვილმა.

ათონის ივერიის მონასტრის 1000 წელი

მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოს I ლოცვა-კურთხევით და წმ. ათონის მთის ივერიის მონასტრის ძმთა საბჭოს მიწვევით, ა. წ. 25 აგვისტოდან — 5 სექტემბრამდე ივერიის მონასტრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღვთისმსახურებულ მონაწილეობის მიზანსა და წმ. ათონის მთაზე სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ (მახარაძე — დელეგაციის ხელმძღვანე-

ლი); ბოლბეღის ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი) და დიაკონი ზურაბ სირაძე.

25 აგვისტოს დელეგაცია ათონზე გავლით ქალაქ თესლონიკში ჩავიდა. აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ, თესლონიკის მიტროპოლიტის წარმომადგენლები და ივერიის მონასტრის ბერი ანთიმოზი. ღამე დელეგაციამ წმ. სამების მონასტერში გაატარა.

26 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია საპორტო ქალაქ ორეანოპოლისში ჩავიდა, საიდანაც გე-

მით ათონის მთის პატარა ნავსადგურ დაფინსავენ გაემგზავრა. ნავსადგურში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს დახვდათ ათონის მთის გუბერნატორის ბატონ დიმიტრიოს ცამისის ავტომანქანა, რომელმაც ივერიის მონასტრისაკენ წაიყვანა.

ივერიის მონასტერი ზემოთ შეხვდა საქართველოს ეკლესიის წარგზავნილებს. დელეგაციის წევრები პირველად ემოხვივნენ კარის ღვთისმშობლის ხატს, შემდგომ კი ღვთისმშობლის ტაძარში შევიდნენ, რომელიც აგებულია გიორგი მთაწმიდელის მიერ. ტაძრის შუაგულში წარწერაა: „მე გიორგიმ დავდგი ოთხი სვეტი ესე და მას ვერ მოერევა ვერაიეთარი ძალა“.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნებს წაუშლიათ ყოველგვარი კვალი ქართველ ბერთა მოღვაწეობისა და არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ ივერიის მონასტერი აგებულია ქართველ მოღვაწეთა მიერ.

დღესასწაულის დღეებში ივერიის მონასტერს ესტუმრა მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელი, წმ. ათონის მთის ეპარქიის მეთაური, მიტროპოლიტი ეზეკიელი.

27 აგვისტოს მწუხრის ლოცვის დამთავრების შემდეგ, კარის ღვთისმშობელი პორტაიტისი გადმობრძანებული იქნა დიდ ტაძარში. იმავე საღამოს ლოცვას დაესწრნენ ათენიდან სპეციალურად ჩამოსული, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩრდილოეთ საბერძნეთის მინისტრი, რელიგიის მინისტრი და ათონის მთის გუბერნატორი დიმიტრიოს ცამისი. ღვთისმსახურებისას მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მიტროპოლიტმა ეზეკიელმა. საპასუხო სიტყვაში ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა წაიკითხა უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის მისალმება ივერიის მონასტრის მამებისადმი და გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საჩუქარი: ჭედური ჯვარი და ხატი წარწერით: „ღვთისმშობლის წილხვედრს – ჩვენ საქართველოს, აწ და მარადის ქრისტეს გზით ევლოს“, ეს სიწმიდენი წირვის შემდგომ შემოატარეს ტაძრის გარშემო.

ღვთისმშობლის მიძინების მეორე დღეს ივერიის მონასტერში ტრადიციად დაწესებულია ქართველი მამების ხსენების დღე, რომელიც საღვთისწაულო წირვა-ლოცვით და პანაშვიდის გადახდით აღინიშნა.

28 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ გულდასმით დაათვალიერა ივერიის მონასტერი და ბიბლიოთეკა, სადაც ინახება 86 ქართული ხელნაწერი, აქვეა თორნიკე ერისთავის მუზარადის ნაწილი. ივერიის მონასტრის საგანძურში დელეგაციის წევრებმა ინახულეს დედოფალ მარიამ დადიანისაგან ბოძებული ბარძიმი, ქართული სახარება და ლავრის წინამძღვრის ათანასეს მიერ ექვთიმე მთაწმიდელისადმი გამოგზავნილ ეპისტოლეზე ექვთიმეს ავტოგრაფი.

ღვთისმშობლის ტაძარში საკურთხევის წინ ჰკადია სასწაულმოქმედი კანდელი, ბოძებული ქართველი ბერის ბენედიქტეს მიერ.

ღამისთევის ლოცვის შემდეგ, დილის 4 საათზე დაიწყო ცისკრის ლოცვა, ხოლო საღვთისწაულო წირვა-7 საათზე.

მიტროპოლიტი ეზეკიელთან ერთად მწირველები იყვნენ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე და დიაკონი ზურაბ სირაძე.

29 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ ინახულა ღირსი ათანასეს ლავრა, სტავრონიკიტას მონასტერი და წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტერი, სადაც ქართველმა მღვდელმთავრებმა აღასრულეს წმიდა საღმრთო წირვა.

30 აგვისტოს წმ. ათონის მთის მონასტერთა უმაღლესმა საბჭომ – წმიდა კინოტმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის საპატივსაცემოდ მოაწყო ოფიციალური მიღება.

1 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის წარგზავნილები მიიღო წმ. ათონის მთის გუბერნატორმა, ბატონმა დიმიტრიოს ცამისმა. მიღებას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ საბერძნეთის საქმეთა მინისტრი, რელიგიის მინისტრი და სხვა ოფიციალური პირნი. საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ვიზიტის დღეებში გაირკვა, რომ ივერიის მონასტრის წმ. მამები: წინამძღვარი კალინიკე; ბერები: მაქსიმე, ანთიმოზი და სხვები თავის მხრივ მიესალმებიან ქართველ მამათა ჩასვლას და მათ მოღვაწეობას ივერიის მონასტერში. ამ აზრს მხარს უჭერს წმ. მთის მთელი ძმობა და წმ. კინოტი, რომლებიც თანახმანი არიან ჩავიდნენ ქართველი მეცნიერები ხელნაწერთა შესასწავლად.

უდიდესი სიხარულისა და ამავე დროს სინანულის გრძობა ეუფლება ადამიანს, რომელიც ფხვს შედგამს წმ. ივერონზე. გიხარია, რომ ქართველი ერის ღირსეულმა წინაპრებმა წარუშლელი კვალი დატოვეს არა მარტო ამ მთის, არამედ საერთოდ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მაგრამ ნანობ, რომ დღეს ამ კვალის გამგრძელებელი არავინ არის და უცხოთა მიერ ყველაფერი ქართული იშლება და ისპობა.

3 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია წმ. ათონის მთიდან ქალაქ თესალონიკში დაბრუნდა. დელეგაცია გულთბილად მიიღო თესალონიკის მიტროპოლიტმა პანტელეიმონმა, რომელიც ამასთან ერთად ბრძანდება თესალონიკის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და აღნიშნა, რომ სიამოვნებით გამოყოფს ორ სტიპენდიას ქართველი სტუდენტებისათვის. თესალონიკში საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ბინაზე მიიღო წმ. ათონის მთის გუბერნატორმა დიმიტრიოს ცამისმა.

4 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ათენში ჩავიდა. იმავე დღეს მისმა უნეტარესობამ, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ და წმ. სინოდმა მიღება გაუმართეს საქართველოს ეკლესიის დელეგაციას, რომლის დროსაც უნეტარესმა სერაფიმემ სიხარული გამოთქვა საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ჩასვლის გამო ივერონის 1000 წლისთავის ზეიმზე.

საპასუხო სიტყვაში ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა მადლობა გადაუხადა უნეტარეს სერაფიმეს გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ქართულ და ბერძნულ ეკლესიებს შორის წამოჭრილი

საჭირობოროტო საკითხები უეჭველად უნდა მოგვარდეს, რაც პირველ რიგში სასარგებლო იქნება საერთოდ მართლმადიდებლობისათვის.

დამთავრდა ათონის ივერიის ქართველთა მონასტრის დაარსების ათასი წლისთავის დღესასწაული, რომელშიაც საქართველოს ეკლესიის დელეგაციის მონაწილეობა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი

ეკლესიის ცხოვრებაში. პრაქტიკულად აღდგენილია ურთიერთობა ივერონის მონასტერთან. ამჟამად საჭიროა ქართველ მამათა და ქართველ მეცნიერთა წარგზავნა წმ. ათონის მთაზე სამოღვაწეოდ და ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად.

5 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ათენიდან სამშობლოში გამოემგზავრა.

ა ლ ა მ ე რ დ ო ბ ა

26 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, თბილისიდან ალავერდში გაემგზავრა წმ. დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ეკლესიის მამათავარს თან ახლდნენ მღვდელმთავრები, მღვდელმსახურნი, სიონის საპატრიარქო ტაძრის მგალობელთა გუნდები, სასულიერო სემინარიის სტუდენტები და საპატრიარქოს თანამშრომლები.

გზად მიმავალი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განერდა საგარეჯოში, სადაც თანმხლებ პირთა და მრევლის თანდასწრებით გადაიხადა პარაკლისი საგარეჯოს ახლად აღდგენილ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

„მრავალი წელია, — განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, — ეს წმიდა ტაძარი და მისი მფარველი ღვთისმშობელი მოუთმენლად ელოდნენ ჩვენს ჩამოსვლას და ჩვენს ლოცვას. ჩვენ, ეს მისია პირნათლად შევასრულეთ, დღეს, საქართველო სულიერი ამბღლების გზას ადგას. ეს სულიერი ფერისცვალება შეიმჩნევა როგორც დედაქალაქში, ასევე მთელს საქართველოში, ამის ნათელი დასტურია ეს წმიდა ტაძარი და მისი წინამძღვრის მამა იოაკიმეს მოღვაწეობა. დავლოცოთ მამა იოაკიმეს ღვაწლი და შრომა, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ქართველი ერის, მამულისა და ქართული ეკლესიის საკეთილდღეოდ. ღმერთმა დალოცოს ღვთიეკურთხეული ქართველი ერი!“ ტაძრის კურთხევის შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირნი თელავში ჩავიდნენ, ხოლო საღამოს 6 საათისათვის ალავერდის ტაძარს ეახლნენ ღამისთევის ლოცვის აღსასრულებლად.

ალავერდის ტაძარში ილია II-ს დახვდნენ: ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე, წილკნელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე, მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ამბროსი, ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე; აგრეთვე არქიმანდრიტები, ილუმენები, დეკანოზები, მღვდლები და მრავალრიცხოვანი მრევლი.

ილია II-მ წმ. გიორგის სახელობის ალავერდის ტაძარს საჩუქრად გადასცა კანკელის ოთხი ხატი: წმ. გიორგის, მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და იოსებ ალავერდელის.

იმავე საღამოს გადმოსვენებულ იქნა ჯვარი და ჩატარდა პურის კურთხევა.

27 სექტემბერს, დილით, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ალავერდის საკათედრო ტაძარში აღასრულა ჯვართამაღლების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა, რომლის შემდგომ, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ მრევლს აუწყო: „დღეს ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი ადიდებს ჯვარსა პატიოსანსა, როგორც ადამიანთა გადარჩენის სიმბოლოს. იგი ღვთის ძალაა, რომელსაც სასუფეველისაკენ მიჰყავს ადამიანი. მაგრამ ეს გზა მწელად სავალია და წინააღმდეგობებით აღსავსე. გზაზე დაცემა არ ნიშნავს შეგუებას, უნდა აღვსდგეთ და პატიოსნად ვატაროთ ჩვენი ჯვარი, ვითარცა ჩვენმა უფალმა — იესო ქრისტემ აიტანა იგი გოლგოთამდე და შემდგომ კი აღსდგა. საქართველო მოფენილია მრავალი წმიდა ადგილებით. ერთ-ერთი ასეთია წმ. ალავერდის ტაძარი. ამისათვის მოვედით აქ ლოცვების აღსავლენად, ჩვენ და წმ. სინოდის წევრები. მე მწამს, რომ მხოლოდ სულიერი განწმენდისა და ამაღლების ნიადაგზე მოხდება ქართული ეკლესიის გაძლიერება. ეკლესია კი ქრისტეს სხეულია. ღვთის სიყვარულმა შეგვინარჩუნა ჩვენ სარწმუნოება, ენა და კულტურა, რისთვისაც ვმადლობთ ღმერთს. უფალი არაფერს გვთხოვს, გარდა რწმენით აღვსილი გულისა, რომელიც თავის მხრივ საქართველოს ეკლესიის გაძლიერების საწინდარია. ამას გუუბნებით მე, თქვენი სულიერი მამა და მონა — ღვთისა. ღმერთმა დალოცოს ღვთიეკურთხეული და ღვთიედაცული ჩვენი ქართველი ერი!“

ქადაგების შემდგომად საქართველოს ეკლესიის დიდმა მეუფემ, ილია II-მ შესთხოვა უფალს ყველა ქართველის ჯანმრთელობა, ბედნიერება.

იმავე საღამოს ალავერდის ტაძარში ჩატარდა ღამისთევის ლოცვა, რომლის შემდგომაც ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ, მრევლით სავსე ტაძარში იქადაგა წმ. მამა იოსებ ალავერდელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

28 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმ. ალავერდის ტაძარში აღასრულა წმ. მამა იოსებ ალავერდელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა. ისე, როგორც წინა დღეს, ამ დღესაც, საქართველოს ეკლესიის მამათმთავარმა მამართა მრევლს შემდეგი სიტყვებით: „ყოველ ქართველს მცხოვრებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, გილოცავთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — ალავერდო-

ბას. ოდიტგანვე ამ დღეს, ქართველი ხალხი საქართველოს ყოველის კუთხიდან მოდიოდა ამ წმიდა ადგილას, რათა ღოცებში აღევილინა ღმერთისადმი. დღესაც ვრძელდება ეს შესანიშნავი ტრადიცია და ჩვენ აქ მდგომარენი თაყვანს ვცემთ ღმერთს ამ წმიდა ტაძარში.

გუშინწინ ვიზიემთ დიდი დღესასწაული, კახეთის დედოფლის ქეთევან წამებულის ხსენების დღე. გუშინ, მსოფლიო და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ზეიმობდა — ჯვართამაღლებას. დღეს კვლავ დღესასწაულია — იოსებ ალავერდელის ხსენების დღე, რომელიც შარავანდედათ ეფინებ მთელ საქართველოს და ყოველ ქართველს.

ჩვენი მამული ის წმიდა და კურთხეული მხარეა, სადაც დაკრძალულია მაცხოვრის წმიდა კვართი. საქართველო დღეთისმშობლის წილხვედრია, მისი დედობრივი კალთა გადაფარებულია ჩვენს კურთხეულ მიწაზე. ჩვენს მიწაში განისვენებს წმ. მოციქული სვიმონ კანანელი. საქართველო ის კუთხეა, სადაც მიიციკალა გადმოსახლე-

ბაში მყოფი წმიდა ოქროპირი. საქართველოში ეწამა დიდი მოღვაწე მაქსიმე აღმსარებელი. საქართველო დვითიკურთხეული ვენახია და ვერაეთიარი ძალა ვერ მოსპობს ამ ვენახს. ვიდრე იარსებებს დედამიწა, იარსებებს საქართველო და ქართველი ერი, იმიტომ რომ ჩვენი მფარველი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია.

გილოცავთ ყველას ამ დღესასწაულს და შევთხოვ უფალს, არ მოაკლდეს საქართველოს მადლი უფლისა.

წირვის დამთავრების შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ გრემის მონასტერს და დაანთეს სანთლები.

29. სექტემბერს, თბილისისაკენ გზად მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია სოფელ გავაზის წმ. სამების ეკლესიას, შემდგომ კი მონინახულა ბოდბის მონასტერში წმ. ნინოს საფლავი და თაყვანი სცა მას. პატრიარქმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მოციქულთასწორის საფლავზე აღანთეს სანთლები, იგალობეს, რის შემდგომაც დაბრუნდნენ თბილისში.

4 — ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო წირვა მიძღვნილი წმ. დიდებულთა მოწამეთა, საქართველოს მეფეთა არჩილისა და ლუარსაბის ხსენების დღისადმი. კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველი იყო ურბნელი ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

7 — ივლისს, სრულიად საქართველოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა პატრიოსანი, დიდებული წინასწარმეტყველისა და წინამორბედის იოანე ნათლისმცემლის შობის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო წირვა.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველი იყო ურბნელი ეპისკოპოსი კონსტანტინე.

12 — ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმ. დიდებულთა ყოვლადქებულთა, მთავარმოციქულთა პეტრეს და პავლეს ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო წირვა.

საქართველოს მოქმედი ტაძრებისა და მონასტრების მოვლა-პატრო-

ნობისა და აღდგენა-გამშენიერების მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვის მიზნით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა ახალი განყოფილება და დაკომპლექტდა კვალიფიციური საარქიტექტურო-სააღმშენებლო კადრებით.

2 — აგვისტოს, სრულიად საქართველოს, კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმ. დიდებულისა და წინასწარმეტყველის ილია თეზბიტელის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო წირვა. ეს დღესასწაული იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს დღე გახლავთ კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოსის დღე. საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული მღვდელმთავრები და სამღვდელოება ქრისტესმიერი სიყვარულით გულმხურვალედ ულოცავენ საქართველოს ეკლესიის მწვემსომთავარს ბრწყინვალე დღესასწაულს.

ამავე დღეს სიონის ტაძარში პირველად შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პიმნი.

სადღესასწაულო წირვის აღსრულების შემდეგ ილია II მღვდელ-

მთავრების, მღვდელმსახურებისა და მრევლის თანხლებით აბრძანდა მთაწმიდის პანთეონში, სადაც დიდ მამულიშვილსა და ქართველთა ერის, სინდისს — ილია ჭავჭავაძეს გადაუხადა პანაშვიდი. კათოლიკოს-პატრიარქმა სანთლები დაანთო, აგრეთვე, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და ილია ვეკუას საფლავებზე.

9 — აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო წირვა მიძღვნილი წმ. დიდმოწამის პანტელეიმონის ხსენების დღისადმი.

ამ დღეს შუა ტაძარში ანალოლიაზე გადმოსვენებული იქნა ქრისტეს რწმენისათვის ორჯადმკვლელობის წმ. პანტელეიმონის ხატი, რომელსაც ასობით მრევლი ემთხვია.

სადღესასწაულო წირვის აღსრულების შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მრევლით სავსე ტაძარში შთამბეჭდავად იქადაგა დიდი მოწამის საკვირველ ცხოვრებასა და მის ღვთაებრივ მოღვაწეობაზე, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანისათვის.

10 — აგვისტოს, სიონის საპატრიარქო ტაძარში საკვირაო საღმრ-

თო წირვის აღსრულების ჟამს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II აზიარა პარიზიდან სტუმრად ჩამოსული ფრანგ კათოლიკეთა ეკუმენური კრებული 20 კაცის შემადგენლობით.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც კათოლიკებმა მართლმადიდებელთა ტაძარში მიიღეს ქრისტეს წმიდა ზიარება. იმავე საღამოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავის რეზიდენციაში მიიღო ფრანგ კათოლიკეთა დელეგაცია და საუბარი პქონდა მათთან.

11 - აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ჩვენი უფლის, ღვთისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ფერისცვალების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

19 - აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ჩვენი უფლის, ღვთისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ფერისცვალების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

დიდებული სანახავი იყო ყვაილებითა და ხის ტოტებით მოფენილი გზა საპატრიარქოდან სიონის ტაძარამდე და თვით სიონის ტაძარი. მრევლით სავსე ტაძარში საქართველოს ეკლესიის მამათმთავარი გულმხურვალედ აღავლენდა ღოცვას უფლისადმი, საქართველოს ბედნიერებისათვის.

სიონის ტაძრის მგალობელთა გუნდი გალობდა ძველ ქართულ საეკლესიო საგალობელს. მრევლი მუხლმოდრეკით შესცქეროდა ამბიონზე გადმოდგარ ქართული ეკლესიის პატრიარქს ილია II, რომელიც ტკბილი ხმით აღავლენდა ღოცვას: „მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო, და უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი ძალისაგებ მათისა, და გამოგვიბრწყინე ჩვენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებიდა ღვთისმშობლისა“

თა, ნათლის მომცემელი უფალო, დიდება შენდა!“

28 - აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების - სიონობის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა) და ურბნელი ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

9 - სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო ირლანდიელი კათოლიკე სასულიერო პირთა დელეგაცია, მღვდლების მაიკლ კენედის, ჯონ მარიარტისა და რობერტ ტრეტმეს შემადგენლობით.

სტუმრების ჩამოსვლის მიზანი გახლდათ, რათა ხლებოდნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს ილია II და გაეცნოთ მათ მიერ ახლად ჩამოყალიბებული სასულიერო ორგანიზაციის პროგრამა, რომელიც ოფიციალურად უკვე ცნო რომის პაპმა იოანე-პაულე II.

11 - სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა პატიოსანის, დიდებული წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემელის თავის მოკვეთის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო წირვა.

„ხსენება მართლისა ქებით აღესრულების, ხოლო შენდა კმა არს წამება, უფლისა წინამორბედო, რამეთუ ჭეშმარიტად გამოხსნდი უდიდებულეს წინასწარმეტყველთა, და რამეთუ ქადაგებულსა მას შენ მიერ, წყალთა შინა ღირს იქმენ ნათლისცემად, და იწამე ჭეშმარიტებისათვის, და სიხარულით ახარე მყოფთა ჯოჯოხეთისათა ღმერთი, ხორციითა გამოჩინებული და აღმქმელი

ცოდვათა სოფლისათა, რომელ მოგვანიჭებს ჩვენ დიდსა წყალობასა“.

21 - სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის შობის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

„შობამან შენმან, ღვთის-მშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წვევა, და მოგვმალდა კურთხევა, და განაქარვა სიკვდილი, და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო“.

24 - სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის რეზიდენციაში შეხვდა ქართველ კომპოზიტორებს. შეხვედრის დროს მოსმენილი იქნა ახალი ქართული საეკლესიო საგალობლები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ღოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს საარქიტექტურო-სადღმშენებლო განყოფილების მიერ მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბრის თვეებში შეკეთებულ და აღდგენილ იქნა, სომხეთის სსრ, სტეფანავანის რაიონის სოფელ კიროვოში მდებარე მართლმადიდებლური მოქმედი ტაძარი, რომელიც შემოდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში.

14 - ოქტომბერს, სრულიად საქართველოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მცხეთის სეპტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღასრულა სეპტიცხოვლობის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: თეორწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაყუგა); ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე); წილკნელი მიტროპოლიტი ვიორგი (ღონდაძე); ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიასვილი); ბოდბელი ეპის-

კობოსი ათანასე (ჩახვაშვილი); ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა); მესხეთ-ჯავახეთელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე); ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაძე); აგრეთვე, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული მღვდელმსახურნი და სასულიერო სემინარიის სტუდენტები.

საღმრთო-სადღესასწაულო წირვის აღსრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მრევლის თანდასწრებით, სეკტიცხოვლის წმიდა ტაძარში, სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა: ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე) და წილკნელი მიტროპოლიტი გიორგი (დონლაძე).

მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა: ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი და მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი დავითი (ჭკადუა), ურბნელი ეპისკოპოსი და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

სეკტიცხოვლის ტაძრის მღვდელმონოზონი რომანოზი (შიომღვდელი-შვილი) აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში.

სიონის ტაძრის მღვდელი ბენიამინ ახვლედიანი აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

სასულიერო სემინარიის სტუდენტი დიაკონი ალექსი ძამუკაშვილი ხელდასხმულ იქნა მღვდლად.

ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა მღვდელი არჩილ ლაფერაშვილი და მღვდელმონოზონი ჯალღანია.

სიონის საპატრიარქო ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრები ბატონიონი და მუსერიძე ქართულ ეკლესიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოვდნენ წმ. ნინოს მეორე ხარისხის ორდენით.

15 – ოქტომბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმ. დიდი მოწამეების, არგვეთის მთავრების დავითისა და კონსტანტინეს ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველი იყო ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

9 – ნოემბერს, ქალაქ ახალციხეში გაიხსნა წმ. მარინეს სახელობის ტაძარი. ამ ღირსახსოვარ დღეს ქ. ახალციხეში ტაძრის კურთხევაზე ჩავიდნენ: ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი); მანგლელი მთავარეპისკოპოსი თაღოზი (იორაშიშვილი) და ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაძე); აგრეთვე, მღვდელმსახურნი და მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტები. ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით, მრევლის თანდასწრებით პარაკლისი გადაიხადა ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქიის მეთაურმა ეპისკოპოსმა ამბროსიმ (ქათამაძემ), რომლის აღსრულების შემდგომ წმ. მარინეს ტაძარი გამოცხადებულ იქნა მოქმედ ეკლესიად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცუა-კურთხევით, ა. წ. ნოემბრის თვეში საქართველოს საპატრიარქომ მოამზადა და გაგზავნა საზღვარგარეთ გრამფირფიტებზე გამოსაცემად, სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარებული საღმრთო-საკვირაო წირვისა და ქართული საეკლესიო საგალობლების ჩანაწერები.

21 – ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმ. მთავარანგელოზის მიქაელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი წირვა.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველი იყო ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს მოთხოვნით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცუა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქომ მოამზადა ბუკლეტი სათაურით: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“.

ბუკლეტი გამოიცემა ხუთ ენაზე და გამიზნულია უცხოეთში გასაერცვლებლად. მასში მოთხრობილია საქართველოს ეკლესიის სახელგანთქანი წარსული და მისი დღევანდელი საქმიანობა, როგორც საშინაო ისე საგარეო ასპარეზზე.

ბუკლეტი გაფორმებულია მდიდრულად და დასურათებულია მთლიანად ფერადი ფოტოებით.

23 – ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ქვაშეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში აღასრულა წმ. დიდმოწამის და ძღვეამოსილის გიორგის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა. კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ მცხეთა-თბილისის ეპარქიის მღვდელმსახურნი.

ამავე დღეს, საღმრთო-სადღესასწაულო წირვის აღსრულების დროს, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მღვდლის ხარისხში აიყვანა სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკონი როსტომ ლორთქიფანიძე და დიონიშა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტად.

4 – დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

5 – დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ქ. თბილისში, მიხეილ ტყვერელის სახელობის ტაძარში გადაიხადა პარაკლისი, მიძღვნილი წმ. მამის მიხეილ ტყვერელის ხსენების დღისადმი.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე) და მიხეილ ტყვერელის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანტონი (გულიაშვილი).

6 – დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა, მიძღვნილი კეთილმორწმუნე დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის ხსენების დღისადმი.

ღვთისმსახურთა და მრევლის თანდასწრებით, სრულიად საქართველოს ეკლესიის მამათმთავარმა ილია II ალ. ნეველის სახელობის ტაძარს სარეკლამად გადასცა ალექსანდრე ნეველის დიდი ხატი, შესრულებული ენკაუსტიკის ტექნიკით და შემოსილი მეღქიორის პერანგით.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II თანამწირველნი იყვნენ: თეთრწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა) და ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), აგრეთვე მცხეთა-თბილისის ეპარქიის მღვდელმსახურნი.

13 – დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში აღასრულა წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო წირვა.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II თანამწირველნი იყვნენ: ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი დავითი (ჭკადუა); ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე); აგრეთვე, სიონის და სვეტიცხოვლის ტაძრების მღვდელმსახურნი და სასულიერო სემინარიის სტუდენტები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქომ მოამზადა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული ანტონ კათოლიკოსის „თენის“ ფოტო ასლი. ანტონ კათოლიკოსის „თენის“ სრული ვარიანტი, რომელიც მოიცავს 1750 გვერდს, იკითხება ქართულ ტაძრებში ღვთისმსახურების აღსრულებისას.

17 – დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II

საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმ. დიდმოწამის ბარბარეს ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა.

ამავე დღეს, ზემო ბარბარეს ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღასრულა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძემ), ხოლო ქვემო ბარბარეში მანგლელმა მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამიშვილი).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქომ მოამზადა, მსოფლიოს ავტოკეფალურ ეკლესიებისათვის გასაგზავნად, ქართული საეკლესიო საგალობლების რჩეული ნიმუშების ნოტები: „შენ ხარ ვენახი“, „წმიდაო დმერთო“, „რომელი ქერუბიმთა“ და „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო“.

19 – დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმ. მამის, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის და საკვირველმოქმედის ნიკოლოზის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო წირვა.

თანამწირველნი იყვნენ სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურნი.

25 – დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა საღმრთო წირვა მიძღვნილი უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ინტრონიზაციის სამი წლისთავისადმი.

კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე); წილენელი მიტროპოლიტი გიორგი (ლონდაძე); ქუთათელ-ვენათელი მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი); ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მანარაძე); ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი); ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე); ბობბელი ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი); ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე); აგრეთვე საქართველოს ყველა ეპარქიებიდან ჩამო-

სული მღვდელმსახურნი და მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტები.

საღმრთო-სადღესასწაულო წირვის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: ქუთათელ-ვენათელმა მიტროპოლიტმა შიომ; სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მღვდელმონოზონმა რომანოზმა (შიომღვდლიშვილმა) და სიონის საპატრიარქო ტაძრის ვაჟთა მაგლობელი გუნდის რეგენტმა ნოდარ კიკნაძემ.

მის უწმიდესობას
იოანე პავლე II
ვატიკანი, იტალია

თქვენო უწმიდესობავ,
ულრმეს თანაგრძნობას გიცხადებთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით. პირადად მე, დიდად შემამფოთთა სამხრეთ იტალიაში მომხდარმა მიწისძვრამ, რომელმაც დიდი მსხვერპლი და მწუხარება მოგიტანათ.

მხურვალე ლოცვებს აღვაგულენ თქვენი წმიდა ეკლესიის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს
ილია II

გულითად მადლობას გიხდით თანაგრძნობის და ლოცვებისათვის აღვლენილს იმ მსხვერპლთა მიმართ, ახლახან მომხდარმა მიწისძვრამ რომ გამოიწვია.

ერთხელ კიდევ გარწმუნებთ ჩემს ძმურ გულისხმიერებაში.

რომის პაპი –
მისი უწმიდესობა
იოანე პავლე II

„ДЖВАРИ ВАЗИСА“ (Крест из виноградной лозы)

1980 г., № 2 (6)

Журнал начинается Рождественским посланием Католикоса-Патриарха всея Грузии к пастве.

Следующая статья «Крестовый Монастырь в Иерусалиме», касается истории основания монастырского комплекса грузинами в Иерусалиме и их деятельности на протяжении многих веков.

В последующей главе подробно описывается жизнь Пресвятой Божьей Матери.

На следующих страницах

описана жизнь и мученическая смерть Пресвятой Девы Варвары.

В следующей статье говорится о мучениях императором Диоклитрианом Святого Великомученика, Чудотворца и Победоносца Георгия и о Его мученической смерти.

В теологических письмах опубликована статья Урбниского Архиепископа Константина «По вопросу датирования и происхождения Святых писаний» «Христос — Явленный Спаси-

тель — Мессия». А также здесь помещается слово Митрополита Шио, произнесенное на третьей годовщине интронизации Католикоса-Патриарха всея Грузии Или II.

В отделении «Церковная жизнь» напечатана статья и визите кардинала Франка Кёнинда в Тбилиси, о визите Глена Гарфильда Виллиамса в Грузии. Также тысячелетие Афонского Монастыря, «Алавердоба» и другие церковные хроники.

«DZHVARI VAZISA» (Cross of Grapevine)

№ 2 (6), 1980

The magazine begins with the Vristmas epistle of his Holiness and Beatitude, Ilya II Catholicos-Patriarch of All Georgia.

It is followed by an interesting article „the Georgian Monastery of the Cross in Jerusalem“ which deals with the history of the foundation of the above-said monastic complex by Georgians and their work in Jerusalem for many centuries.

The next chapter provides detailed information about the Virgin Mother.

The following pages are dedicated to St. Barbare, Virgin martyr, her life, and martyrdom.

The next chapter tells us about the life of the Great Martyr or the sufferings inflicted on him by Emperor Diocletian and his martyrdom.

The theological articles include „About the Origin and Dating of the Holy Write“, „Christ—the Messiah“—both written by the Archishop of Urbnisi Constantine (Melikidze) and „the Bible“—(a brief review) for those who had no opportunity to read the Bible—by the Metro-

politan of Kutaisi and Genati Shio (Avalishvily).

The magazine publishes the speedh made by Metropolitan shio at the third anniversary of the investiture of his Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of all-Georgia Ilya II.

The section „Ecclesiastical Life“ informs the reader of the visit of Cardinal Franz Kioning to Tbilisi, Doctor Glan Williams's visit to Georgie, the 1000-th anniversary of the Monastery on Mount Athos, Church festival „Alaverdoba“ and other ecclesiastical chronicles.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საშობაო ეპისტოლე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II	8
ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში	10
წმიდათა ცხოვრება	
მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება ღვთისმშობლის შესახებ	18
წმიდა ქალწულმოწამე ბარბარე, დეკ. ამირან შენგელია	24
წმიდა დიდმოწამე გიორგი ძლევაშოსილი	26
თეოლოგიური წერილები	
წმიდა წიგნების წარმოშობისა და დათარიღების საკითხისათვის.	
ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე)	31
ქრისტე – მოვლენილი მხსნელი – მესია	35
ბიბლია (მოკლე მიმოხილვა) ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი)	38
საეკლესიო ცხოვრება	
ინტრონიზაციის სამი წლისთავი	45
კარდინალ ფრანც კიონიგის ვიზიტი თბილისში	46
ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივნის, დოქტორ გლენ ვილიამსის ვიზიტი საქართველოში	48
ათონის ივერიის მონასტრის 1000 წლისთავი	48
ალავერდობა	50
მის უწმიდესობას იოანე პავლე II. ვატიკანი, იტალია	54
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II	54
რეზიუმე რუსულ ენაზე	55
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	55

საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1980 წ.

თბილისი. სიონის ქ. № 4. ტ. 99-69-30.

ტირაჟი 1000. შუკ. 1012.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

